

# მხანაცხადსაერთიანო სასსომოვითარებელი პროგრამის

# შენაშენიანების დეტალური გეგმის პროსტრუქტურა

I ეტაპი

ტექსტური ნაწილი

ახდომ ინიციატივის საფუძვალზე

ინიციატივები: შპს "სონა"(ს/გ. 445533646); შპს "ოფის ცენტრი" (ს/გ. 445529900)

და ფიზიკური პირები: ვახტანგ მამუკაძე (პ/გ 61001066966);

მუხამედი მამუკაძე (პ/გ 61001008265);

სოფიო ვახუშტია (პ/გ 61001011947);

ნათანელ მამუკაძე(პ/გ 61008000145);

ნათია ბოლქვაძე (პ/გ 61009003668);

ბობი მამუკაძე (პ/გ 61001084346)

შემსჯელებელი: შპს "ახს - ენჯინინგ +" (ს/გ: 247007297)



ქ. ბათუმი დავით აღმაშენებლის ქუჩა (ს/კ 05.25.05.220; ს/კ 05.25.05.223; ს/კ 05.25.05.215; ს/კ 05.25.05.168; ს/კ 05.25.05.177; ს/კ - 05.25.05.225;  
ს/კ 05.25.05.176; ს/კ 05.25.05.226; ს/კ 05.25.05.224; ს/კ 05.25.05.193, ს/კ 05.25.05.083, ს/კ 05.25.05.187, ს/კ 05.25.05.184; ს/კ 05.25.05.181;  
ს/კ 05.25.05.179; ს/კ 05.25.05.182; ს/კ 05.25.05.183; ს/კ 05.25.05.185; ს/კ 05.25.05.084; ს/კ 05.25.05.165; ს/კ 05.25.05.082;)

2024

1 შესავალი.....	4
1.1. წინათქმა .....	4
1.2. განმარტებები .....	4
1.2.1 შემოკლებები.....	4
1.2.2 ტერმინთა განმარტებები .....	5
2. წინაპირობები .....	7
2.1 დაპროექტების საფუძველი.....	7
2.1.1 დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა .....	7
2.1.2. გეგმარებითი ერთეულის მდებარეობა და აღწერა .....	9
2.1.3. საკუთრების ანალიზი.....	9
2.1.4. სოციალური ინფრასტრუქტურა .....	10
2.1.5. დემოგრაფია .....	10
2.1.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა .....	10
2.1.7. ტექნიკური ინფრასტრუქტურა.....	12
2.1.7.1 წყალმომარაგება.....	12
2.1.7.2 გაზმომარაგება .....	12
2.1.7.3 ელმომარაგება.....	13
2.1.8. ბუნებრივი ფასეულობები .....	13
2.1.9 კულტურული ფასეულობები .....	13
2.1.10. გეომორფოლოგია და ჰიდროლოგია.....	13
2.1.11 კლიმატი.....	14
2.1.12 სეისმოლოგია გეოლოგია.....	31
2.1.13 დაგეგმვისწინა მდგომარეობა.....	33
2.1.14 სოციოლოგიური კვლევა .....	33
3 განაშენიანების დეტალური გეგმა (კონცეპცია).....	34
3.1 გდგ პროექტის ანოტაცია .....	34
3.1.1 გდგ პროექტის მიზანი და ამოცანები.....	34

3.1.2 გდგ პროექტის შინაარსი.....	34
3.1.3 ეფექტიანობის შეფასება.....	36
3.1.4 ლიმიტაციები (შეზღუდვები და დაბრკოლებები) .....	36
3.1.5 გარემოს დაცვითი შეფასება .....	37
4 დანართები .....	39
4.1. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და მათი ანალიზი.....	39
4.1.1 საბაზისო მონაცემთა მატრიცა დანართი #1 .....	39
4.1.3 გეოლოგიური აგებულება დანართი #3.....	47
4.1.4 სოციოლოგიური კვლევა.....	48
4.1.5 წყალმომარაგება.....	48
4.1.6. გაზმომარაგება .....	52
4.1.7. ელ.მომარაგება .....	53
4.1.8. ინსოლიაცია .....	Ошибка! Закладка не определена.
4.1.9. სკრინინგის ანგარიში.....	54
სკრინინგის ანგარიში წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით. ....	54
5. მიმწოდებლის პროფესიული უნარები და გამოცდილება.....	55

# 1 შესავალი

## 1.1. წინათქმა

გეგმარებითი ერთეულის შპს „სონა“ (ს/ნ. 445533646); შპს „ოფის ლაინი“ (ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265); სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346) საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განაშენიანების დეტალური დაგეგმარების კონცეპცია წარმოადგენს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“, გეგმების შემუშავების წესითა და გეგმარებითი დავალება (დამტკიცებული ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 16/07/2024 წლის ბ14.142419830 ბრძანებით) შედგენილ დოკუმენტაციას რომელიც მომზადდა გეგმარებით ერთეულში შემავალი ნაკვეთების მესაკუთრეების კერძო ინიციატივით. ის შემუშავდა გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გეგმარებითი ერთეულის ანალიზისა და განვითარების ხედვის საფუძველზე, გეგმარებითი ერთეულისა და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების პერსპექტივისა და საქართველოს შავი ზღვისპირეთის განსახლების ქვესისტემის კონტექსტის გათვალისწინებით.

## 1.2. განმარტებები

### 1.2.1 შემოკლებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

- (1) **გგ** - განაშენიანების გეგმა;
- (2) **გდგ** - განაშენიანების დეტალური გეგმა;
- (3) **გეგმარებითი ერთეული** - გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- (4) **გეგმების შემუშავების წესი** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- (5) **გენგეგმა** - გენერალური გეგმა;
- (6) **გის** - გეოინფორმაციული სისტემა;
- (7) **დაგეგმარება** - სივრცის დაგეგმარება (პროექტირება). ამაში ერთიანდება: ქალაქგეგმარება, არქიტექტურული დაგეგმარება და საინჟინრო დაგეგმარება;
- (8) **დაგეგმვა** - სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა. აქ ერთიანდება: სტრატეგიული დაგეგმვა, სივრცითი დაგეგმვა და/ან მიწათსარგებლობის დაგეგმვა;
- (9) **დაგეგმვის გუნდი** - მრავალდარგობრივი სპეციალისტთა გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია დაგეგმვაზე და თანმდევი სამუშაოების შესრულებაზე;
- (10) **დსს** - კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- (11) **კვლევა** - მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- (12) **კოდექსი** - საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;
- (13) **მერია** - მუნიციპალიტეტის მერია;
- (14) **მთავრობა** - საქართველოს მთავრობა;
- (15) **ნებართვა** - მშენებლობის ნებართვა;
- (16) **პარლამენტი** - საქართველოს პარლამენტი;
- (17) **საკრებულო** - მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- (18) **საჯარო რეესტრი** - სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- (19) **სგმ** - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- (20) **სდგ** - მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმა;
- (21) **ძირითადი დებულებები** - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“

### 1.2.2 ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) **აეროფოტო** - საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) **დაგეგმარება** - პროექტირება, რომლის დროსაც, სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვის საფუძველზე, ხორციელდება ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი ტექსონომიური დონის დოკუმენტაციის მომზადება;
- (3) **დენდროლოგია** - მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტექსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) **დრონი** - ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) **ესთეტიკური პარამეტრები** - შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, განვითარების ხედვის შესაბამისად;
- (6) **ვიზუალიზაცია** - დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (7) **ზედა ტექსონომიური დონე** - სივრცითი დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
- (8) **კომიუტერი** - ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათმორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
- (9) **კოსმოფოტო** - სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (10) **ლიდარი** - მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მიხედვით;
- (11) **ლიმიტაცია** - გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (12) **მასშტაბი** - ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოსატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი. ქართული შესატყვისია **ხაზოსადარი**;
- (13) **ინტერეს-წერტილი** - სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;
- (14) **ორთოფოტოგადაღება** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (15) **საზოგადოებრივი სივრცე** - განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
- (16) **საკვლევი არეალი** - წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც დამატებით დაზუსტდება შესაბამისი ტექსონომიური დონის შესაბამისი კონცეფციების შეფასებისას, დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით;
- (17) **საკოორდინატო ბადე** - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
- (18) **სამშენებლო პოტენციალი** - ტერიტორიისთვის გამოყენების დროს ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (19) **საბაზისო რუკა** - გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბუქდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;

**(20) საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე** - დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (უბანი/კვარტალი ან სამეზობლო) საზღვრებში რეგულირების წესებით ფუნქციური ქვეზონისთვის დადგენილი **საცხოვრებელი ერთეულების** მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე ან შენობის განაშენიანების ფართობის განსაზღვრულ წილზე, გამომდინარე **განაშენიანების მართვის** ამოცანებიდან;

**(21) სტრატეგიის განაცხადი** - გეგმარებითი ერთეულის განვითარების სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი;

**(22) ქვედა ტაქსონომიური დონე** - სივრცითი დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

**(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს;

**(24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა** - ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

**(25) ფოტოგრამეტრია** - სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;

**(26) ფოტოფიქსაცია** - ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

**(27) ქალაქის ფუნქცია** - ქალაქის მოსახლეობის (კომიუტერები და მაცხოვრებლები) და/ან სხვა სუბიექტების საქმიანობის სფერო(ებ)ის/დარგ(ებ)ის თვითკმარი კონცენტრაცია, რომელიც/რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის არსებობას და განვითარებას;

**(28) ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი** - იმ გარემო პირობების (ადმინისტრაციული საქმიანობა, საფინანსო საქმიანობა, მრეწველობა, ტურიზმი, სატრანსპორტო კვანძები და კავშირები, და სხვა) საერთო სახელი, რომელთა კონცენტრაცია მოცემულ ტერიტორიაზე განაპირობებს, როგორც წესი ურბანიზებული კატეგორიის დასახლების გაჩენას;

**(29) ქალაქმოსახურე სფერო/დარგი** - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელთა საშუალებით შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოცემული ქალაქის ფარგლებში მოიხმარება და/ან საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა;

**(30) ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი** - ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის შემოსავალს და ამ ფუნქციების შედეგად შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოიხმარება ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ (საქალაქო ექსპორტი). *ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი* განსაზღვრავს ქალაქის მნიშვნელობას და მის ადგილს ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ;

**(31) ღირებული ობიექტი** - ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, და/ან მეხსიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მოიაზრება;

**(32) წამახალისებელი ზონირება** - ცალკეული ტერიტორიებისთვის, *კოდექსითა* და/ან *ძირითადი დებულებებით* განსაზღვრულ ფარგლებში, განაშენიანების მართვის რეგლამენტებით დადგენილი ზონირების საერთო წესების შემარბილებელი (გამონაკლისი) და/ან მასტიმულირებელი ტონისძიებების (გამოწვეული საჯარო ინტერესით) ერთობლიობა, რომლის დროსაც მენაშენეს ეძლევა სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების დამატებითი შესაძლებლობები: **საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარების, შეუსაბამო ობიექტში ცვლილებების შეტანის და/ან დასახლების ეკონომიკურად ნაკლებ საინტერესო უბნებში წარმოებული მშენებლობის სანაცვლოდ;**

**(33) ხედვის განაცხადი** - გეგმარებითი ერთეულის განვითარების ხედვის ამსახველი დოკუმენტი.

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, განიმარტება შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

## 2. წინაპირობები

### 2.1 დაპროექტების საფუძველი

განაშენიანების რეგულირების გეგმის კონცეპცია არსებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შეცვლის მიზნით მომზადდა შპს „არტ-დიზაინი+“ ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამკვეთების: შპს „სონა“(ს/ნ. 445533646); შპს „ოფის ლაინი“(ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265); სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346) საპროექტო დავალების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის საფუძველზე.

#### 2.1.1 დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმვის საჭიროებას განაპირობებს შპს „სონა“(ს/ნ. 445533646); შპს „ოფის ლაინი“(ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265); სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346) საპროექტო დავალებით მოთხოვნილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკით დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლილება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად გეგმარებით ერთეულში მდებარე საკადასტრო ნაკვეთები მიეკუთვნება სხვადასვა ზონებს, კერძოდ:

- მიწის ნაკვეთები (ს.კ. ნაკვეთი #1.- 05.25.05.220 /ნაკვეთი #2.-05.25.05.223/ნაკვეთი #3.- 05.25.05.215 / ნაკვეთი #4.- 05.25.05.168/ ნაკვეთი #5.- 05.25.05.177/ ნაკვეთი #6.- 05.25.05.176 /ნაკვეთი #8.- 05.25.05.225/ ნაკვეთი #9. 05.25.05.082 /ნაკვეთი #11. 05.25.05.165 / ნაკვეთი #12.- 05.25.05.084 /ნაკვეთი #15.- 05.25.05.185 ნაკვეთი #18.- 05.25.05.182/ /ნაკვეთი #19.- 05.25.05.183 / ნაკვეთი #21.- 05.25.05.179 ) მიეკუთვნება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ სზ-4 ზონას, სადაც დადგენილი კოეფიციენტებია: კ-1=0,5, კ-2=2.5 კ-3=0,3;
- მიწის ნაკვეთები (ს.კ.ნაკვეთი #10.- 05.25.05.224/ ნაკვეთი #16.- 05.25.05.187 / ნაკვეთი #17.- 05.25.05.184/ ნაკვეთი #20.- 05.25.05.181) მიეკუთვნება საქმიანი ზონა შზ-3 ზონას, სადაც დადგენილი კოეფიციენტებია: კ-1=0,5/07, კ-2=4.6; კ-3=0,2.
- ნაკვეთი #7.- 05.25.05.226 / ნაკვეთი #13.- 05.25.05.193 / ნაკვეთი #14.- 05.25.05.083/ მიეკუთვნება ორივე საქმიანი ზონა შზ-3 ზონას და საცხოვრებელ სზ-4 ზონას.

ინიციატორებმა გამოიჩინეს ინიციატივა და მათ საკუთრებაში/დაინტერესებაში არსებული გეგმარებით ერთეულში შემავალი მიწის ნაკვეთების განვითარების მიზნად დასახა მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ფუნქციის მქონე კომპლექსის მშენებლობა, რის საფუძველზეც საჭირო გახდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება.

#### კერძოდ:

ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის ძირითადი რუკის შესაბამისად დადგენილი გარემოებები არ იძლევა დასახული მიზნის სრულყოფილად განვითარების საშუალებას და აქედან გამომდინარე გდგ შემუშავების ამოცანას წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმით დადგენილი ზონებისა და პარამეტრების ცვლილების მოთხოვნა, რაც აისახება შედეგში:

ინიციატორების საკუთრებაში/დაინტერესებაში არსებული უძრავი ნივთის, ჩვენს შემთხვევაში გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრებში არსებული საპროექტო ტერიტორიის უკეთ განვითარების მიზნით ინიციატორის მიერ წარმოდგენილია წინადადება რომ, გეგმარებით ერთეულში დადგენილი შზ-3 ზონა შეიცვალოს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი (სზ-4) ზონით, რომელიც წარმოადგენს წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.

2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 შესაბამისად მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ (სზ-4) ზონაში, დადგენილი კოეფიციენტებია:

კ-1= 0,5

კ-2= 2.5

კ-3= 0,3

ხოლო ჩვენს მიერ განაშენიანების დეტალური გეგმით მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრები განისაზღვრულია შემდეგნაირად:

- კ-1= 0,5 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,4-მაჩვენებლამდე. (მოთხოვნილია კ-1 კოეფიციენტის შემცირება)


მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმა (კონცეპცია)

- კ-2= 2,5 მაჩვენებლიდან გაიზარდოს 9,3-მაჩვენებლამდე. (მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის გაზრდა)
- კ-3= 0,3 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,1-მაჩვენებლამდე.(მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება)
- საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 76,0 მ-ით

ასევე კერძო ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია გეგმარებით ერთეულში მდებარე ნაკვეთების გაერთიანება და მისი ფართი იქნება 33 589,0 კვ.მ. გაერთიანებული ნაკვეთი შემდგომში საპროექტო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დაიყოფა 5 ნაწილად, სადაც მოეწეობა 5 ბლოკად დაყოფილი 12 მაღლივი კორპუსისგან შემდგარი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე განაშენიანება .

გეგმარებით ერთეულში მდებარე ნაკვეთების საკადასტრო მონაცემები:

- ნაკვეთი #1.- 05.25.05.220. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13ქ;
- ნაკვეთი #2.- 05.25.05.223. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #3.- 05.25.05.215. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #4.- 05.25.05.168. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #5.- 05.25.05.177. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #6.- 05.25.05.176. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #7.- 05.25.05.226 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13ო;
- ნაკვეთი #8.- 05.25.05.225 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #9.- 05.25.05.082. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #10.- 05.25.05.224. მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #11.- 05.25.05.165 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #12.- 05.25.05.084 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #13.- 05.25.05.193 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #14.- 05.25.05.083 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13ლ;
- ნაკვეთი #15.- 05.25.05.185 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #16.- 05.25.05.187 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #17.- 05.25.05.184 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13ნ;
- ნაკვეთი #18.- 05.25.05.182 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #19.- 05.25.05.183 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;
- ნაკვეთი #20.- 05.25.05.181 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13ო;
- ნაკვეთი #21.- 05.25.05.179 მისამართი :ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 13;



გდგ კონცეპციის მომზადების დროს საპროექტო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეულის გაყოფა 5 ნაწილად და განსაზღვრული და ყველა ნაკვეთზე დადგინდა შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების მოთხოვნა, ისინი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ნაკვეთი № 1. ფართი შეადგენს 6744,2 კვ.მ.  
 მოთხოვნილი კ-1= 0,4=2697,0 კვ.მ.  
 კ-2= 6,8=45860,5 კვ.მ.  
 კ-3= 0,1=675,0 კვ.მ.
- ნაკვეთი № 2. ფართი შეადგენს 6769,4 კვ.მ.  
 მოთხოვნილი კ-1= 0,4=2707,7 კვ.მ.



კ-2= 8,5=57539,9 კვ.მ.

კ-3= 0,1=677,0 კვ.მ.

- ნაკვეთი № 3. ფართი შეადგენს 5396,8 კვ.მ.

მოთხოვნილი კ-1= 0,4=2158,7 კვ.მ.

კ-2= 8,4=45333,1 კვ.მ.

კ-3= 0,1=540,0 კვ.მ.

- ნაკვეთი № 4. ფართი შეადგენს 11938,8 კვ.მ.

მოთხოვნილი კ-1= 0,4=4775,5 კვ.მ.

კ-2= 7,5=89541,0 კვ.მ.

კ-3= 0,1=1194,0 კვ.მ.

- ნაკვეთი № 5. ფართი შეადგენს 2766,0 კვ.მ.

მოთხოვნილი კ-1= 0,4=1106,4 კვ.მ.

კ-2= 7,1=19638,6 კვ.მ.

კ-3= 0,1=277,0 კვ.მ.

- საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 76,0 მ-ით

კერძო ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.05.220; ს/კ 05.25.05.223; ს/კ 05.25.05.215; ს/კ 05.25.05.168; ს/კ 05.25.05.177; ს/კ - 05.25.05.225; ს/კ 05.25.05.176; ს/კ 05.25.05.226; 05.25.05.224; 05.25.05.193, 05.25.05.083, 05.25.05.187, 05.25.05.184; 05.25.05.181; 05.25.05.179; 05.25.05.182; 05.25.05.183; 05.25.05.185; 05.25.05.084; 05.25.05.165; 05.25.05.082;) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ<sup>1/2</sup> მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით. ასევე კერძო ინიციატივის ფარგლებში კ-3 კოეფიციენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, განსაზღვრულია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე სკვერი, კერძოდ: მოეწყობა საფეხმავლე ბილიკები, გაზონები, დასაჯდომი სკამები, საპარკე განათებები, დაირგვება მოცემული ტერიტორიის კლიმატური პირობებისთვის შესაბამისი ხე-მცენარეები რაც საშუალებას მოგვცემს გდგ კვლევის არეალში განლაგებულ დასახლებაში (კვარტალში) გავაჩინოთ საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე გამწვანებული ტერიტორია (სკვერი), სადაც თავშეყრის საშუალება უქნებათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და სტუმრებს.

საპროექტო ტერიტორიის ფიზიკური გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ქვეშა ავტო პარკინგის მოწყობა გეოლოგიური პირობების მონაცემების მიხედვით შეუძლებელია. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის დადგენილება №261 „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ მუხლი 18-ის მე-6 პუნქტის შესაბამისად და ინიციატორის დავალების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ქვეშ გრუნტის არსებული პირობების გათვალისწინებით განხორციელდება მიზონობრივი ათვისებადობა (მათ შორის მიწიქვეშა პარკინგი გაცდა შენობის ძირითად კონტურებს) და შენობა-ნაგებობ(ებ)ის მიწიქვეშა სართულზე (-1 დონეზე) მოეწყობა ავტოსადგომები, სადაც მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით განთავსდება 450 ავტოსადგომი.

### 2.1.2. გეგმარებითი ერთეულის მდებარეობა და აღწერა

შპს „სონა“(ს/ნ. 445533646); შპს „ ოფის ლაინი“(ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265);სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346)-ის საკუთრებაში არსებული 33589,0 კვ.მ.(ს/კ #1.- 05.25.05.220 /#2.05.25.05.223/ #3.- 05.25.05.215 /#4.- 05.25.05.168/ #5.- 05.25.05.177/ #6.- 05.25.05.176 /#7.- 05.25.05.226 / #8.- 05.25.05.225/ #9.- 05.25.05.082 / #10.- 05.25.05.224 / #11.- 05.25.05.165 /#12.- 05.25.05.084 / #13.- 05.25.05.193 / #14.- 05.25.05.083/ #15.- 05.25.05.185 / #16- 05.25.05.187 /#17.- 05.25.05.184 / #18.- 05.25.05.182 / #19.- 05.25.05.183 / #20.- 05.25.05.181 #21.- 05.25.05.179) მიწის ნაკვეთები შემდგომში გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქ.ბათუმის ერთერთ ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ დ.აღმაშენებლის, პ.ზაგრატიონისა და გ.ტაბიძის ქუჩებს შორის მოქცეულ კვარტალში, მას სამხრეთ დასავლეთის მხრიდან მთელ სიგრძეზე ესაზღვრება დ. აღმაშენებლის ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთდასავლეთის; ჩრდილოეთაღმოსავლეთისა და სამხრეთაღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საშუალო ინტენსივობის მქონე განაშენიანება

ვინაიდან გეგმარებითი ერთეული მდებარეობს კვარტალურად მკაცრად ჩამოყალიბებულ გარემოში, მოსამზადებელი კვლევის პერიოდში გეგმარებითი ერთეულის საკვლევი არეალი დაზუსტდა და მოიცვა გეგმარებითი ერთეულის ირგვლივ განლაგებული ნაკვეთები (გრაფიკული ასახვა იხილეთ დანართებში).

### 2.1.3. საკუთრების ანალიზი

საკვლევი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 7,8 ჰექტარს, საიდანაც თითქმის ნახევარი 43.0 % (3.34 ჰა) გეგმარებითი ერთეულის ნაკვეთებია, ხოლო საკვლევი ტერიტორიის 57,0 % (4.46 ჰა) ფართზე განთავსებული ნაკვეთები შეადგენს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ტერიტორიებს.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას, ჯამურად დარეგისტრირებულია 86,3 % (6.7 ჰა) მიწა, ხოლო 13,7% (1,1 ჰა) დაურეგისტრირებულია, მათ შორის დარეგისტრირებული ნაკვეთების 100- ივე %. არასასოფლო დანიშნულების ტიპისაა. აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან 74.9%-ს (5.84 ჰა) ფლობს კერძო სექტორი; 25,1% (1,96 ჰა) ფლობს სახელმწიფო;

**2.1.4. სოციალური ინფრასტრუქტურა**

კვლევის არეალის ყველა ძირითადი აქტივობა და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები თავმოყრილია დ. აღმაშენებლის ქუჩაზე გეგმარებითი ერთეულის გასწვრივ: ძირითადად განლაგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების, კომერციული და კვების ობიექტები სადაც მეტწილად დასაქმებულია ადგილობრივი მაცხოვრებლები, ხოლო ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების ობიექტები გეგმარებით ელტეულში არ არსებობს.

**2.1.5. დემოგრაფია**

საქსტატის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 179,2 ათასი კაცია, რომლის 51,2% ქალია და 48,8% მამაკაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ/კმ-ზე 65.3კაცია, ხოლო საკვლევი ტერიტორიის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 2760 ადამიანს (79 შინამეურნეობა). გარდა მუდმივი მოსახლეობისა, საკვლევი ტერიტორიის მოსახლეობის მეორე თავისებურებაა მკვეთრი სეზონური პიკები, რაც გამოწვეულია როგორც ტურისტების, ასევე ვიზიტორების, საკმაოდ დიდი რაოდენობით. ოფიციალური მონაცემები ე.წ. არამუდმივად მოსახლეობზე არ არსებობს.

ცხრილი #1

მოსახლეობის რიცხოვნობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში (1 იანვრის მდგომარეობით)

(ათასი)

	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	147,3	144,8	138,7	133,2	130,9	127,7	125,5	124,1	122,2	122,3	122,3	122,2	121,8	121,7	121,3	121,4	121,7	122,0	150,9	151,5	152,2	155,2	158,2	160,8	163,4	166,0	169,1	172,1	173,7	179,2
საქალაქო დასახლება	147,3	144,8	138,7	133,2	130,9	127,7	125,5	124,1	122,2	122,3	122,3	122,2	121,8	121,7	121,3	121,4	121,7	122,0	150,9	151,5	152,2	155,2	158,2	160,8	163,4	166,0	169,1	172,1	173,7	179,2
სასოფლო დასახლება																														

წყარო: <https://regions.geostat.ge/regions/adjara/batumi.php?lang=ka>

**2.1.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა**

**2.1.6.1** ავტომობილიზაციის სწრაფი (საქართველოში ამჟამად 1 228 000 მეტი ერთეული სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული) განვითარება და შედეგად სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობისა და სიმკვრივის ზრდა, განსაკუთრებულ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქალაქებს, რომლებშიც ავტომობილიზაციის დონეს საგრძნობლად ჩამორჩება საგზაო ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ინტენსივობების, საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის ზღვრულ სიდიდემდე მიღწევას, მიყვავართ ქალაქებში საცობების წარმოქმნამდე.

კვლევის ფარგლებში დაანგარიშებულია მოცემული საკვლევი ობიექტიდან ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი გზების მანძილები და საჭირო დრო მათ დასაფარავად.

საქალაქო მაგისტრალზე მოძრაობის ინტენსივობის პროგნოზირება, ქალაქის როგორც ცალკეულ მონაკვეთებზე ასევე მთელ საგზაო ქსელში გამტარუნარიანობის უზრუნველყოფის, ქალაქის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკინგების, მისი გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების ამოცანის გადაჭრას, დღეისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არა მხოლოდ ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმის ფორმირებისას, არამედ ქალაქის ცალკეული რაიონების ან კონკრეტული ობიექტების დეტალური გეგმის დამუშავებისას. საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. ის გავლენას ახდენს ქალაქის არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ მის სოციალურ განვითარებაზე. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციას სერიოზულ სირთულეს უქმნის, ეგრეთ წოდებული „პიკური“ დატვირთვა, რომლის დროს მნიშვნელოვნად იზრდება სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის ინტენსივობა.

თანამედროვე ქალაქებში, გადატვირთულობის სირთულეები გადაიჭრება ორი გზით: არსებულ ქუჩებზე მოძრაობის ორგანიზაციით და ქსელის რეკონსტრუქციით, რომელიც თავისი ფუნქციონალური ნიშანთვისებებით ყოფს სატრანსპორტო ნაკადს. სატრანსპორტო ნაკადის ქვეითა ნაკადისაგან გამოცალკავება უზრუნველყოფს ქუჩების მაღალ გამტარუნარიანობას.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქალაქმშენებლობის განვითარებაზე, ასევე უდიდეს ზეგავლენას ახდენს საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი თანმდევი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა. ქალაქის მობინადრეთა ცხოვრების პირობებზე, უსაფრთხოების ნორმატივების გათვალისწინებით, მათ კომფორტულ ტრანსპორტაბელურობაზე ზეგავლენას ახდენს სატრანსპორტო და ქვეითა ნაკადების გადაადგილება, მოძრაობის სიჩქარე, ავტომობილების პარკინგი და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

### 2.1.6.2. საქვეითე ინფრასტრუქტურის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები

ინტერაქტიული რუკებიდან და ადგილზე მოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტს მიმდებარედ მისაწვდომ მანძილზე გააჩნია საზ ტრანსპორტის გაჩერებები. ობიექტი მდებარეობს მჭიდრო განაშენიანებაში და ადვილად მისაწვდომია როგორც ქვეითისთვის ასევე კერძო ტრანსპორტისთვის, შესაბამისად დაგეგმილი ფუნქცია აღნიშნული ლოკაციისთვის პერსპექტიულია.

ინტერაქტიული რუკებიდან და ადგილზე მოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტს მიმდებარედ საფენმავლო მისაწვდომ (2- 15 მდე საფენმავლო წუთი) მანძილზე გააჩნია ყველა საჭირო საქალაქო-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ფუნქციის ობიექტი: მაღაზიები, სამედიცინო დანიშნულების ობიექტები, ბანკები, სავაჭრო ობიექტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული მოედნები, სარეკრეაციო-დასასვენებელი სივრცეები და სხვა მომსახურების ობიექტები \_ აღნიშნული ასახულია შემდეგ წარმოდგენილ რუკებზე

მიმდებარე ტერიტორიები მდიდარია სარეკრეაციო გამწვანებული სივრცეებით (სკვერი, პარკი), ასევე ახლოსაა (20-30 წუთის საფენმავლო მანძილზე) სანაპირო და მრავალი ტურისტული და არამხოლოდ ტურისტული მიზიდვის ობიექტი. ფაქტობრივი მდგომარეობით და ასევე პროექტის განხორციელების შემდგომ მაცხოვრებელთა გადაადგილება განხორციელდება უმეტესად ფენით და ნაკლებად გამოიყენებენ ავტომობილს, რაც სატრანსპორტო ნაკადების დატვირთვაზე დადებითად აისახება.

### 2.1.6.3 საგზაო ინფრასტრუქტურა

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელ და შემსვლელ ქვეითთა სავარაუდო გადაადგილების სქემა. მიმდებარე ქუჩებზე ძირითადი საქვეითე ნაწილი მოწყობილია, შესაბამისად ქვეითი ახერხებს უსაფრთხოდ გადაადგილებას კონსტრუქციულად გამოყოფილ ტროტუარზე.

ავტობუსების გაჩერება მისაწვდომ საფენმავლო მანძილზეა. ამ ეტაპზე საავტობუსე რეზერვები დამაკმაყოფილებელია.

მიმდებარე/მოსაზღვრე ქუჩების სამანქანო სავალი ნაწილი დამაკმაყოფილებელია. სრულად მოსაწყობია საგზაო ნიშნები. სამანქანო მოძრაობა ხორციელდება ძირითადად დაუბრკოლებლად.

ვინაიდან საკვლევ არეალზე გვხვდება სამანქანო შეჭრები ტროტუარის გავლით ასევე არარეგულირებული პარკირებები, ეს შემაფერხებელ გარემოებას ქმნის და ზიანდება არსებული საქვეითე ნაწილი, ასევე ფერხდება ქვეითი. რეკომენდირებულია დგომის ამკრძალავი ნიშანის დამონტაჟება ყველა შესაბამის ადგილას. ასევე რეკომენდირებულია ყველა შესაბამის ადგილზე შშმ პირთათვის პანდუსების მონტაჟი (ძირითადად დამონტაჟებულია).

მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების შესასვლელებზე თანმდევ განაშენიანება/რეაბილიტაციასთან ერთად რეკომენდირებულია ზებრა გადასასვლელების მონიშვნა/განახლება, ასევე საქვეითე ინფრასტრუქტურა სრულად ადაფტირდეს შშმ პირთათვის. რეკომენდირებულია მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების სამანქანე შესასვლელ/გამოსასვლელების სიგანისთვის განისაზღვროს არანაკლებ 3,5 და არაუმეტეს 6 მეტრი. ქვეითთა უსაფრთხოდ გადასადგილებლად მნიშვნელოვანია, რომ ის ძირითადად გადაადგილებოდეს კონსტრუქციულად გამოყოფილ ტროტუარზე და რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები მანძილის დაფარვა უწევდეს სამანქანე სავალი ნაწილზე, სამანქანე შესასვლელ/გამოსასვლელების გადაკვეთისას. მნიშვნელოვანია რომ ნებისმიერი საქვეითე გადაკვეთის ლოკაციის შესახებ გაფრთხილდეს გადამკვეთი სამანქანო ნაკადი შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

მიმდებარე ქუჩების საშუალო სამანქანე გამტარუნარიანობისა და ინტენსიური ქვეითთა გადაადგილების გათვალისწინებით, ობიექტიდან გამომავალი და შემავალი ავტომანქანებისათვის საჭიროა მკაცრი საგზაო რეგულაციების დაწესება. ავტოსატრანსპორტო საშუალებას მოუწევს გადაკვეთოს საფენმავლო ტროტუარი, სადაც ინტენსიურად გადაადგილება ქვეითად მოსიარულე, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როცა ქალაქში მკვეთრად იზრდება ტურისტული ნაკადები, ამიტომ უსართხობის მიზნით აუცილებელია მოეწყოს ყველა შესაბამისი საგზაო ნიშანი. შესაბამისად ობიექტიდან ავტომობილების შესვლა-გამოსვლის მანევრი რიგ შემთხვევებში შეიძლება ტრანსპორტის მოძრაობის დაბრკოლების მიზეზი გახდეს. პრობლემის მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სწორად იქნას დაპროექტებული ტროტუარზე მანქანის შესასვლელი არეალი, რათა ავტომობილს მოუწიოს რაც შეიძლება ნაკლებად დამაბრკოლებელი მანევრის შესრულება.

საერთო ჯამში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა დამაკმაყოფილებელია, არსებული პარამეტრებიდან გამომდინარე მოძრაობა ხორციელდება ძირითადად უსაფრთხოდ და შეუფერხებლად.

### 2.1.6.4 საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საკვლევ არეალში და მიმდებარე მისაწვდომ გაჩერებებზე ჩატარებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შესწავლა.

დაკვირვებები ხორციელდებოდა დამკვირვებლების მიერ, დილისა და საღამოს პიკის საათებში (სამუშაო დღეებში, 08:30 - 09:30 და 18:00 - 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის ანალიზისათვის, აღრიცხულია გაჩერებებზე ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება. დატვირთულობები შეფასდა საშუალოდ 5 ქულით\_ ავტობუსები მოძრაობდა 40%-დან 60% მდე დატვირთვით.

რის შედეგადაც დადგინდა, რომ მიმდებარე მისაწვდომ არეალში ინტენსიურად მოძრაობს საზ.ტრანსპორტი რომელსაც ამ ეტაპზე გააჩნია საკმარისი რეზერვი მგზავრთა გადასაყვანად.

**2.1.7. ტექნიკური ინფრასტრუქტურა**

საკვლევი კვლევის შედეგად დადგინდა რომ უშუალოდ გეგმარებითი ერთეულის არეალში კომუნიკაციების მასშტაბური ქსელური სისტემა არ არსებობს, დაწვრილებით არსებული ვითარების განხილვა შესაძლებელია თანდართული დასკვნებისა რუკების მეშვეობით.

გეგმარებითი ერთეულის გაზომვარაგების, ელ.მომარაგების, წყლისა და კანალიზაციის მომარაგებასთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებში გაგზავნილია წერილები საკომუნიკაციო ქსელებზე შესაძლო დაერთების ადგილების მოთხოვნით რაც წარმოდგენილი იქნება მომდგენო ეტაპზე, ხოლო მოთხოვნილი პიკური საანგარიშო სიმძლავრეები წინა საპროექტო კვლევებზე დაყრდნობით შემდგენილია:

ცხრილი #2

მოთხოვნილი სიმძლავრეები	
ელ.მომარაგება	12376 კვტ/სთ.
წყალ მომარაგება	2787 მ <sup>3</sup> /დ.დ-დან 3626 მ <sup>3</sup> /დ.დ-მდე
გაზ მომარაგება	2352კუბ.მ/სთ.

**2.1.7.1 წყალმომარაგება**

გეგმარებითი ერთეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომარაგების მიზნით ჩატარდა კვლევა რის შედეგადაც დადგინდა რომ საპროექტო ტერიტორიაზე წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი არ არსებობს, საპროექტო ობიექტის მოსალოდნელი წყალმომარაგების დატვირთვების მოთხოვნა აჭარბებს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ არსებული წყალმომარაგების ქსელის შესაძლებლობის პოტენციალს და აქედან გამომდინარე საჭიროა მოსალოდნელი დატვირთვების ათვისება განხორციელდეს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით.

სანიაღვრე - ქსელის მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე რეკომენდირებულია რამოდენიმე სანიაღვრე ჭის საშუალებით, რომლების ერთად შეკრება შესაძლებელია და არსებულ სანიაღვრე არხზე დაერთება 3 ან 2 დ200მმ (გოფირებული, პოლიეთილენი) მილით, რომელიც დაკავშირებულია აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე არხში.

წყალარინების ქსელის დაერთება რეკომენდირებულია დ400მმ-იანი ან ორი ერთეული დ200მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ მილზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს დასაერთებელი წყალმომარაგების მოცულობის 4000 მ<sup>3</sup>/დ.დ-მდე მასის გამტარიანობას.

სრულად იხ. დანართი # \_\_ წყალმომარაგების კვლევა

და

საბაზისო რუკა 1

**2.1.7.2 გაზმომარაგება**

საკვლევი ტერიტორიის მომავალი გაზიფიცირების პროგრამის შემუშავებისა და სწორად დაგეგმვის მიზნით გაანალიზებული იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სავარაუდო ბუნებრივი აირის მოხმარების, საანგარიშო, მაქსიმალური საპროექტო სიმძლავრეები და სამომავლო მოხმარების ჯამური საათური მაქსიმალური გაზის საპროექტო მოთხოვნად შეიძლება მივიღოთ 2352კუბ.მ/სთ ის მოხმარება.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის გაზის მოხმარების საანგარიშოს პიკური საპროექტო სიმძლავრის მიღებული ოდენობიდან და ტერიტორიის გეგმარებიდან გამომდინარე დასაგეგმ ობიექტამდე უნდა იქნას მიყვანილი საშუალო წნევის გაზსადენი, ხოლო ამის შემდეგ ნაგებობასთან მოხდეს შესაბამისი სიმძლავრის წნევის მარეგულირებელი კვანძების მოწყობა. მომავალი გაზის ინდივიდუალური მოხმარებლები უნდა დაერთდნენ გაზის დაბალი წნევის საფეხურზე, 25 მილიბარამდე გაზის წნევის მიწოდებით.

დეტალურად იხ: გაზმომარაგების კვლევა # --

და

საბაზისო რუკა 1

### 2.1.7.3 ელმომარაგება

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სავარაუდო ელ-მომარაგების, საანგარიშო, მაქსიმალური საპროექტო სიმძლავრე განისაზღვრა **12376 კვტ/სთ**-ით და რეკომენდაცია გაიცა, საპროექტო ობიექტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილი სატრანსფორმატორო ქვესადგურისთვის, ჯამური დადგმული სიმძლავრით 12500 კვა, 10 /0,4 კვ ძაბვის ძალოვანი ტრანსფორმატორებით და 10 და 0,4 კვ გამანაწილოლებელი მოწყობილობებით.

სატრანსფორმატორო ქვესადგურის ქსელთან მიერთება გადაწყდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გაცემული ტექნიკური პირობების შესაბამისად შესრულებული გარე ელექტროქსელის პროექტით, გეგმარებით ერთეულში საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მრავალბინიანი კომპლექსის ელ. მომარაგების ქსელის ალტერნატიული და უსფრთხო მიწოდების სქემა, წარმოდგენილი იქნება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის გდგ პროექტის წარმოდგენის დროს.

დეტალურად იხ: ელმომარაგების კვლევა # --

და

დანართი # \_\_ საბაზისო რუკა 2

### 2.1.8. ბუნებრივი ფასულობები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი შედგება ძველი ბათუმის, რუსთაველის, ბაგრატიონის, აღმაშენებლის, ჯავახიშვილის, თამარის, ხიმშიაშვილის, ბონი-გოროდოკის, აეროპორტის, კახაბრის, ბათუმის, გონიო-კვარიათის და მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეულებისაგან. ქალაქის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ბათუმის ყურეს და კახაბრის ვაკის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მდებარეობს, დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივაა გაშენებული. ბათუმი მსხვილი საერთაშორისო ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება ბუნებრივი ტბა, რომელიც ბათუმის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის შემოგარენში სუბტროპიკული მცენარეულობაა გავრცელებული. ხშირია ხელოვნურად გაშენებული პარკები და ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები. გორაკ-ბორცვებზე კი ალაგ-ალაგ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

ბათუმში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა უთოვლო ზამთრითა და თბილი ზაფხულით. იანვარში საშუალო წლიური ტემპერატურაა 7,1 °C, აგვისტოში კი — 23,2 °C

### 2.1.9 კულტურული ფასულობები

საკვლევ ტერიტორიაზე არ არსებობს კულტურის უძრავი ძეგლები. ტერიტორია ასევე მწირია კულტურული ფასულობებითაც. გეგმარებითი ერთეულის ტერიტორიიდან უახლოესი ძეგლი (*ლუდისა და ხილულო წყლების ქარხანა - # 7533. არქიტექტურის ძეგლი*) 400 მეტრის მოშორებით მდებარეობს. ჩვენს შემთხვევაში მანძილიდან გამომდინარე ჩვენი გეგმარებითი ერთეული სცდება უძრავი ძეგლის მიმართ დადგენილი ვიზუალური აღქმის 150 მეტრიან არეალს, აქედან გამომდინარე კულტურული ფასულობების მიმართ კვლევები ჩატარებული არაა.

**წყარო:** <https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable>

### 2.1.10. გეომორფოლოგია და ჰიდროლოგია

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ფორმირების გეოლოგიური წარსული დიდად განაპირობებს მის დღევანდელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს, რომელიც წარმოადგენს მრავალი გეოლოგიური ფორმაციის, გეომორფოლოგიური ფორმების, ტექტონიკური სტრუქტურების, შავი ზღვის სანაპიროს უახლოესი მოძრაობებისა და მათგან გამოწვეული სანაპირო ზოლის გადამუშავების ერთობლიობას, რაც ზემოქმედებას ახდენს ტალღების ინტენსიურ მოქმედებაზე. შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს წარმოშობა და მისი მატერიკად გარდაქმნის პირველი ნიშნები პლიოცენამდელ ეპოქას მიეკუთვნება. ამ პერიოდში ისახება კოლხეთის დაბლობის თანამედროვე სახე. მისი პირველი ნიშნები და ფორმები სარმატული პერიოდის ნეოტექტონიკურ მოძრაობებს უკავშირდება, რომლის დროსაც კოლხეთის დაბლობს ჩრდილოეთიდან უკვე კარგად ფორმირებული კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა, სამხრეთიდან კი აჭარა-თრიალეთის ახლად წარმოქმნილი მთათა სისტემები. პლიოცენ-პლეისტოცენის პერიოდი აღინიშნება გვიანი ოროგენეზული სტადიების განვითარებით, რომლის დროსაც კიდევ უფრო მკაფიო ხდება თანამედროვე კოლხეთის დაბლობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ამჟამინდელი ფორმების გამოსახვა. ამ ეპოქაში იწყება კოლხეთის დაბლობის დაძირვა და შევსება მიმდებარე მთათა სისტემებიდან დენუდირებული მასალით, რომლის სიმძლავრე 1,5-2,0 კმ აღწევს. პლეისტოცენური ეპოქის ბოლოს კი ადგილი აქვს მნიშვნელოვან რეგრესიას (-60.0 მ), რამაც ეს პროცესები კიდევ უფრო გააძლიერა. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული ზღვის უძველესი ტერასების წარმოქმნა, რომლებიც მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დღეს შემორჩენილი. ამ ეპოქის ბოლოს კოლხეთის დაბლობმა და მისმა მიმდებარე არემ თანდათან ის სახე მიიღო, რომელიც დღეს მას გააჩნია. მეოთხეული პერიოდის განმავლობაში მას მნიშვნელოვანი ცვლილებები (გეოლოგიური გაგებით) არღარ განუცდია. წარსულში მიმდინარე გეოლოგიურმა გარდაქმნებმა ჩამოაყალიბეს ის ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც დღეს განაპირობებენ საკვლევ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებს. ესენია: კლიმატი, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმური პირობები და ჰიდროგეოლოგი

### 2.1.11 კლიმატი


#### ზოგადი კლიმატური მონაცემები

აჭარის ზღვისპირეთში სუბტროპიკული ჰავაა. აქ თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქარბტენიანია, ვიდრე აჭარის მაღალმთიანი რაიონები. მაღალმთიანი რაიონები დიდთოვლიანობით გამოირჩევა, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს. სწორედ ამიტომ ზაფხულში ტემპერატურა უფრო დაბალია 22-24°C დაბლობში და 17-21°C მაღლობში. ხოლო, ზამთრში ბათუმში ტემპერატურა 4-6°C, როცა მაღალმთიან რაიონებში 3-2°C აღწევს.

ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავითაა გამორჩეული. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 15°C, იანვარში - 7°C, აგვისტოში - 23°C. ნალექები - 2.560 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე - 81%. ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 17°C-ია. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნებრივი ტბა, რომელიც ამჟამად ბათუმის 6 მაისის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

საკვლევო უბნის ტერიტორია ნოტიო სუბტროპიკული ჰავით, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით ხასიათდება. იგი საამშენებლო-კლიმატოლოგიური (სნ. და წ. პნ. 01.05-08 „საამშენებლო კლიმატოლოგია“) დარაიონების მიხედვით IIIბ ქვე-რაიონში შედის. (იხილეთ ილ. # 2).

#### ილ. # 2.



ქვემოთ ცხრილებისა და რუკების სახით ნაჩვენებია მრავალნიანი დაკვირვებების მონაცემები როგორც: ქარის, ტემპერატურის, ნალექების, ტენიანობისა და ელქექის მონაცემები, ასევე წარმოდგენილია იმიტირებული ამინდის დიაგრამები რომლებიც შედგენილია საიტდან: <https://www.meteoblue.com>

ცხრილი 3.4.1

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები (მ/წმ) აჭარის სანაპიროზე

სადგური/თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	სამ. წლ.
ბათუმი	6.8	5.3	4.8	4.2	2.4	3.4	2.8	2.8	2.8	4.6	3.5	6.9	4.4

ქარის სხვადასხვა მნიშვნელობების ალბათობა მოცემულია ცხრილში 1.4.2 ხოლო ზღვიერი ქარების ხანგრძლივობა დღეებში - ცხრილში 3.4.3.

სხვადასხვა სიჩქარის ქარის ალბათობები (%)

ცხრილი 3.4.2

თვე	ქარის სიჩქარეთა გრადაციები/წმ						
	0 _ 2	3 _ 5	6 _ 8	9 _ 11	10 _ 14	15 _ 17	> 18
I	58.2	29.9	5.5	3.8	1.6	0.7	0.3
IV	66.5	28.0	3.6	1.2	0.5	0.2	–
VII	71.9	25.6	2.3	0.2	0.1	–	–
X	67.5	27.2	3.4	1.3	0.3	0.2	0.1

შკვალის ტიპის ძლიერი ქარების სიჩქარე შეიძლება აღწევდეს 28-30 მ/წმ-ს, იშვიათად – 36 მ/წმ (მდ.ჭოროხის ხეობა).სანაპიროზე ხშირია დღეღამური ბრიზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჰაერის ცირკულაციაში. სხვადასხვა მიმართულების ქარების საშუალო წლიური განმეორებადობა მოცემულია ცხრილში 3.4.3

სხვადასხვა მიმართულების ქარების საშუალო წლიური განმეორებადობა

რუმბი/სად.	ჩრდ.	ჩრდ.აღ	აღ	სამ.აღ	სამხ.	სამ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
საზღვაო	9	8	11	13	12	24	14	9	18
სახმელეთო	4	1	3	54	2	20	11	5	19

ცხრილი 3.4.3

აჭარა საქართველოს ყველაზე თბილი რეგიონია. ზღვის სანაპიროზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა მერყეობს იანვარში \_ 6.50-დან 7.00-მდე – აგვისტოში 220-240–ის ფარგლებში

ცხრილი 3.4.4

სადგ/თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	wl
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4
ჩაქვი	6.2	6.5	8.3	11.5	15.7	19.6	22.2	22.6	19.7	16.1	12.0	8.4	14.1
ბათუმი (ქალაქი)	7.1	7.2	8.4	11.5	15.8	20.0	22.8	23.2	20.3	16.6	12.0	8.6	14.5
ბათუმი (ჰიდრომეტ სადგური)	6.5	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.3	16.5	12.4	8.9	14.3
ბათუმი (შუქურა)	6.7	6.7	8.2	11.3	15.9	20.2	22.9	23.1	20.1	16.2	12.1	9.0	14.4

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -100-ზე დაბლა არ ჩამოდის, აბსოლუტური მაქსიმუმი შეიძლება აღწევდეს +400-ს. (ჯავახიშვილი, 1979).

სანაპირო ზონაში ზღვის ზედაპირული წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა. შეადგენს 140-150-ს, ზაფხულში 230-240-ს. აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირებულია აგვისტოში და ტოლია 27.50-28.00. აბსოლუტური მინიმუმი – თებერვალში – +7.50. საშუალოთვიური ტემპერატურები მოცემულია ცხრილში 3.4.6.

წყლის საშუალოთვიური ტემპერატურები სანაპირო ზონაში

ცხრილი 3.4.5

T v e	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
t c o	9 .7	8 .9	8 .5	8 .8	1 3 .2	3 2 .8	2 4 .1	2 5 .0	2 3 .8	1 9 .8	1 5 .0	1 0 .0

აჭარა ყველაზე უხვნალექიანი რეგიონია საქართველოში. ზღვის სანაპიროზე ნალექიანი დღეების რიცხვი შეადგენს დაახლოებით 170. ნალექების რაოდენობის სეზონური გადანაწილება პროცენტებში მოცემულია ცხრილში 3.4.7.

ნალექების საშუალო მრავალწლიური სეზონური რაოდენობა (%)



ცხრილი 3.4.6

ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
27	14	23	36

მათი საშუალო თვიური და საშუალო წლიური განაწილება რაიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.4.8

ნალექების საშუალო მრავალწლიური და მრავალთვიური მნიშვნელობები (მმ)

ცხრილი 3.4.7

ბათუმი													
ნორმალური მაღალი	247	203	160	113	85	152	174	248	321	291	284	253	2531
დაბალი	522	490	324	238	215	524	407	629	703	703	854	508	3943
	51	29	20	13	5	40	24	54	47	19	20	27	1659

თავსმაწვიმიანი დღეების მეტი ნაწილი, როდესაც წვიმების ინტენსიობა აღემატება 0.5 მმ/წთ, აღინიშნება მახინჯაურში \_ 23.1 დღე/წელი. თავსმა წვიმები შეადგენენ ნალექების საერთო ჯამის 30-40 %, ხოლო მათი ხანგრძლივობა საშუალოდ 8- 10% (ჯავახიშვილი, 1979).

ზღვის სანაპიროზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (200 მ სიმაღლემდე) მყარი ნალექების წილი ნალექების საერთო ჯამის 2-10% შეადგენს.

ელქეებს ძირითადად ადგილი აქვთ ზაფხულის თვეებში. მათი განაწილება წლის განმავლობაში მოცემულია ცხრილში 3.4.10.

ელქეიანი დღეების მაქსიმალური რიცხვი თვეების მიხედვით

ცხრილი 3.4.8

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
3	4	2	3	6	14	14	13	14	8	5	5	52

აჭარაში ჰაერის ფარდობითი ტენიანობის სიდიდე ნაკლებად ცვალებადია სეზონურ ქრილში. ზამთარში, გაბატონებული აღმოსავლეთის მშრალი ქარების დროს, იგი მცირდება, ხოლო ზაფხულში, დასავლეთის ნოტიო ქარების პირობებში \_ იზრდება (ცხრილი 3.4.11).

ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ფარდობითი ტენიანობა (%)


ცხრილი 3.4.9

სადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ბათუმი	74	77	80	80	81	78	78	80	82	83	80	73	79

სქემა 1 საქართველოს საკურორტო-კლიმატური დარაიონება




სქემა 2 დასავლეთ საქართველოს ტემპე




სქემა 3 დასავლეთ საქართველოს კლიმატური დარაიონება



სქემა 4 მზის ინსოლიაცია დასავლეთ საქართველოში



სქემა 5 ნალექების განაწილება







სქემა 6 ქარის საშუალო სიჩქარეები დასავლეთ საქართველოში




ჰიდროდინამიკური კვლევები გეგმარებითი ერთეულის მიმდებარედ სანაპირო ზოლში მოსალოდნელი ქარები და ტალღები

ნახაზი 1. ქარის რეჟიმი




ნახაზი 2. ქარის რეჟიმი


ბათუმის რეგიონი – ქარის მიმართულება და სიჩქარე







ბათუმის რეგიონი – ქარის მიმართულება და სიჩქარე - კორელოგრამა



ბათუმის რეგიონი – ქარის მიმართულება და სიჩქარე – წლიური ცვალებადობის დიაგრამა




ნახაზი 3. ქარის რეჟიმი




ნახაზი 4. ქარის რეჟიმი


ბათუმის რეგიონი – დროში დაკვირვების რიგები




ბათუმის რეგიონი



ბათუმის რეგიონი – დროში დაკვირვების რიგები







ბათუმის რეგიონი






ნახაზი 5. ქარის რეჟიმი




ნახაზი 6. ქარის რეჟიმი


ბათუმის რეგიონი –  $T_p/Hm0$



ბათუმის რეგიონი –  $Dirp/Hm0$




ბათუმის რეგიონი –  $Dirp/Tp$






ნახაზი 8. ქარის რეჟიმი


ბათუმის რეგიონი – მიმართულების სექტორები – Hm0-ის გადაჭარბების სიხშირის მრუდი







ბათუმის რეგიონი – მიმართულების სექტორები – Dirp/Hm0







ბათუმის რეგიონი – მიმართულების სექტორები – Tp-ის გადაჭარბების სიხშირის მრუდი



ნახაზი 9. ქარის რეჟიმი




ნახაზი 10. ქარის რეჟიმი




ნახაზი 11. ქარის რეჟიმი

ბათუმის რეგიონი – Hm0 – წლიური ცვალებადობის დიაგრამა



ბათუმის რეგიონი – Tp – წლიური ცვალებადობის დიაგრამა



2.1.12 სეისმოლოგია გეოლოგია

საპროექტო ტერიტორიის ზოგადი მახასიათებლები

(ადგილმდებარეობა, საზღვრები, მორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური სტრუქტურა)


მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზღვის სანაპირო ზოლის საზღვარი ხოლო დანარჩენი მხრიდან ესაზღვრება ქალაქის კვარტალური განაშენიანება.

მორფოლოგიის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზღვაო ტერასთან, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები 1.5 მ-დან 9.8 მ-მდეა (ბალტიის სიმაღლეთა სისტემაში).

დასახელება	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
კომერციული	ჭირველი და მულოე სართულები	1628 მ <sup>2</sup>

### კორპუსი № 6

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახელება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	276	16698 მ <sup>2</sup>

### კორპუსი № 7

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახელება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	230	12857 მ <sup>2</sup>

### კორპუსი № 8

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახელება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	276	17020 მ <sup>2</sup>

### კორპუსი № 9

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახელება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	230	13064 მ <sup>2</sup>

### კორპუსი № 10

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახელება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	276	14271 მ <sup>2</sup>

**კორპუსი № 11**

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახლება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	276	14271 მ <sup>2</sup>

**კორპუსი № 12**

სართულიანობა 23 სართ.

საცხოვრებელი დანიშნულება		
დასახლება/ტიპი	რაოდენობა	ფართი კვ.მ.
საცხოვრებელი ბინები	230	12719 მ <sup>2</sup>

პროექტის კონცეფციის შესაბამისად:

საცხოვრებელი ბინების სავარაუდო საერთო ფართი იქნება 161516 კვ.მ.

კომერციული დანიშნულების სავარაუდო საერთო ფართი იქნება 7652 კვ.მ.

სავარაუდო სამშენებლო საცხოვრებელი მოცულობიდან სუფთა ფართობის გამოსათვლელად გამოვიყენეთ კოეფიციენტი „0.2“, ანუ საცხოვრებელი მოცულობიდან ნავარაუდევია, რომ საშუალოდ 20% დაიკავებს არასაცხოვრებელ ფართებს/სივრცეს: დერეფნები, სათავსები, ლიფტი, აივანი, სველი წერტილი, კიბის უჯრედი და სხვა.

შედეგად სავარაუდო საორიენტაციო საცხოვრებელი სუფთა ფართობი იქნება:

$$161516 \times 0.8 = 129212.8 \text{ კვ.მ}$$

იგივე მეთოდით, სავარაუდო საორიენტაციო სუფთა კომერციული ფართი იქნება:

$$7652 \times 0.8 = 6121.6 \text{ კვ.მ.}$$



მიწის ნაკვეთის ფართობი:		33589	კვ/მ
დაგეგმილი ფუნქციები:	დომინირებული საცხოვრებელი + საზოგადოებრივი		
კ2 კოეფიციენტი:	არ აღემატება	2.5	
სავარაუდო სუფთა საცხოვრებელი ფართობი:		129212.8	კვ/მ
სავარაუდო სუფთა საზოგადოებრივი ფართობი:		6121.6	კვ/მ



დღიური გენერირებული გადაადგილების რაოდენობა სუფთა საცხოვრებელი ფართის მიხედვით				
სუფთა საცხოვრებელი ფართი (კვ/მ)	დაკავებულობის კოეფიციენტი	მაცხოვრებელთა რაოდენობა	გადაადგილების კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
129,213	18.6	6947	1.56	<b>10837</b>

		10837 მგზავრობისთვის	
დილის პიკის საათის წილი =	30.00%	<b>3251</b>	გადაადგილება
საღამოს პიკის საათის წილი =	22.00%	<b>2384</b>	გადაადგილება

წარმოქმნილი მგზავრობების მოდალურად გასანაწილებლად განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიის ლოკაციისთვის, შინამეურნეობის გადაადგილების კვლევის (SYSTRA) სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილზე გამოკითხვისა და დაკვირვების შედეგად, მიღებულ საორიენტაციო მონაცემებზე დაყრდნობით, სატრანსპორტო ნაკადების მოდალური განაწილებას.

**აღნიშნული მონაცემები საორიენტაციოა და არ წარმოადგენს ზუსტ შედეგებს.**

ქვემოთ წარმოგიდგენთ საპროექტო ტერიტორიიდან წარმოქმნილი მგზავრობების მოდალურ განაწილებას დიაგრამებისა და ცხრილის სახით, დილისა და საღამოს პიკის საათებისათვის.




გენერირებული გადაადგილებები დილის პიკის საათებში (8:00-11:00)

დათვლილია სუფთა საცხოვრებელი ფართიდან

გადაადგილების რაოდენობა 10837

დილის პიკის საათის წილი 30 % სულ: 3251 მგზავრობა

ავტომობილის მძღოლი	15.0%	488
ავტომობილის მგზავრი	10.0%	325
საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრი	20.0%	650
ქვეითი	40.0%	1300
ტაქსის მგზავრი	15.0%	488
სხვა	0.0%	0
	100.00%	3251




## მიზიდული გადაადგილებები საღამოს პიკის საათებში (18:00-19:00)

დათვლილია სუფთა საცხოვრებელი ფართიდან

გადაადგილების რაოდენობა 10837

საღამოს პიკის საათის წილი 22 % სულ: 2384 მგზავრობა

ავტომობილის მძღოლი	15.0%	358
ავტომობილის მგზავრი	10.0%	238
საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრი	20.0%	477
ქვეითი	40.0%	954
ტაქსის მგზავრი	15.0%	358
სხვა	0.0%	0
	100.00%	2384



## შედეგები და რეკომენდაციები


საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და ზოგადად მგზავრთნაკადის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკვლეულ გაჩერებებზე და მიმდებარე ქუჩებზე საზ. ტრანსპორტი მოძრაობს საშუალო დატვირთულობით. მნიშვნელოვანი გადატვირთულობები ტრანსპორტზე არ აღინიშნა.

საზ. ტრანსპორტის უახლოესი გაჩერებები 2-5 წუთის მისაწვდომ საფეხმავლო მანძილზეა, სადაც მოძრაობს საზ. ტრანსპორტის ძირითადი ხაზები, რომლის მარშრუტებიც მთელ ქალაქზე ვრცელდება.

მიმდებარე/მოსაზღვრე მთავარი ქუჩების სამანქანო და საქვეითო სავალი ნაწილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მოძრაობა ხორციელდება უსაფრთხოდ და მხოლოდ მცირე შეფერხებებით. მოწყობილია ძირითადი საგზაო ნიშნები. ხშირად გვხვდება არარეგულირებული პარკირებები რაც საქვეითო და ასევე სამანქანო მოძრაობასაც აფერხებს. რამოდენიმე ადგილას რეკომენდირებულია პარკირების ამკრძალავი ნიშნების მონტაჟი და ტროტუარების კიდეებზე ბარიერების/ „ბოჭკინტების“ მოწყობა რათა არ მოხდეს საქვეითე ნაწილზე მანქანის თვითნებურად პარკირება. ასევე რეკომენდირებულია სამანქანე სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების განახლება. გამოკვლეულ ქუჩებზე 2 ადგილას დაფიქსირდა სამშენებლო ან/და სარემონტო სამუშაოები ნორმების დარღვევით საქვეითო სავალი ნაწილის შევიწროების ან/და ჩახერგვით, რაც დროებითია. რამოდენიმე ადგილას განსაახლებელია ტროტუარის ასევე სამანქანო სავალი ნაწილის ზედაპირი. ხოლო ტაბიძის ჩიხში რეკომენდირებულია მოეწყოს ტროტუარი გზის მთელ სიგრძეზე ცალ მხარეს მაინც.

საპროექტო ობიექტს საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში გააჩნია ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ფუნქციის მქონე ობიექტი. მიმდებარე ტერიტორია მდიდარია სარეკრეაციო გამწვანებული სივრცეებით (სკვერი, პარკი), ასევე საქვეითოდ მისაწვდომია სანაპირო, ბულვარი და მრავალი ტურისტული და არამხოლოდ ტურისტული მიზიდვის ობიექტი. ფაქტობრივი მდგომარეობით და ასევე პროექტის განხორციელების შემდგომ მაცხოვრებელთა გადაადგილება განხორციელდება უმეტესად ფეხით და ნაკლებად გამოიყენებენ ავტომობილს, რაც სატრანსპორტო ნაკადების დატვირთვაზე დადებითად აისახება.

პროექტის განხორციელების შემდგომ მოწესრიგდება და გაუმჯობესდება საპროექტო ნაწილში საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა.




### საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

#### სპეციფიკაცია

- 2.1 - 4G
- 2.3 - 23G
- 4.1.1 - 1G
- 4.1.2 - 1G
- 4.1.4 - 9G
- 4.1.5 - 8G
- 5.19.1 - 40G
- 5.19.2 - 40G
- 7.3.1 - 1G
- 7.4 - 21G
- 8.6.6 - 21G
- 8.17 - 12G

- პრობუნტაჟური მიწიშენა 1.1
- პრობუნტაჟური მიწიშენა 1.3
- პრობუნტაჟური მიწიშენა 1.5
- პრობუნტაჟური მიწიშენა 1.6
- პრობუნტაჟური მიწიშენა 1.12


#### შპს პირთაძის არქიტექტურული კაბუნის (ანგარიში)



მ. ბაიუნაძე, არხიტექტორი შოქის ნაკვეთის (ანგარიში) ს.პ. 05.25.05.220; ს.პ. 05.25.05.223; ს.პ. 05.25.05.215; ს.პ. 05.25.05.168; ს.პ. 05.25.05.177; ს.პ. 05.25.05.225; ს.პ. 05.25.05.176; ს.პ. 05.25.05.226; 05.25.05.224; 05.25.05.193; 05.25.05.083; 05.25.05.187; 05.25.05.184; 05.25.05.181; 05.25.05.179; 05.25.05.182; 05.25.05.183; 05.25.05.185; 05.25.05.084; 05.25.05.165; 05.25.05.082 საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა













შპს პირთაძის არქიტექტურული კაბუნის (ანგარიში)






შემსრულებელი: "ნაიო პროექტ ბიურო"  
 ს.ნ. : 406381080  
 ტელ.: 598 33 31 32




საგზაო მოძრაობის  
ორგანიზების სქემა

სპეციფიკაცია


-  - 2.1 - 40
-  - 2.3 - 230
-  - 4.1.1 - 10
-  - 4.1.2 - 10
-  - 4.1.4 - 90
-  - 4.1.5 - 80
-  - 5.19.1 - 400
-  - 5.19.2 - 400
-  - 7.3.1 - 10
-  - 7.4 - 210
-  - 8.6.6 - 210
-  - 8.17 - 120

-  - პროტონტაჟური მიწისფენი 1.1
-  - პროტონტაჟური მიწისფენი 1.3
-  - პროტონტაჟური მიწისფენი 1.5
-  - პროტონტაჟური მიწისფენი 1.6
-  - პროტონტაჟური მიწისფენი 1.12

შპს პირემისთვის ავსებთივანული (ანგუზი)






მ. ბაიუშვი, არსებული მიწის ნაკვეთი(ებ)ისათვის ს.პ.  
05.25.05.220; ს/კ 05.25.05.223; ს/კ 05.25.05.215; ს/კ 05.25.05.168; ს/კ  
05.25.05.177; ს/კ - 05.25.05.225; ს/კ 05.25.05.176; ს/კ 05.25.05.226;  
05.25.05.224; 05.25.05.193; 05.25.05.083; 05.25.05.187; 05.25.05.184;  
05.25.05.181; 05.25.05.179; 05.25.05.182; 05.25.05.183; 05.25.05.185;  
05.25.05.084; 05.25.05.165; 05.25.05.082 საგზაო მოძრაობის  
ორგანიზების სქემა

 შპს პირეის ანგუზი

შემსრულებელი : "ნეო პროექტ გრუპი"  
ს.ნ : 406381080  
ტელ: 598 33 31 32



პანდუსების რეკომენდირებული ნიმუშები



## შეჯამება:

სამანქანე ინფრასტრუქტურა \_ დამაკმაყოფილებელი

საქვეითე ინფრასტრუქტურა \_ დამაკმაყოფილებელი (ყირადღება მისაქცევია რამოდენიმე მონაკვეთი)

მიმდებარე გზაზე და კვანძებზე სამანქანე მოძრაობა \_ გადატვირთულობა არ დაფიქსირდა ავტობუსები \_ მისაწვდომია

საავტობუსე რეზერვები \_ დამაკმაყოფილებელია

ლოკაცია \_ ფუნქციებისა და მდებარეობის გათვალისწინებით დაგეგმილი საცხოვრებელი კომპლექსი საპროექტო ტერიტორიისთვის პერსპექტიულია

## დასკვნა:

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ გეგმარებითი ერთეულის მოცემულ საკვლევ ობიექტზე/ნაკვეთზე დაგეგმილი ობიექტის მშენებლობის განხორციელება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციის/მსჯელობის გათვალისწინებით, ვერ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- შინამეურნეობების გადაადგილების კვლევა (SYSTRA)
- საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ
- თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში



შ.პ.ს. „ნეო პროექტ გრუპი“



598 33 31 32

ქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 05.25.05.220; 05.25.05.223; 05.25.05.215; 05.25.05.168; 05.25.05.177/; 05.25.05.176; 05.25.05.226; 05.25.05.225; 05.25.05.082; 05.25.05.224; 05.25.05.165; 05.25.05.084; 05.25.05.193; 05.25.05.083; 05.25.05.185; 05.25.05.187; 05.25.05.184; 05.25.05.182; 05.25.05.183; 05.25.05.18; 05.25.05.179) განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების

## სკრინინგის განცხადება

შემსრულებელი შპს „ენვილაბი“

დირექტორი



გიორგი ზაზაძე

თბილისი, 2024

## სარჩევი

1	შესავალი .....	5
2	ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი .....	6
3	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.....	7
4	სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართება.....	11
5	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ .....	13
5.1	კლიმატური პირობები .....	13
5.2	კლიმატის მიმდინარე ცვლილება.....	17
5.3	გეოლოგიური აგებულება .....	26
5.4	ბიომრავალფეროვნება.....	27
5.4.1	მცენარეული საფარი და ჰაბიტატები .....	27
5.4.2	ცხოველთა სამყარო.....	27
5.5	დაცული ტერიტორიები.....	44
5.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები.....	46
5.7	საპროექტო ტერიტორიის გარემოს დაბინძურების ხარისხი .....	47
5.7.1	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი .....	47
6	გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები და მასშტაბი .....	55
6.1	მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე დახასიათება .....	55
6.2	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება .....	56
6.3	ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება.....	59
6.4	ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება .....	60
6.5	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება .....	60
6.6	დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება .....	61
6.7	ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება .....	62
6.8	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.....	66
6.9	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედება .....	66
6.10	სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება .....	66
6.11	ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები .....	67
6.12	სოციალურ გარემოზე ზემოქმედება .....	67
6.13	კუმულაციური ზემოქმედება.....	68
7	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების გზების განსაზღვრა .....	90
8	დანართები .....	102
8.1	დანართი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება გეგმარებითი ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე.....	102

### ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1.1. ინფორმაცია პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი კომპანიის შესახებ.....	5
ცხრილი 5.1. სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები.....	14

ცხრილი 5.2. სამშენებლო-კლიმატური დარაიონება .....	14
ცხრილი 5.3. მზის ამოსვლის (A) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი).....	14
ცხრილი 5.4. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა.....	15
ცხრილი 5.5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა .....	15
ცხრილი 5.6. ნალექების რაოდენობა .....	15
ცხრილი 5.7. თოვლის საფარი .....	15
ცხრილი 5.8. ქარის მახასიათებლები .....	15
ცხრილი 5.9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ.....	16
ცხრილი 5.10. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები ( $^{\circ}\text{C}$ ) .....	16
ცხრილი 5.11. ატმოსფერული ჰაერის დღედამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები ( $^{\circ}\text{C}$ ) .....	16
ცხრილი 5.12. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები ( $^{\circ}\text{C}$ ) .....	16
ცხრილი 5.13. ატმოსფერული ჰაერის დღედამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები ( $^{\circ}\text{C}$ ).....	16
ცხრილი 5.14. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები ( $^{\circ}\text{C}$ ).....	16
ცხრილი 5.15. ფარდობითი ტენიანობა .....	16
ცხრილი 5.16. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ) .....	16
ცხრილი 5.17. ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში.....	16
ცხრილი 5.18. ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა.....	17
ცხრილი 5.19. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე .....	17
ცხრილი 5.20. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა .....	17
ცხრილი 5.21. საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები .....	27
ცხრილი 5.22. საკვლევ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა სახეობები.....	28
ცხრილი 5.23. საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული და ლიტერატურულად ცნობილი ფრინველთა სახეობები.....	32
ცხრილი 5.24. საკვლევ ტერიტორიაზე ლიტერატურულად ცნობილი და სავლევ კვლევის დროს დაფიქსირებული სახეობები.....	42
ცხრილი 5.25. PM10-ის, PM2.5-ის და NO2-ის საშუალო წლიური კონცენტრაციები (01.01.2022-31.12.2022).....	50
ცხრილი 5.26. მავნე ნივთიერებების საშუალო წლიური კონცენტრაციების (მკგ/მ <sup>3</sup> ) ცვლილება 2018–2022 წლების მონაცემების მიხედვით .....	51
ცხრილი 5.27. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2024 წლის ივლისის თვე, (NO <sub>2</sub> , SO <sub>2</sub> , PM <sub>2.5</sub> , PM <sub>10</sub> , O <sub>3</sub> -მკგ/მ <sup>3</sup> ; CO-მგ/მ <sup>3</sup> ).....	51
ცხრილი 5.28. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები.....	53
ცხრილი 5.29. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში.....	53

ცხრილი 6.5. ინფორმაცია კონცეფციით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ.....	62
ცხრილი 7.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები .....	91

**ილუსტრაციების ჩამონათვალი**

ილუსტრაცია 3.1. გეგმარებითი ტერიტორიის სიტუაციური სქემა .....	9
ილუსტრაცია 5.1. ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების, ძირითადი სამიგრაციო მარშრუტებისა და გეგმარებითი ერთეულის ურთიერთგანლაგების სქემა.....	31
ილუსტრაცია 5.2. გეგმარებითი ტერიტორიის და დაცული ტერიტორიების ურთიერთგანლაგების სქემა.....	45
ილუსტრაცია 5.3. გეგმარებითი ტერიტორიისა და ზურმუხტის ქსელის საიტის ურთიერთგანლაგების სქემა.....	46
ილუსტრაცია 5.4. გეგმარებით ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი .....	47
ილუსტრაცია 5.5. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - MAP.EMOE.GOV.GE.....	48
ილუსტრაცია 5.6. მყარი ნაწილაკების (PM10 და PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაციები, მკგ/მ <sup>3</sup> .....	51
ილუსტრაცია 6.1. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - MAP.EMOE.GOV.GE.....	58
ილუსტრაცია 6.2. სამშენებლო ნარჩენების განთავსებისათვის საჭირო კონტეინერის მაგალითი .....	65
ილუსტრაცია 6.3. ელექტრონული განცხადებები ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ქალაქმშენებლობითი პროექტების მომზადებასთან დაკავშირებით .....	69
ილუსტრაცია 6.4. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი .....	73

## 1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 05.25.05.220; 05.25.05.223; 05.25.05.215; 05.25.05.168; 05.25.05.177/; 05.25.05.176; 05.25.05.226; 05.25.05.225; 05.25.05.082; 05.25.05.224; 05.25.05.165; 05.25.05.084; 05.25.05.193; 05.25.05.083; 05.25.05.185; 05.25.05.187; 05.25.05.184; 05.25.05.182; 05.25.05.183; 05.25.05.18; 05.25.05.179) განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განცხადებას.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ივლისის ბრძანება (ბრძანება:ბ14. 142419830) ქალაქ ბათუმში გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების ინიცირების გაცემის შესახებ.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ერთერთ ძირითად ინსტრუმენტს. სგშ-ს შეფასების პროცედურა ქმნის საფუძველს სხვადასხვა სფეროებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა ქალაქგეგმარება, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, რეგიონული განვითარება, მიწათსარგებლობა, ნარჩენების, ან წყლის რესურსების მართვა და სხვა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე სამომავლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

სგშ-ს პროცედურა საშუალებას იძლევა გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა შეძლონ სხვადასხვა საპროექტო გადაწყვეტილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების ურთიერშედარება. შესაბამისად, სგშ აუშჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და მის მიმართ სანდოობას. საბოლოო ჯამში, სგშ წარმოადგენს კარგ საშუალებას რათა შესაბამისმა ორგანოებმა, მიიღონ ეკონომიკური განვითარების სწორი გადაწყვეტილებები, რომლებიც თანაბრად სასარგებლო იქნება როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის, ასევე მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

**ცხრილი 1.1. ინფორმაცია პროექტის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიშის შემუშავებელი კომპანიის შესახებ.**

დამგეგმავი ორგანო	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი	ლ. ასათიანის ქ. N25, ბათუმი (6010)
ელექტრონული ფოსტა	<a href="mailto:info@batumi.ge">info@batumi.ge</a>
ტელეფონი	(0422) 27 26 26
სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებელი კომპანიის დასახელება	შპს "არტ-დიზაინ+"
საიდენტიფიკაციო ნომერი	247007297
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქობულეთის რაიონში, კომახიძის 16
წარმომადგენელი პირი	მალხაზ ქათამაძე
წარმომადგენელი პირის მობ.	+995 551 37 37 33
წარმომადგენელი პირის ელ-ფოსტა	mggroup1975@gmail.com

სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაცია	შპს „ენვილაბი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	423101636
იურიდიული მისამართი	ასპინძის რაიონი, სოფელი თმოგვი
წარმომადგენელი პირი	გიორგი ზაზაძე
წარმომადგენელი პირის მობ.	598 50 60 13
წარმომადგენელი პირის ელ-ფოსტა	zazadze@outlook.com
<b>ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ</b>	
სტრატეგიული დოკუმენტის სტატუსი	ახალი
სტრატეგიული დოკუმენტის დონე	მუნიციპალური
სტრატეგიული დოკუმენტის სექტორი	დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა

## 2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლის მიზნით, დოკუმენტაცია გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებში წარმოდგენილი უნდა იქნას დამგეგმავი ორგანოს მიერ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 20-ე მუხლის მე-6 პუნქტის, მიხედვით თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ კონკრეტული პროექტისთვის სგმ-ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგმ-ს საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგმ.

სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის განხორციელების და სათანადო ანგარიშის შედგენის შემდეგ დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) მიმართოს სკრინინგის განცხადებით, წარუდგინოს სკრინინგის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი. დამგეგმავი ორგანო – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია სააგენტოს და ჯანდაცვის სამინისტროს წარუდგენს სკრინინგის ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია/პროექტს სგმ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

სააგენტო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 1 დღის ვადაში ამ განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას ან პროექტს უგზავნის გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრს (შემდგომში ცენტრი). ცენტრი გამოგზავნილი დოკუმენტების მიღებიდან 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე მათ განთავსებას. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ჯანდაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო აღნიშნულ განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას ან პროექტს თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებენ, ხოლო ცენტრი უზრუნველყოფს აგრეთვე სკრინინგის



განცხადების შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. მოთხოვნის შემთხვევაში ცენტრი და ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფენ ამ დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის ან პროექტის მითითებულ ვებგვერდებსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარადგინოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. სააგენტო და ჯანდაცვის სამინისტრო იხილავენ საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებენ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სააგენტო და ჯანდაცვის სამინისტრო იხილავენ დამგეგმავი ორგანოს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად წარდგენილ სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას ან პროექტს და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებებს სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ისადმი დაქვემდებარების შესახებ.

### 3 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

შპს „სონა“(ს/ნ. 445533646); შპს „ ოფის ლაინი“(ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265);სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346) საკუთრებაში არსებული 33589,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთები (ს.კ. ნაკვეთი #1.- 05.25.05.220 / ნაკვეთი #2.-05.25.05.223 / ნაკვეთი #3.- 05.25.05.215 / ნაკვეთი #4.- 05.25.05.168 / ნაკვეთი #5.- 05.25.05.177 / ნაკვეთი #6.- 05.25.05.176 / ნაკვეთი #7.- 05.25.05.226 / ნაკვეთი #8.- 05.25.05.225 / ნაკვეთი #9. 05.25.05.082 / (ნაკვეთი #10.- 05.25.05.224 / ნაკვეთი #11. 05.25.05.165 / ნაკვეთი#12.- 05.25.05.084 / ნაკვეთი #13. 05.25.05.193 / ნაკვეთი #14.- 05.25.05.083 / ნაკვეთი #15. 05.25.05.185 / #16. 05.25.05.187 / ნაკვეთი #17. 05.25.05.184 / ნაკვეთი #18. 05.25.05.182 / ნაკვეთი #19. 05.25.05.183 / #20.- 05.25.05.181 / ნაკვეთი #21.- 05.25.05.179.) შემდგომში გეგმარებითი ერთეული, მდებარეობს ქ. ბათუმის ერთერთ ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ დ. აღმაშენებლის, პ. ბაგრატიონისა და გ. ტაბიძის ქუჩებს შორის მოქცეულ კვარტალში, მას სამხრეთ დასავლეთის მხრიდან მთელ სიგრძეზე ესაზღვრება დ. აღმაშენებლის ქუჩა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის; ჩრდილო-დმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საშუალო ინტენსივობის მქონე განაშენიანება.

საარქივო მონაცემებით, ტერიტორია შედგება თანამედროვე ხრეში-კენჭოვანი და თიხნარი ნიადაგებით, რომლებიც ყველგან არის დაფარული თანამედროვე ტექნოლოგიური ნიადაგების მიერ.

საპროექტო ტერიტორიის საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად.

გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია მეოთხეული ასაკის, ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, სნ და წ „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01.09). საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 7 (შვიდი) ბალიანი სეისმურობის ზონას.

განაშენიანების რეგულირების გეგმის კონცეპცია არსებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შეცვლის მიზნით მომზადდა შპს „არტ-დიზაინი+“ ის საპროექტო ჯგუფის მიერ, დამკვეთების: შპს „სონა“(ს/ნ. 445533646); შპს „ოფის ლაინი“(ს/ნ. 445529900) და ფიზიკური პირების: ვახტანგ მამუჭაძის (პ/ნ 61001066966); მურად მამუჭაძის (პ/ნ 61001008265); სოფიო პაპუნძის (პ/ნ 61001011947); ავთანდილ მამუჭაძის (პ/ნ 61008000145); ნათია ბოლქვაძის (პ/ნ 61009003668); გოგი მამუჭაძის (პ/ნ 61001084346) საპროექტო დავალების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის საფუძველზე.


საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობა, რაც საჯარო რეესტრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე ითვალისწინებს გეგმარებით ერთეულში შემავალი საკადასტრო ნაკვეთების (ს.კ. ნაკვეთი #1.- 05.25.05.220 / ნაკვეთი #2.- 05.25.05.223 / ნაკვეთი #3.- 05.25.05.215 / ნაკვეთი #4.- 05.25.05.168 / ნაკვეთი #5.- 05.25.05.177 / ნაკვეთი #6.- 05.25.05.176 / ნაკვეთი #7.- 05.25.05.226 / ნაკვეთი #8.- 05.25.05.225 / ნაკვეთი #9. 05.25.05.082 / (ნაკვეთი #10.- 05.25.05.224 / ნაკვეთი #11. 05.25.05.165 / ნაკვეთი #12.- 05.25.05.084 / ნაკვეთი #13. 05.25.05.193 / ნაკვეთი #14.- 05.25.05.083 / ნაკვეთი #15. 05.25.05.185 / #16. 05.25.05.187 / ნაკვეთი #17. 05.25.05.184 / ნაკვეთი #18. 05.25.05.182 / ნაკვეთი #19. 05.25.05.183 / #20.- 05.25.05.181 / ნაკვეთი #21.- 05.25.05.179.) ერთ საკადასტრო ერთეულად გაერთიანებას. გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართი იქნება 33 589,0 კვ.მ.

გაერთიანებული საპროექტო ტერიტორია გეგმარებითი მოსაზრებებიდან გამომდინარე დაიყოფა 5 საკადასტრო ერთეულად, რომლებიც საერთო საზღვრის გარდა სახანძრო ნორმების გათვალისწინებით ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება შიდა გზებით. ახალ საკადასტრო ნაკვეთებზე მოეწყობა 5 ბლოკად დაყოფილი, 12 მაღლივი 23 სართულიანი კორპუსისგან შემდგარი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე განაშენიანება, კერძოდ:

- (ა) - ბლოკი, მოიცავს 2 საცხოვრებელ კორპუსს;
- (ბ) - ბლოკი, მოიცავს 3 საცხოვრებელ კორპუსს;
- (გ) - ბლოკი, მოიცავს 2 საცხოვრებელ კორპუსს;
- (დ) - ბლოკი, მოიცავს 2 საცხოვრებელ კორპუსს;
- (ე) - ბლოკი, მოიცავს 1 საცხოვრებელ კორპუსს;
- (ვ) - ბლოკი, მოიცავს 1 საცხოვრებელ კორპუსს;
- (თ) - ბლოკი, მოიცავს 1 საცხოვრებელ კორპუსს;

გეგმარებითი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციაზე.

### ილუსტრაცია 3.1. გეგმარებითი ტერიტორიის სიტუაციური სქემა



ა; ბ და დ ბლოკებში განლაგებული კორპუსების პირველ და მეორე სართულზე მოეწყობა კომერციული და სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეები, ხოლო დანარჩენ ბლოკებში განლაგებული კორპუსების ფუნქცია იქნება საცხოვრებელი დანიშნულების მქონე, სულ განსაზღვრულია 12 მაღლივი 23 სართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომლებსაც ექნებათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საძირკვლები.

ასევე კერძო ინიციატივის ფარგლებში კ-3 კოეფიციენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, განსაზღვრულია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე სკვერი, კერძოდ: მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, გაზონები,

დასაჯდომი სკამები, საპარკე განათებები, დაირგვება მოცემული ტერიტორიის კლიმატური პირობებისთვის შესაბამისი ხე-მცენარეები რაც საშუალებას მოგვცემს გდგ კვლევის არეალში განლაგებულ დასახლებაში (კვარტალში) გაჩნდეს საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე გამწვანებული ტერიტორია (სკვერი), სადაც თავშეყრის საშუალება ექნებათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და სტუმრებს.

საპროექტო ტერიტორიის ფიზიკური გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ქვეშა ავტო პარკინგის მოწყობა გეოლოგიური პირობების მონაცემების მიხედვით შეუძლებელია. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის დადგენილება №261 „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ მუხლი 18-ის მე-6 პუნქტის შესაბამისად და ინიციატორის დავალების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ქვეშ გრუნტის არსებული პირობების გათვალისწინებით განხორციელდება მიზნობრივი ათვისებადობა (მათ შორის მიწისქვეშა პარკინგი გაცდა შენობის ძირითად კონტურებს) და შენობა-ნაგებობ(ებ)ის მიწისქვეშა სართულზე (-1 დონეზე) მოეწყობა ავტოსადგომები, სადაც მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით განთავსდება 450 ავტოსადგომი.

### **კომპლექსის მოსაწყობად საჭირო სამუშაოები**

კომპლექსის მშენებლობისთვის საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდება ყველა სტანდარტული სამუშაო, რაც მსგავსი ტიპის კომპლექსის მშენებლობის თანმდევა: მიწის სამუშაოები, ხე-მცენარეების მოჭრა-გადარგვა-დარგვა, რკინაბეტონის სამუშაოები, მოსაპირკეთებელი სამუშაოები, საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა. დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ტერიტორიის შემოღობვა, გაწმენდა გამხმარი და მოჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეებისგან. პარალელურად შეიძლება წარმართოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;
2. საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილ ადგილზე ოფისის, თანამშრომლების საყოფაცხოვრებო ობიექტის, ნარჩენების ურნების და საწყობების მოწყობა;
3. მიწის სამუშაოები;
4. საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები;
5. რკინაბეტონის სამუშაოების დაწყება;
6. შენობებში შემავსებლის და სხვა სამუშაოების წარმოება ასევე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა.
7. შენობებზე მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება.
8. კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოება.

მოცემული სამუშაოების წარმოებისას დაგეგმილი შემდეგი სახის ტექნიკა-დანადგარების და მოწყობილობების გამოყენება:

- 2 ერთეული- საბურღი მექანიზმი ხიმინჯების მოსაწყობად;
- 12ერთეული - თვითმცლელი;
- 2 ერთეული - ექსკავატორი 320 მუხლუხებზე;
- 1 ერთეული - ექსკავატორი ბორბლებზე;
- 2 ერთეული - ვიბრო-სატკეპნი;
- 1-3 ერთეული კომპურა-ამწე;
- 2 ერთეული - ავტო-ამწე;
- 1 ერთეული - მისაბმელიანი სატვირთო მანქანა;

- 2 ერთეული - თვლიანი სატვირთელი;
- სხვა;

კომპლექსის მოსაწყობად საჭირო მასალების არასრული ჩამონათვალი შემდეგია: არმატურა, ბეტონი, ცემენტი, ქვიშა, ღორღი, ბალასტი, კერამიკული ბლოკი, თაბაშირ-მუყაო თავისი კონსტრუქციით, კერამოგრანიტი, წებო-ცემენტი, ფუგა, საიზოლაციო მასალები, ალუმინის ვიტრაჟი, მინა-პაკეტი, კომპოზიტური პანელი, ელ. სადენები, საკაბელე არხები და სხვა.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ტერიტორიაზე მოეწყობა ყველა აუცილებელი ობიექტი, რომლებიც მოემსახურება მომუშავე პერსონალს (გაყიდვების ოფისი, ბიოტუალეტები და დაცვის ჯიხური).

მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილი საკანალიზაციო წლების მართვა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით. ასევე გამოყენებული იქნება ბიოტუალეტები.

#### 4 სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად გეგმარებით ერთეულში მდებარე საკადასტრო ნაკვეთები მიეკუთვნება სხვადასხვა ზონებს, კერძოდ:

- მიწის ნაკვეთები (ს.კ. ნაკვეთი #1.- 05.25.05.220 /ნაკვეთი #2.-05.25.05.223/ნაკვეთი #3.- 05.25.05.215 / ნაკვეთი #4.- 05.25.05.168/ ნაკვეთი #5.- 05.25.05.177/ ნაკვეთი #6.- 05.25.05.176 /ნაკვეთი #8.- 05.25.05.225/ ნაკვეთი #9. 05.25.05.082 /ნაკვეთი #11. 05.25.05.165 / ნაკვეთი #12.- 05.25.05.084 /ნაკვეთი #15.- 05.25.05.185 ნაკვეთი #18.- 05.25.05.182/ /ნაკვეთი #19.- 05.25.05.183 / ნაკვეთი #21.- 05.25.05.179 ) მიეკუთვნება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ სზ-4 ზონას, სადაც დადგენილი კოეფიციენტებია: კ-1=0,5, კ-2=2.5 კ-3=0,3;
- მიწის ნაკვეთები (ს.კ.ნაკვეთი #10.- 05.25.05.224/ ნაკვეთი #16.- 05.25.05.187 / ნაკვეთი #17.- 05.25.05.184/ ნაკვეთი #20.- 05.25.05.181) მიეკუთვნება საქმიანი ზონა შზ-3 ზონას, სადაც დადგენილი კოეფიციენტებია: კ-1=0,5/07, კ-2=4.6; კ-3=0,2.
- ნაკვეთი #7.- 05.25.05.226 / ნაკვეთი #13.- 05.25.05.193 / ნაკვეთი #14.- 05.25.05.083/ მიეკუთვნება ორივე საქმიანი ზონა შზ-3 ზონას და საცხოვრებელ სზ-4 ზონას.

პროექტის მიხედვით საკუთრებაში/დაინტერესებაში არსებული გეგმარებით ერთეულში შემავალი მიწის ნაკვეთების განვითარების მიზნად დაისახა მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ფუნქციის მქონე კომპლექსის მშენებლობა, რის საფუძველზეც საჭირო გახდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ცვლილება. კერძოდ: ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის ძირითადი რუკის შესაბამისად დადგენილი გარემოებები არ იძლევა დასახული მიზნის სრულყოფილად განვითარების საშუალებას და აქედან გამომდინარე გდგ შემუშავების ამოცანას წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმით დადგენილი ზონებისა და პარამეტრების ცვლილების მოთხოვნა, რაც აისახება შედეგში: ინიციატორების საკუთრებაში/დაინტერესებაში არსებული უძრავი ნივთის, ჩვენს შემთხვევაში

გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრებში არსებული საპროექტო ტერიტორიის უკეთ განვითარების მიზნით ინიციატორის მიერ წარმოდგენილია წინადადება რომ, გეგმარებით ერთეულში დადგენილი შზ-3 ზონა შეიცვალოს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი (სზ-4) ზონით, რომელიც წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.

2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №261 შესაბამისად მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ (სზ-4) ზონაში, დადგენილი კოეფიციენტებია: კ-1= 0,5 / კ-2= 2.5 / კ-3= 0,3

წინამდებარე განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირებით, გეგმარებით ერთეულში განლაგებული 21-ივე ნაკვეთებისთვის, რომლების ფართი შეადგენს 33589,0 კვ.მ. მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- კ-1= 0,5 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,4-მაჩვენებლამდე. (მოთხოვნილია კ-1 კოეფიციენტის შემცირება)
- კ-2= 2,5 მაჩვენებლიდან გაიზარდოს 9,3-მაჩვენებლამდე. (მოთხოვნილია კ-2 კოეფიციენტის გაზრდა)
- კ-3= 0,3 მაჩვენებლიდან შემცირდეს 0,1-მაჩვენებლამდე.(მოთხოვნილია კ-3 კოეფიციენტის შემცირება)
- საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 76,0 მ-ით

გდგ კონცეპციის მომზადების დროს საპროექტო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეულის გაყოფა 5 ნაწილადაა განსაზღვრული და ყველა ნაკვეთზე დადგინდა შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების მოთხოვნა, ისინი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ნაკვეთი # 1. ფართი შეადგენს 6744,2 კვ.მ.; მოთხოვნილი კ-1= 0,4=2697,0 კვ.მ.; კ-2= 6,8=45860,5 კვ.მ. კ-3= 0,1=675,0 კვ.მ.
- ნაკვეთი # 2. ფართი შეადგენს 6769,4 კვ.მ.; მოთხოვნილი კ-1= 0,4=2707,7 კვ.მ.; კ-2= 8,5=57539,9 კვ.მ.; კ-3= 0,1=677,0 კვ.მ.
- ნაკვეთი # 3. ფართი შეადგენს 5396,8 კვ.მ.; მოთხოვნილი კ-1= 0,4=2158,7 კვ.მ.; კ-2= 8,4=45333,1 კვ.მ. კ-3= 0,1=540,0 კვ.მ.
- ნაკვეთი # 4. ფართი შეადგენს 11938,8 კვ.მ.; მოთხოვნილი კ-1= 0,4=4775,5 კვ.მ.; კ-2= 7,5=89541,0 კვ.მ.; კ-3= 0,1=1194,0 კვ.მ.
- ნაკვეთი # 5. ფართი შეადგენს 2766,0 კვ.მ.; მოთხოვნილი კ-1= 0,4=1106,4 კვ.მ.; კ-2= 7,1=19638,6 კვ.მ.; კ-3= 0,1=277,0 კვ.მ.

საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვროს 76,0 მ-ით

## 5 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ

### 5.1 კლიმატური პირობები<sup>1</sup>

საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ბათუმის სანაპირო ზოლში ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით. ტერიტორია ხასიათდება სუსტად დანაწევრებული, დაბორცვლილი და ტერასებიანი რელიეფით. ქედები, რომლებიც თითქმის უშუალოდ ეშვებიან ზღვის ნაპირზე, აბრკოლებენ აღმოსავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შეღწევას სანაპიროზე, ამიტომ სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატით.

ბათუმის ტერიტორიის მაღალ თერმულ რეჟიმს ხელს უწყობს თბილი შავი ზღვის სიახლოვე, ადგილის უმნიშვნელო სიმაღლე და აღმოსავლეთიდან მთებით შემოფარგულობა. წლის საშუალო ტემპერატურა +14, +15°C-ს შეადგენს. დღის საშუალო ტემპერატურები (საშუალო მაქსიმუმები) ყველგან მაღალია და +18, +20°C-ს შეადგენს. ღამის ტემპერატურები (საშუალო მინიმუმები) ტერიტორიის ფარგლებში შედარებით განსხვავებულია. უფრო მაღალია სანაპირო ზოლში, განსაკუთრებით, ბათუმში. ზღვიდან დაშორებისა და ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად კი მცირდება და ტერიტორიაზე საშუალოდ +9, +12°C-ს შეადგენს. ყველაზე ცივი თვის - იანვრის საშუალო ტემპერატურა +4, +7°-მდეა. ზღვის ბრიზების, მდიდარი მცენარეული საფარის და უხვი ნალექების გავლენით ზაფხული არ არის ძალიან ცხელი, უთბილესი თვის - აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22, +24°C-ის ფარგლებში მერყეობს. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა კი უმცირესია ქვეყნის ტერიტორიაზე და 16-19°C-შეადგენს.

აჭარის სანაპირო ქვეყნის ტერიტორიაზე მაღალი სინოტივით გამოირჩევა. ბათუმში საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 75-85% ფარგლებში მერყეობს. შიდაწლიური რყევადობა უმნიშვნელოა და საშუალოდ 10%-ს არ აღემატება. წლის განმავლობაში ბათუმში უფრო მაღალია გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში, უდიდესი მნიშვნელობით ივლის-აგვისტოში, როდესაც 80-85%-ს აღწევს. მინიმუმი შედარებით გამოკვეთილია ზამთარში. ქედაში ტენიანობას თითქმის საწინააღმდეგო სვლა აქვს, მაქსიმუმით შემოდგომის ბოლოს და ზამთრის დასაწყისში, მინიმუმით - გაზაფხულზე.

საკვლევი ტერიტორია ქვეყნის ფარგლებში ატმოსფერული ნალექების სიუხვეით გამოირჩევა. ქედები, რომლებიც ეკვრის სანაპიროს, წლის განმავლობაში გაბატონებული, დასავლეთიდან შემოსული ნოტიო ჰაერის მასების პერპენდიკულარული მიმართულებისაა და ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების სიუხვეს. აჭარის სანაპიროზე წლიური ჯამები საშუალოდ 2500-2800 მმ ფარგლებშია, თუმცა ზოგიერთ წელს 4000 მმ-მდე ნალექიც არის აღნიშნული.

<sup>1</sup> მომზადებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით (№1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი) დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/79210?publication=0>

ნალექი თოვლის სახით, სანაპიროზე იანვარ-თებერვალში მხოლოდ 1-2 თოვლიანი დღე დაიკვირვება. თოვლის საშუალო დეკადური (ათდღიური) სიმაღლე აქ 5-10 სმ არ აღემატება.

ბათუმის ტერიტორიის ფარგლებში ქარის რეჟიმი არაერთგვაროვანია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აეროპორტის ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალია და 4.0-5.0 მ/წმ-ის ფარგლებშია. ქარის სიჩქარე წლის განმავლობაში აეროპორტის ტერიტორიაზე უდიდესია ზამთარში, როდესაც თვის საშუალო სიჩქარე რიგ წლებში 7.0-8.0 მ/წმ-ს შეადგენს.

ქ. ბათუმისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და დიაგრამებზე. (წყარო: სწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08)).

**„ბათუმი ქალაქი“-ს დაკვირვების სადგურის მონაცემები:**

- ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
- ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
- ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
- ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;
- ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
- ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;
- თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

**ცხრილი 5.1. სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები**

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

**ცხრილი 5.2. სამშენებლო-კლიმატური დარაიონება**

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
8	ბათუმი, ქალაქი	III ბ

**ცხრილი 5.3. მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)**

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14



41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ბ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

**ცხრილი 5.4. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა**

პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, °C											თვის მაქსიმალური, °C												
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,	7,0	7,6	8,2	7,9	7,5	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0

**ცხრილი 5.5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა**

პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი	ყველაზე ცხელი	ყველაზე ცივი	ყველაზე ცხელი
ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81	70	73	9	12

**ცხრილი 5.6. ნალექების რაოდენობა**

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
18	ბათუმი, ქალაქი	2599	231

**ცხრილი 5.7. თოვლის საფარი**

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კკა	თოვლის საფარის დღელამური რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ბათუმი, ქალაქი	0,50	10	-

**ცხრილი 5.8. ქარის მახასიათებლები**

პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელია 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ	ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი	ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში

	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15	3,8/1,0	2,2/0,8	9	7	8	11	14	31	12	8	43

**ცხრილი 5.9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ**

პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ბათუმის აეროპორტის მეტეო სადგურის მიხედვით.

**ცხრილი 5.10. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (°C)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	6.9	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.8	16.5	12.4	8.9	14.3

**ცხრილი 5.11. ატმოსფერული ჰაერის დღელამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (°C)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	3.5	3.3	5.1	7.9	12.5	16.3	19.2	19.4	16.4	12.9	9.1	5.8	11.0

**ცხრილი 5.12. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (°C)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9

**ცხრილი 5.13. ატმოსფერული ჰაერის დღელამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (°C)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	10	11.1	12.9	16.1	20.1	23.2	25.5	26.2	23.9	21.0	16.6	13.0	18.4

**ცხრილი 5.14. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (°C)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40

**ცხრილი 5.15. ფარდობითი ტენიანობა**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
%	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75

**ცხრილი 5.16. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მმ	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

**ცხრილი 5.17. ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
დღე	0.2	0.4	0.7	2	2			0.5			0.2		6

**ცხრილი 5.18. ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა**

ჩრდილ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტელი
4	1	3	54	2	20	11	5	19

**ცხრილი 5.19. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მ/წმ	7.2	6.4	4.7	3.8	3.0	3.1	2.8	3.1	3.2	4.6	5.7	7.3	4.6

**ცხრილი 5.20. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა**

t °C	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
საშ	5	6	9	14	19	24	26	25	21	16	11	7	15
საშ.მაქს.	12	13	18	26	33	39	40	39	34	28	19	14	26
აბს. მაქს.	28	34	40	54	55	61	64	60	54	46	34	30	64
საშ. მინ.	1	1	3	6	11	15	18	18	15	11	7	3	9
აბს. მინ.	-11	-10	-9	-5	-1	6	10	10	4	-1	-9	-11	-11

**5.2 კლიმატის მიმდინარე ცვლილება<sup>2</sup>**

2021 წელს გამოვიდა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ხელშეწყობით. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც იმ სათბურის აირების შესახებ, რომლებიც არ რეგულირდება ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმით, ასევე კონვენციის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების ზოგად აღწერას. FNC-ის დოკუმენტი შედგება შემდეგი ხუთი ნაწილისაგან: ეროვნული გარემოებები, სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში, შერბილების პოლიტიკა, მოწყვლადობა და ადაპტაცია და სხვა ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას, ორმხრივი შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებისათვის რელევანტური კვლევების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და შემდგომი საჭიროებების ანალიზს.

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის 60-წლიანი პერიოდის (1956-2015 წლები) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. სადგურები შერჩეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე.

<sup>2</sup> მომზადებულია საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების მიხედვით

შეფასებულ იქნა ტემპერატურის, ნალექების, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ქარის სიჩქარის წლიური, სეზონური და თვიური ცვლილებების ტენდენციები ორ 30-წლიან პერიოდს (1956–1985 და 1986–2015 წლები) შორის. ვინაიდან საშუალო სიდიდებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორებზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებთან ერთად გამოთვლილ იქნა 35 კლიმატური ინდექსი.

**საშუალო ტემპერატურა.** ორ განხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია თითქმის ყველგან, მხარეების მიხედვით 0.25–0.58°C ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.47°C შეადგენს. დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეგრელოში (ზუგდიდსა და ფოთში თანაბრად, 0.63°C-ით). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ყველაზე ნიშნავი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში (ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდია 0.73°C).


**საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა.** საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისია, ძირითადად, მთიანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპის) ჰავა.

საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. დღის ტემპერატურების მიხედვით დათბობა შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. საშუალო ტემპერატურის მსგავსად, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით.


**საშუალო მინიმალური ტემპერატურა.** საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, ამ პარამეტრის მიხედვით, დათბობის ტენდენცია ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხო. ღამის ტემპერატურის ნაზრდი 1956-1985 წლების პერიოდთან მიმართებაში 1 °C-მდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა კახეთში. დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები მოცემულია ქვემოთ.


რუკა 5.1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 5.2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 5.3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (°C) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 5.4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C) 1986–2015 წლებში




**ნალექების რაოდენობა.** დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში - შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასაიმედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა (15%-მდე) და შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია, ფოთსა და ხულოში გამოვლინდა (60-75 მმ/10 წელიწადში). გამონაკლისია მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი) გამოვლენილი ნალექების კლების ნიშნადი ტენდენციები. აღმოსავლეთში წლიური

ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშნავდა ლაგოდებში (17%, 75 მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თიანეთში (-18%, 39 მმ/10 წელიწადში).


**ნალექების დღეღამური მაქსიმუმები.** რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი გამოვლინდა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მაისში, 5-დღიურების - ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები 70-80 მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდები), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა - 150-160 მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური).

ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული რუკები მოცემულია ქვემოთ.


**რუკა 5.5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)**



რუკა 5.6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)




რუკა 5.7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)





რუკა 5.8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986–2015 წლებში



**ჰაერის საშუალო ფარდობითი სინოტივე.** დაკვირვების მონაცემებით, საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1986–2015 წლებში დაიკვირვებოდა ქვემო ქართლში (საშუალოდ 69%) და საგარეჯოში (66%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (89%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული. 1956–1985 წლების მიმართ ფარდობითი სინოტივის დაკვირვებული ცვლილება უმნიშვნელოა, მაქსიმალური მატებაა (7%) თელავში, მაქსიმალური კლება (4%) - საგარეჯოში.

ფარდობითი სინოტივის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები). ნოტიო დღეების (შუადღის ფარდობითი სინოტივე მეტია 80%) რაოდენობა გაზრდილია საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და, ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს (დღელამის მინიმალური ფარდობითი სინოტივე ნაკლებია 30%), თითქმის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშნადი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6-8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკლებს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე კახეთში და შემოდგომის დასაწყისში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ასეთი დღეების გაზრდა გამოვლინდა. ტენდენციები ნიშნადია კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

სინოტივის ექსტრემუმების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი სინოტივის ცვლილების გამოვლენილ კანონზომიერებებს. კერძოდ, სინოტივის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო

დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

**ქარის საშუალო სიჩქარის** ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით არის შემცირებული.

**ქარის ექსტრემალური მნიშვნელობები (ძლიერქარიანი დღეები).** ძლიერქარიანი დღეთა ( $\geq 15$  მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უფრო ძლიერია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, ასეთი დღეების ნიშნადი ზრდა დაიკვირვება. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება ყველა სეზონზე დაიკვირვება. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიანი დღეთა ( $\geq 25$  მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში.

### **კლიმატის ცვლილების სცენარი**

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას  $4.5 \text{ W/m}^2$  დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ამ მოდელში გათვალისწინებული იქნა მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთი კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორიზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული მოდელით ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) საპროგნოზო პერიოდის შედარებით 1971-2000 წლების 30 წლიან საბაზისო პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები შემუშავდა ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971-2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე  $1.6^{\circ}\text{C}$ -დან  $3.0^{\circ}\text{C}$ -მდე ფარგლებში გაიზრდება.

აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა  $1.8^{\circ}\text{C}-3.0^{\circ}\text{C}$  ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია,  $1.6^{\circ}\text{C}-2.9^{\circ}\text{C}$  ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ  $0.4^{\circ}\text{C}-1.7^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით  $2.1^{\circ}\text{C}-3.7^{\circ}\text{C}$  ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად - საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის  $1.9^{\circ}\text{C}-3.0^{\circ}\text{C}$  ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი  $1.1^{\circ}\text{C}-2.3^{\circ}\text{C}$  ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებად იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-20100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება  $2.6-4.3^{\circ}\text{C}$ -ით, ხოლო მინიმუმები -  $1.7-3.7^{\circ}\text{C}$ -ით.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება  $25^{\circ}\text{C}$ ,  $30^{\circ}\text{C}$  და  $35^{\circ}\text{C}$ -ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ დამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა  $2^{\circ}\text{C}$ -ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და დამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი დამეებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი აჭარის სანაპირო ზოლია ( $2,300$  მმ-ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ  $9\%$ -ით მცირდება. ყველაზე მეტად ( $12.3\%$ ) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში ( $5.3\%$ ). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში ( $17.9\%$ -ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება  $3.6-15.3\%$ -ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი  $8-10\%$ -ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება  $1-6\%$  პროცენტის ფარგლებში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში  $0.4\text{მ/წმ}$  (ლაგოდეხი) -  $4\text{მ/წმ}$ -ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი  $0.2$  (ლენტეხი) -  $5.5\text{მ/წმ}$  (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და

სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის  $\pm 0.5$  მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძობიარე თემების მოწყვლადობას.

### 5.3 გეოლოგიური აგებულება

ქალაქ ბათუმის გეოლოგიურ აგებულებაში ძირითადად მონაწილეობს შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი და მეოთხეული ასაკის ზღვიურ-მდინარეული ნალექები.

შუა ეოცენური ასაკის ნალექები წარმოდგენილია: მასიური, უხეში და სქელშრებრივი ანდეზიტ-ბაზალტური, ბაზალტური, ანდეზიტ-დაციტური შედგენილობის ფსეფიტ-ფსამიტური ლავური განფენებით, ტუფებით და ტუფობრექჩიებით, თხელი და საშუალო შრებრივი ალევროლით-ფსამიტური, ტუფების იშვიათი შრეებით და ბაზალტური შედგენილობის ნატეხების ჩანართებით. აღნიშნულ ნალექებში შემოჭრილია სიენიტდიორიტის, კვარციანი და უკვარცო გრანოდიორიტის, გრანოსიენიტის, დიორიტის, კვარციანი სიენიტის და კვარციანი მონცონიტის ინტრუზივები.

მეოთხეული ასაკის ნალექები წარმოდგენილია შუა მეოთხეული, ზედა მეოთხეული და თანამედროვე მეოთხეული (ჰოლოცენური) ასაკის ზღვიურ-მდინარეული ნალექებით: კაჭარ-კენჭნარით, ქვიშით და თიხა-თიხნაროვანი ლინზებით, აღნიშნული ნალექებით აგებულია ჭალის ზედა II, -III, IV და V ტერასები.

ტერიტორიის ფარგლებში არსებული თანამედროვე სტრუქტურების ფორმებისა და განვითარების ხასიათი, ნალექდაგროვების სხვადასხვა პირობები და ინტენსივობა, ქანების ლითოფაციალური და პეტროქიმიური მრავალფეროვნება მიუთითებს რეგიონის რთული გეოლოგიური განვითარების ისტორიაზე.

**შენიშვნა:** საპროექტო კომპლექსის სამშენებლო პირობების განსაზღვრა მოხდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.

## 5.4 ბიომრავალფეროვნება

### 5.4.1 მცენარეული საფარი და ჰაბიტატები

საპროექტო ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ძლიერი ანთროპოლოგიური გავლენის ქვეშაა, რის გამოც აქ მხოლოდ რამდენიმე ერთეულ ხელოვნურ ნარგავს ვხვდებით. პროექტის განხორციელებისას მცენარეულ საფარზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

### 5.4.2 ცხოველთა სამყარო

საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ქალაქ ბათუმში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35-მდე, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 300-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა.

#### 5.4.2.1 ძუძუმწოვრები (კლასი: *Mammalia*)

ბათუმის გარეუბნებში და მიმდებარე ადგილებში ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შეგვხვდეს: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa caucasica*), ციყვი (*Sciurus vulgaris*) კურდღელი (*Lepus europeus*), მაჩვი (*Meles meles*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), მგელი (*Canis lupus*), კვერნა (*Martes martes*), წავი (*Lutra lutra*), ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), თაგვი (*Apodemus mystacinus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და სხვა.

ცხრილი 5.21. საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.
1.	ტურა	<i>Canis aureus</i>	LC	-	
2.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	LC	-	✓
3.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	LC	-	✓
4.	წავი	<i>Lutra lutra</i>	NT	VU	✓
5.	ნუტრია	<i>Myocastor coypus</i>	LC		
6.	თეთრყელა კვერნა	<i>Martes foina</i>	LC	-	✓
7.	დედოფალა	<i>Mustela nivalis</i>	LC	-	✓
8.	ღნავი	<i>Dryomys nitedula</i>	LC	-	✓
9.	ტყის თაგვი	<i>Apodemus sylvaticus</i>	LC	-	
10.	ევროპული ზღარბი	<i>Erinaceus concolor</i>	LC	-	✓
11.	მცირე თხუნელა	<i>Talpa levantis</i>	LC	-	
12.	მგელი	<i>Canis lupus</i>	LC	-	✓
13.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	LC	-	✓
14.	კავკასიური ციყვი	<i>Sciurus anomalus</i>	LC	VU	✓
15.	მცირე ტყის თაგვი	<i>Apodemus uralensis</i>	LC	-	
16.	კავკასიური თხუნელა	<i>Talpa caucasica</i>	LC	-	✓
17.	კვერნა	<i>Martes martes</i>	LC	-	✓
18.	ვილნიუხის ბიგა	<i>Sorex volnuchini</i>	LC	-	✓
19.	კავკასიური ბიგა	<i>Sorex satunini</i>	LC		✓
20.	კავკასიური წყლის ბიგა	<i>Neomys teres</i>	LC		

21.	რადეს ბიგა	<i>Sorex raddei</i>	LC		√
22.	თაგვი	<i>Apodemus mystacinus</i>	LC		
23.	ჩვეულებრივი ციყვი	<i>Sciurus vulgaris</i>	LC		
24.	ჩვეულებრივი ძილგუდა	<i>Glis glis</i>	LC		√
25.	ბუჩქნარის მემინდვრია	<i>Terricola majori</i>	LC		
26.	მცირეაზიური მემინდვრია	<i>Chionimys roberti</i>	LC		
27.	გრძელკუდა კბილთეთრა	<i>Crocidura gueldenstaedtii</i>	LC		
28.	თეთრმუცელა კბილთეთრა	<i>Crocidura leucodon</i>	LC		√
29.	წყლის მემინდვრია	<i>Arvicola terrestris</i>	LC		
30.	კავკასიური ტყის თაგვი	<i>Sylvaemus fulvipectus</i>	LC		
31.	პონტოს თაგვი	<i>Sylvaemus ponticus</i>			
32.	სახლის თაგვი	<i>Mus musculus</i>	LC		
33.	შავი ვირთაგვა	<i>Rattus rattus</i>	LC		
34.	რუხი ვირთაგვა	<i>Rattus norvegicus</i>	LC		

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:  
EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

ცხრილში მოცემული ძუძუმწოვრების ძირითადი ნაწილის გეგმარებით ტერიტორიაზე მოხვედრის ალბათობა მინიმალურია, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ძლიერი ანთროპოგენული გავლენის ქვეშაა, ასევე ის ქალაქ ბათუმის ურბანული ნაწილის შემადგენელია. აღნიშნული გარემოებები გეგმარებით ტერიტორიაზე მსხვილი ძუძუმწოვრების მოხვედრის ალბათობას გამორიცხავს.

#### 5.4.2.2 დამურები-ხელფრთიანები (*Microchiroptera*)

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ბათუმში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა *Rhinolophus ferrumequinum*, მცირე ცხვირნალა *Rhinolophus hipposideros*, წვეტყურა მდამიობი *Myotis blythii*, ულვაშა მდამიობი *Myotis mystacinus*, მეგვიანე დამურა *Eptesicus serotinus*, წითური მეღამურა *Nyctalus noctula*, ჩვ. ფრთაგრძელი *Miniopterus schreibersii*, ჯუჯა დამორი *Pipistrellus pipistrellus* და სხვა.

ხელფრთიანების ყველა სახეობა, რომლებიც საქართველოში გვხვდება, შეტანილია ბონის კონვენციის დანართ II-ში და დაცულია EUROBATS-ის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად საქართველო ვალდებულია დაიცვას ქვეყანაში დაფიქსირებული ყველა სახეობა.

ცხრილი 5.22. საკვლევ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა სახეობები.

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS
1.	მურა ყურა	<i>Plecotus auritus</i>	LC	-	√	√
2.	ჩვეულებრივი დამურა	<i>Vespertilio murinus</i>	LC	-	√	√
3.	დიდი ცხვირნალა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	LC	-	√	√
4.	მცირე ცხვირნალა	<i>Rhinolophus hipposideros</i>	LC	-	√	√
5.	სამხრეთული ცხვირნალა	<i>Rhinolophus euryale</i>	NT	VU	√	√
6.	მეჭელის ცხვირნალა	<i>Rhinolophus mehelyi</i>	VU	VU	√	√
7.	ევროპული მაჩქათელა	<i>Barbastella barbastellus</i>	NT	VU	√	√
8.	ჩვ. ფრთაგრძელი	<i>Miniopterus schreibersii</i>	VU	-	√	√

9.	მეგვიანე ღამურა	<i>Eptesicus serotinus</i>	LC	-	✓	✓
10.	წვეტყურა მღამიობი	<i>Myotis blythii</i>	LC	-	✓	✓
11.	წითური მეღამურა	<i>Nyctalus noctula</i>	LC	-	✓	✓
12.	მცირე მეღამურა	<i>Nyctalus leislerii</i>	LC	-	✓	✓
13.	ჯუჯა ღამორი	<i>Pipistrellus pipistrellus</i>	LC	-	✓	✓
14.	ტყის ღამორი	<i>Pipistrellus nathusii</i>	LC		✓	✓
15.	სამფერი მღამიობი	<i>Myotis emarginatus</i>	LC		✓	✓
16.	ულვაშა მღამიობი	<i>Myotis mystacinus</i>	LC	-	✓	✓
<b>IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:</b> EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული						

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელია გეგმარებით ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოების წარმოება, არსებობს ხელფრთიანებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებამდე ზოოლოგის მიერ უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობების შესწავლა და კვლევის შედეგების მიხედვით უნდა დაიგეგმოს განსახორციელებელი ღონისძიებები.

### 5.4.2.3 ფრინველები (Aves)

#### ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები და მნიშვნელოვანი ადგილები

საქართველოს ტერიტორია მნიშვნელოვანია დასავლეთ პალეოარქტიკული ფრინველების მიგრაციის თვალსაზრისით. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ევროპა-აფრიკის და ევროპა-აზიის ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მრავალი გადამფრენი სახეობისთვის: ისინი ამ მარშრუტებით ახორციელებენ ყოველწლიურ, რეგულარულ სეზონურ გადაადგილებებს საბუდარ და გამოსაზამთრებელ ადგილებს შორის (აბულაძე ა., და სხვა 2011). ფრინველთა მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. თუმცა, მკვეთრად გამოკვეთილია ორი სამიგრაციო პერიოდი - გაზაფხულის და შემოდგომის გადაფრენები. გადამფრენი ფრინველების სამიგრაციო მარშრუტები საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპიროს, დიდ მდინარეებს (რიონი, მტკვარი და მათი შენაკადები), ხეობებს, მთათა სისტემებს, კერძოდ კი დიდ კავკასიონსა და მის განშტოებებს მიუყვება. გაზაფხულის მიგრაცია იწყება მარტის მეორე ნახევრიდან - მაისის პირველ ნახევრამდე და გადაფრენის ძირითადი მიმართულებაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. მიგრაციის პიკი 10-20 მაისია. შემოდგომის მიგრაციის პერიოდი სექტემბერი - ოქტომბრის ბოლო და მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. შემოდგომის გადაფრენა უფრო გრძელი და აქტიურია, ვიდრე გაზაფხულის. შემოდგომის პირველი გადამფრენები აგვისტოს დასაწყისში ჩნდებიან, ხოლო ამ სეზონის გადაფრენა ნოემბრის ბოლოს მთავრდება (აბულაძე ა., და სხვა 2011).



კვლევების მიხედვით, აღნიშნულ ადგილს ფრინველები ხშირად იყენებენ სამიგრაციოდ, აღნიშნულ ზონასთან ≈15 კმ-ში მდებარეობს ჭოროხის დელტა, რომელიც წარმოადგენს ე.წ ძაბრს (ბოთლის ყელს) და ფრინველთა შესასვენებელ ადგილს. სამიგრაციო დერეფანი საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს გადის და ამიტომ მნიშვნელოვანი ადგილია ფრინველთა გადაფრენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციების პერიოდში. ამიტომ, შესაძლებელია ყველა ის ფრინველი, რომელიც ამ სამიგრაციო მარშრუტს გაივლის მოხვდეს საპროექტო ზონაში ან

მის მიმდებარე ადგილებში, შესაბამისად რეკომენდირებულია რიგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

საპროექტო ტერიტორია ახლოსაა ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიებთან და მნიშვნელოვან ადგილებთან, კერძოდ „Batumi” SPA 16 და IBA - Batumi GE014, დაახლოებით ≈15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია - SPA 15 Chorokhi Delta.




**ილუსტრაცია 5.1. ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების, ძირითადი სამიგრაციო მარშრუტებისა და გეგმარებითი ერთეულის ურთიერთგანლაგების სქემა**




წყარო: <https://www.econatura.nl/raptor-migration-batumi-caucasus/>



წყარო: National Geographic საქართველო, 2018



წყარო: <http://datazone.birdlife.org/site/factsheet/18588>



წყარო: <https://aves.biodiversity-georgia.iliauni.edu.ge/spa-n-16>

ცხრილი 5.23. საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული და ლიტერატურულად ცნობილი ფრინველთა სახეობები

N	სამეცნიერო დასახელება	ინგლისური დასახელება	ქართული დასახელება	გადაფრენის სეზონურობა	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS
1.	<i>Gavia stellata</i>	Red-throated Diver (or Loon)	წითელყელა ღორიხვა	WV	LC			
2.	<i>Gavia arctica</i>	Black-throated (Arctic) Diver (or Loon)	შავყელა ღორიხვა	WV	LC			
3.	<i>Podiceps cristatus</i>	Great Crested Grebe	დიდი კოკონა	YR-V	LC			
4.	<i>Podiceps grisegena</i>	Red-necked Grebe	რუხლოყელა კოკონა	M	LC	VU		
5.	<i>Podiceps auritus</i>	Horned (or Slavonian) Grebe	სწორნისკარტა (ან წითელყელა) კოკონა	Cas	VU			
6.	<i>Podiceps nigricollis</i>	Black-necked Grebe	აპრეხილნისკარტა (ან შავყელა) კოკონა	WV	LC			
7.	<i>Tachybaptus ruficollis</i>	Little Grebe	მცირე კოკონა	YR-R	LC			
8.	<i>Puffinus yelkouan</i>	Mediterranean (Yelkouan) Shearwater	ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა	YR-V	VU			
9.	<i>Pelecanus onocrotalus</i>	Great White Pelican	ვარდისფერი ვარხვი	M	LC	VU		
10.	<i>Pelecanus crispus</i>	Dalmatian Pelican	ქოჩორა (ან ხუჭუჭა) ვარხვი	M	VU	EN		
11.	<i>Phalacrocorax carbo</i>	Great Cormorant	დიდი ჩვამა	YR-V	LC			
12.	<i>Microcarbo pygmaeus</i>	Pygmy Cormorant	მცირე ჩვამა	M	LC			
13.	<i>Phalacrocorax aristotelis</i>	Shag	ქოჩორა ჩვამა	Cas	LC			
14.	<i>Ardea cinerea</i>	Grey Heron	რუხი ყანჩა	YR-V	LC			
15.	<i>Ardea purpurea</i>	Purple Heron	წითურის (ან ქარცი) ყანჩა	M	LC			
16.	<i>Ardea alba</i>	Great White Egret	დიდი თეთრი ყანჩა	YR-V	LC			
17.	<i>Egretta garzetta</i>	Little Egret	მცირე თეთრი ყანჩა	YR-V	LC			
18.	<i>Bubulcus ibis</i>	Cattle Egret	მწყემსი (ანუ ეგვიპტური) ყანჩა	M	LC			
19.	<i>Ardeola ralloides</i>	Squacco Heron	ყვითელი ყანჩა	M	LC			
20.	<i>Nycticorax nycticorax</i>	Black-crowned Night-Heron	ლამის ყანჩა	M	LC			
21.	<i>Ixobrychus minutus</i>	Little Bittern	მცირე ყარაულა	BB	LC			
22.	<i>Botaurus stellaris</i>	Great Bittern	დიდი ყარაულა (წყლის ბუღა)	M	LC			
23.	<i>Platalea leucorodia</i>	Eurasian Spoonbill	ჟერო	M	LC			
24.	<i>Plegadis falcinellus</i>	Glossy Ibis	ივეოსი	M	LC			
25.	<i>Ciconia ciconia</i>	White Stork	თეთრი ყარყატი	M	LC	VU		
26.	<i>Ciconia nigra</i>	Black Stork	შავი ყარყატი	M	LC	VU		

27.	<i>Phoenicopterus ruber</i>	Greater Flamingo	ჩვეულებრივი ფლამინგო	Cas	LC			
28.	<i>Cygnus olor</i>	Mute Swan	წითელნისკარტა (ან სისინა) გედი	M;WV	LC			
29.	<i>Cygnus cygnus</i>	Whooper swan	ყვითელნისკარტა (ან მყივანი) გედი	M;WV	LC			
30.	<i>Cygnus columbianus</i>	Tundra Swan	მცირე მყივანი გედი	WV	LC			
31.	<i>Anser anser</i>	Gray Lag Goose	რუხი ბატი	M	LC			
32.	<i>Anser erythropus</i>	Lesser White-fronted Goose	მცირე თეთრშუბლა ბატი	M	VU	EN		
33.	<i>Anser albifrons</i>	Greater White-fronted Goose	დიდი თეთრშუბლა ბატი	M	LC			
34.	<i>Tadorna tadorna</i>	Common Shelduck	ამლაცი იხვი	M	LC			
35.	<i>Tadorna ferruginea</i>	Ruddy Shelduck	წითელი იხვი	M	LC	VU		
36.	<i>Anas platyrhynchos</i>	Mallard	გარეული იხვი	M;WV	LC			
37.	<i>Mareca strepera</i>	Gadwall	რუხი იხვი	M;WV	LC			
38.	<i>Mareca penelope</i>	Eurasian Wigeon	თეთრშუბლა იხვი	M,WV	LC			
39.	<i>Anas crecca</i>	Common Teal	სტვენია იხვი (ან ჭიკვარა)	M,WV	LC			
40.	<i>Spatula querquedula</i>	Garganey	ჭახჭახა იხვი (ან იხვინჯა)	M	LC			
41.	<i>Anas acuta</i>	Northern Pintail	ბოლოსადგისა (ან კუდსადგისა) იხვი	M	LC			
42.	<i>Spatula clypeata</i>	Northern Shoveler	განიერნისკარტა იხვი	M	LC			
43.	<i>Netta rufina</i>	Red-crested Pochard	წითელნისკარტა ყურყუმელა	M	LC			
44.	<i>Aythya fuligula</i>	Tufted Duck	ქოჩორა ყვინთია	M;WV	LC			
45.	<i>Aythya marila</i>	Greater Scaup	ზღვის ყვინთია	M,WV	LC			
46.	<i>Aythya ferina</i>	Common Pochard	წითელთავა ყვინთია	M,WV	VU			
47.	<i>Aythya nyroca</i>	Ferruginous Pochard	თეთრთავა ყვინთია	M	NT			
48.	<i>Melanitta fusca</i>	White-winged (or Velvet) Scoter	თეთრფრთიანი გარიელა	WV	VU	EN		
49.	<i>Bucephala clangula</i>	Common Golden-eye	ამაყა	M,WV	LC			
50.	<i>Mergus merganser</i>	Common Merganser	დიდი ბატასინა	M,WV	LC			
51.	<i>Mergus serrator</i>	Red-breasted Merganser	გრძელნისკარტა ბატასინა	M,WV	LC			
52.	<i>Mergellus albellus</i>	Smew	მცირე ბატასინა	M,WV	LC			
53.	<i>Oxyura leucocephala</i>	White-Headed Duck	თეთრთავა იხვი	WV, BB?	EN	EN		
54.	<i>Pandion haliaetus</i>	Osprey	შაკი	M	LC	?		
55.	<i>Haliaeetus albicilla</i>	White-tailed Eagle	თეთრკუდა ფსოვი (ან თეთრკუდა არწივი)	M	LC	EN		
56.	<i>Milvus milvus</i>	Red Kite	წითელი ძერა (ან ბორა)	Cas	NT			
57.	<i>Milvus migrans</i>	Black Kite	ძერა	M	LC			
58.	<i>Circaetus gallicus</i>	Short-toed Snake-Eagle	გველიჭამია (ან ძერაბოტი)	M	LC	?		

59.	<i>Accipiter brevipes</i>	Levent Sparrowhawk	ქორცვეტი (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	M	LC	VU		
60.	<i>Accipiter nisus</i>	Eurasian Sparrowhawk	მიმინო	YR-R	LC			
61.	<i>Accipiter gentilis</i>	Northern Goshawk	ქორი	M	LC			
62.	<i>Buteo buteo</i>	Common Buzzard	ჩვეულებრივი კაკაჩა	M	LC			
63.	<i>Buteo lagopus</i>	Rough-legged Buzzard	ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა	M;WV	LC			
64.	<i>Buteo rufinus</i>	Long-legged Buzzard	ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა	M	LC	VU		
65.	<i>Pernis apivorus</i>	European Honey-Buzzard	კრაზანაჭამია (ან ირაო)	M	LC			
66.	<i>Pernis ptilorhynchus</i>	Crested Honey buzzard	ქოჩორა (ექვსთითა) კრაზანაჭამია	M	LC			
67.	<i>Hieraaetus pennatus</i>	Booted Eagle	ჩია არწივი	M	LC			
68.	<i>Aquila heliaca</i>	Imperial Eagle	ბეკობის (ან თეთრმხრება) არწივი	M	VU	VU		
69.	<i>Clanga clanga</i>	Greater Spotted Eagle	დიდი მყივანი არწივი	M	VU	VU		
70.	<i>Clanga pomarina</i>	Lesser Spotted Eagle	მცირე მყივანი არწივი	M	LC			
71.	<i>Aquila nipalensis</i>	Steppe Eagle	ველის არწივი	M	EN			
72.	<i>Aquila chrysaetos</i>	Golden Eagle	მთის არწივი	M	LC	VU		
73.	<i>Neophron percnopterus</i>	Egyptian Vulture	ფასკუნჯი	M	EN	VU		
74.	<i>Circus aeruginosus</i>	Western Marsh Harrier	ჭაობის ძელქორი (ან ჭაობის ბოლობეჭედა)	BB	LC			
75.	<i>Circus cyaneus</i>	Hen (or Northern) Harrier	მინდვრის ძელქორი (ან მინდვრის ბოლობეჭედა)	M	LC			
76.	<i>Circus macrourus</i>	Pallid Harrier	ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭედა)	M	NT			
77.	<i>Circus pygargus</i>	Montagu's Harrier	მდელის ძელქორი (ან მდელის ბოლობეჭედა)	M	LC			
78.	<i>Falco cherrug</i>	Saker Falcon	ბარი (ან გავაზი)	M	EN	CR		
79.	<i>Falco biarmicus</i>	Lanner Falcon	წითელთავა შავარდენი	M	LC	VU		
80.	<i>Falco peregrinus</i>	Peregrine Falcon	ჩვეულებრივი შავარდენი	M	LC			
81.	<i>Falco subbuteo</i>	Eurasian Hobby	მარჯანი	M	LC			
82.	<i>Falco columbarius</i>	Merlin	ალალი	M	LC			
83.	<i>Falco vespertinus</i>	Red-footed Falcon	წითელფეხა შავარდენი	M	NT	EN		
84.	<i>Falco naumanni</i>	Lesser Kestrel	მცირე (ან ველის) კირკიტა	M	LC	CR		
85.	<i>Falco tinnunculus</i>	Common Kestrel	ჩვეულებრივი კირკიტა	M	LC			
86.	<i>Coturnix coturnix</i>	Common Quail	მწყერი	M	LC			
87.	<i>Grus grus</i>	Common Crane	რუხი წერო	M	LC	EN		
88.	<i>Anthropoides virgo</i>	Demoiselle Crane	წეროტურფა	M				

89.	<i>Rallus aquaticus</i>	Water Rail	ლაინა	YR-R	LC			
90.	<i>Porzana porzana</i>	Spotted Crake	ქათამურა	M	LC			
91.	<i>Zapornia parva</i>	Little Crake	მცირე ქათამურა	BB	LC			
92.	<i>Zapornia pusilla</i>	Baillon's Crake	პაწაწა ქათამურა	M	LC			
93.	<i>Crex crex</i>	Corn crake	ღალღა	M	LC			
94.	<i>Gallinula chloropus</i>	Common Moorhen	წყლის ქათამურა	YR-R	LC			
95.	<i>Fulica atra</i>	Common Coot	მელოტა	YR-R	LC			
96.	<i>Porphyrio porphyrio</i>	Purple Swamphen	ხონთქრის ქათამი	M	LC			
97.	<i>Haematopus ostralegus</i>	Eurasian Oystercatcher	ზღვის კაჭკაჭი (სირკაჭკაჭი)	M	NT			
98.	<i>Himantopus himantopus</i>	Black-winged Stilt	ოჩოფეხა	M	LC			
99.	<i>Recurvirostra avosetta</i>	Pied Avocet	სადგისნისკარტა	M	LC			
100.	<i>Charadrius hiaticula</i>	Common Ringed Plover	საყელოიანი წინტალა	M	LC			
101.	<i>Charadrius dubius</i>	Little Ringed Plover	მცირე წინტალა	BB	LC			
102.	<i>Charadrius alexandrinus</i>	Kentish Plover	ზღვის წინტალა	M	LC			
103.	<i>Eudromias morinellus</i>	Eurasian Dotterel	ტიბურა (მღრინავი)	M	LC			
104.	<i>Pluvialis apricaria</i>	Eurasian Golden-Plover	ოქროსფერი მეჭვავია	M	LC			
105.	<i>Pluvialis squatarola</i>	Grey Plover	რუხი მეჭვავია (კვათარი)	M	LC			
106.	<i>Arenaria interpres</i>	Ruddy Turnstone	მეკენჭია	M	LC			
107.	<i>Vanellus vanellus</i>	Northern Lapwing	პრანწია	M	NT			
108.	<i>Vanellus gregarius</i>	Sociable Lapwing	ველის პრანწია	M	CR			
109.	<i>Vanellus spinosus</i>	Spur-Winged Lapwing	შავმუცელა (შავმკერდა) პრანწია	Cas	LC			
110.	<i>Calidris falcinellus</i>	Broad-billed Sandpiper	თავზოლა მექვიშია	M	LC			
111.	<i>Calidris ferruginea</i>	Curlew Sandpiper	წითელგულა მექვიშია	M	NT			
112.	<i>Calidris alpina</i>	Dunlin	შავმუცელა მექვიშია	M	LC			
113.	<i>Calidris temminckii</i>	Temminck's Stint	თეთრკულა მექვიშია	M	LC			
114.	<i>Calidris minuta</i>	Little Stint	მცირე მექვიშია (კოკორინა-ბელურა)	M	LC			
115.	<i>Calidris canutus</i>	Knot	ისლანდიური მექვიშია	M	NT			
116.	<i>Calidris alba</i>	Sanderling	ქვიშაქეცია	M	LC			
117.	<i>Phalaropus lobatus</i>	Red-necked Phalarope	წითელკისერა (ან მრგვალნისკარტა) ტივტივა	M	LC			
118.	<i>Xenus cinereus</i>	Terek Sandpiper	რუხი აპრეხილნისკარტა მექვიშია	M	LC			
119.	<i>Tringa totanus</i>	Common Redshank	წითელფეხა მენაპირე (მსევანი)	M	LC			
120.	<i>Tringa erythropus</i>	Spotted Redshank	ლაქებიანი წითელფეხა მენაპირე (კობტა ჭოვილო)	M	LC			

121.	<i>Tringa nebularia</i>	Common Greenshank	მწვანეფეხა მენაპირე (დიდი ჭოვილო)	M	LC			
122.	<i>Tringa stagnatilis</i>	Marsh Sandpiper	ჭაობის მენაპირე (მერუე)	M	LC			
123.	<i>Tringa glareola</i>	Wood Sandpiper	ტყის მენაპირე	M	LC			
124.	<i>Tringa ochropus</i>	Green Sandpiper	შავი მენაპირე	BB	LC			
125.	<i>Actitis hypoleucos</i>	Common Sandpiper	ჩვეულებრივი მექვიშია (მებორნე)	BB	LC			
126.	<i>Calidris pugnax</i>	Ruff	ტურუბტანი (მაჩხუბარა კოკორინა)	M	LC			
127.	<i>Numenius arquata</i>	Eurasian Curlew	დიდი კრონშნეპი	M	NT			
128.	<i>Numenius phaeopus</i>	Whimbrel	საშუალო კრონშნეპი	M	LC			
129.	<i>Limosa limosa</i>	Black-tailed Godwit	დიდი (ანუ შავკუდა) ლია	M	NT			
130.	<i>Limosa lapponica</i>	Bar-tailed Godwit	ზოლიანკუდა ლია	M	NT			
131.	<i>Scolopax rusticola</i>	Eurasian Woodcock	ტყის ქათამი (ვალდშნეპი)	M;WV	LC			
132.	<i>Gallinago media</i>	Great Snipe	დიდი ჩიბუხა (გოჭა)	M	NT			
133.	<i>Gallinago gallinago</i>	Common Snipe	ჩიბუხა	M;WV	LC			
134.	<i>Lymnocyptes minimus</i>	Jack Snipe	ჩიბუხელა (გარშნეპი)	M	LC			
135.	<i>Burhinus oedicnemus</i>	Stone-Curlew	თვალჭყეცია	M	LC	VU		
136.	<i>Glareola nordmanni</i>	Black-winged Pratincole	შავფრთიანა მერცხალა	M	NT			
137.	<i>Glareola pratincola</i>	Collared Pratincole	ჟღალფრთიანა მერცხალა	M	LC			
138.	<i>Larus genei</i>	Slender-billed Gull	წვრილნისკარტა თოლია	M,WV	LC			
139.	<i>Larus ichthyaetus</i>	Pallas's Gull	დიდი შავთავა თოლია	M,WV	LC			
140.	<i>Larus ridibundus</i>	Common Black-headed Gull	ტბის თოლია	YR-V	LC			
141.	<i>Hydrocoloeus minutus</i>	Little Gull	მცირე თოლია	M,WV	LC			
142.	<i>Larus melanocephalus</i>	Mediterranean Gull	შავთავა თოლია	M,WV	LC			
143.	<i>Larus argentatus</i>	Herring Gull	ვერცხლისფერი თოლია	Cas	LC			
144.	<i>Larus armenicus</i>	Armenian Gull	სომხური თოლია	WV	NT			
145.	<i>Larus michahellis</i>	Yellow-legged Gull	ყვითელფეხა თოლია	YR-R	LC			
146.	<i>Larus cachinnans</i>	Caspian Gull	კასპიური თოლია	YR-R	LC			
147.	<i>Larus fuscus</i>	Lesser Black-backed Gull	შავზურგა (ანუ ფრთაშავი) თოლია	M,WV	LC			
148.	<i>Larus canus</i>	Mew Gull	ვეჟანი თოლია	M,WV	LC			
149.	<i>Larus audouinii</i>	Audouin's Gull	აუდოუნის თოლია	Cas	LC			
150.	<i>Rissa tridactyla</i>	Kittiwake	სამთითა თოლია	M,WV	LC			
151.	<i>Stercorarius pomarinus</i>	Pomarine Jaeger (Skua)	განიერკუდა თოლია-მეკობრე	YR-V	LC			
152.	<i>Stercorarius parasiticus</i>	Parasitic Jaeger (Skua)	ვიწროკუდა თოლია-მეკობრე	YR-V	LC			
153.	<i>Stercorarius longicaudus</i>	Long-tailed Jaeger (Skua)	გრძელკუდა თოლია-მეკობრე	YR-V	LC			
154.	<i>Gelochelidon nilotica</i>	Gull-billed Tern	თოლიისნისკარტა თევზიყლაპია	M	LC			

155.	<i>Thalasseus sandvicensis</i>	Sandwich Tern	ჭრელნისკარტა თევზიყლაპია	YR-V	LC			
156.	<i>Sterna hirundo</i>	Common Tern	ჩვეულებრივი თევზიყლაპია	M	LC			
157.	<i>Sternula albifrons</i>	Little Tern	მცირე თევზიყლაპია	M	LC			
158.	<i>Hydroprogne caspia</i>	Caspian Tern	კასპიური თევზიყლაპია	M	LC			
159.	<i>Chlidonias leucopterus</i>	White-winged Tern	ფრთათეთრი თევზიყლაპია	M	LC			
160.	<i>Chlidonias niger</i>	Black Tern	შავი თევზიყლაპია	M	LC			
161.	<i>Chlidonias hybrida</i>	Whiskered Tern	ლოყათეთრი თევზიყლაპია	M	LC			
162.	<i>Columba livia</i>	Rock Dove	გარეული მტრედი	YR-V	LC			
163.	<i>Columba oenas</i>	Stock Dove	გულიო (ან გვიძინი)	M	LC			
164.	<i>Columba palumbus</i>	Common Wood-Pigeon	ქედანი	M	LC			
165.	<i>Streptopelia turtur</i>	Eurasian Turtle-Dove	ჩვეულებრივი გვრიტი	M	VU			
166.	<i>Streptopelia decaocto</i>	Eurasian Collared-Dove	საყელოიანი გვრიტი	YR-V	LC			
167.	<i>Spilopelia senegalensis</i>	Laughing Dove	მაცინარა (ან სენეგალური) გვრიტი	YR-V	LC			
168.	<i>Cuculus canorus</i>	Common Cuckoo	გუგული	BB	LC			
169.	<i>Clamator glandarius</i>	Great Spotted Cuckoo	შავთავა გუგული	Cas	LC			
170.	<i>Bubo bubo</i>	Eurasian Eagle Owl	ზარნაშო	M	LC			
171.	<i>Asio otus</i>	Northern Long-eared Owl	ყურებიანი ბუ (ან ოლოლი)	M	LC			
172.	<i>Asio flammeus</i>	Short-eared Owl	ჭაობის ბუ	M	LC			
173.	<i>Otus scops</i>	Eurasian Scops-Owl	წყრომი	BB,M	LC			
174.	<i>Athene noctua</i>	Little Owl	ქოტი	M	LC			
175.	<i>Strix aluco</i>	Tawny Owl	ტყის ბუ	M	LC			
176.	<i>Tyto alba</i>	Barn Owl	ბუხრინწა	YR-V	LC	EN		
177.	<i>Caprimulgus europaeus</i>	European Nightjar	უფეხურა	M	LC			
178.	<i>Apus apus</i>	Common Swift	ნამგალა	BB	LC			
179.	<i>Tachymarptis melba</i>	Alpine Swift	მეკირია (ან თეთრმუცელა ნამგალა)	M	LC			
180.	<i>Merops apiaster</i>	European Bee-eater	ოქროსფერი კვირიონი	M	LC			
181.	<i>Merops superciliosus</i>	Blue-cheeked Bee-eater	მწვანე კვირიონი	M	LC			
182.	<i>Coracias garrulus</i>	European Roller	ყაპყაპი	M	LC			
183.	<i>Ceryle rudis</i>	Pied Kingfisher	შავთეთრი ალკუნნი	ND	LC			
184.	<i>Alcedo atthis</i>	Common Kingfisher	ალკუნნი	YR-R	LC			
185.	<i>Upupa epops</i>	Common Hoopoe	ოფოფი	M	LC			
186.	<i>Picus viridis</i>	Eurasian Green Woodpecker	მწვანე კოდალა	YR-R	LC			
187.	<i>Dendrocopos major</i>	Greater Spotted Woodpecker	დიდი ჭრელი კოდალა	YR-R	LC			
188.	<i>Jynx torquilla</i>	Eurasian Wryneck	მაქცია	M	LC			
189.	<i>Calandrella rufescens</i>	Lesser Short-Toed Lark	მცირე მოკლეთითა ტოროლა	M	LC			

190.	<i>Calandrella brachydactyla</i>	Greater Short-Toed Lark	დიდი მოკლეთითა ტოროლა	M	LC			
191.	<i>Melanocorypha calandra</i>	Calandra Lark	ველის ტოროლა	M	LC			
192.	<i>Lullula arborea</i>	Wood Lark	ტყის ტოროლა	M	LC			
193.	<i>Alauda arvensis</i>	Eurasian Skylark	მინდვრის ტოროლა	M	LC			
194.	<i>Galerida cristata</i>	Crested Lark	ქოჩორა ტოროლა	M	LC			
195.	<i>Eremopterix nigriceps</i>	Black-Crowned Sparrow-Lark	შავთავა ტოროლა	ND	LC			
196.	<i>Hirundo rustica</i>	Barn Swallow	სოფლის მერცხალი	BB,M	LC			
197.	<i>Hirundo daurica</i>	Red-Rumped Swallow	წელწითელა მერცხალი	Cas	LC			
198.	<i>Hirundo rupestris</i>	Eurasian Crag-martin	კლდის მერცხალი	M	LC			
199.	<i>Riparia riparia</i>	Sand Martin	მენაპირე მერცხალი	M	LC			
200.	<i>Delichon urbicum</i>	Northern House-Martin	ქალაქის მერცხალი	YR-V	LC			
201.	<i>Anthus trivialis</i>	Tree Pipit	ტყის მწყერჩიტა	M	LC			
202.	<i>Anthus pratensis</i>	Meadow Pipit	მდელოს მწყერჩიტა	M	NT			
203.	<i>Anthus cervinus</i>	Red-Throated Pipit	წითელგულა მწყერჩიტა	M	LC			
204.	<i>Anthus spinoletta</i>	Water Pipit	მთის მწყერჩიტა	M	LC			
205.	<i>Anthus campestris</i>	Tawny Pipit	მინდვრის მწყერჩიტა	M	LC			
206.	<i>Motacilla alba</i>	White Wagtail	თეთრი ბოლოქანქარა	YR-R	LC			
207.	<i>Motacilla cinerea</i>	Grey Wagtail	რუხი ბოლოქანქარა	M	LC			
208.	<i>Motacilla flava</i>	Yellow Wagtail	ყვითელი ბოლოქანქარა	M	LC			
209.	<i>Motacilla citreola</i>	Citrine Wagtail	ყვითელთავა ბოლოქანქარა	M	LC			
210.	<i>Lanius excubitor</i>	Greater Grey (or Northern) Shrike	რუხი ღაჟო	WV	LC			
211.	<i>Lanius minor</i>	Lesser Grey Shrike	შავშუბლა ღაჟო	M	LC			
212.	<i>Lanius senator</i>	Woodchat Shrike	წითელთავა ღაჟო	M	LC			
213.	<i>Lanius collurio</i>	Red-backed Shrike	ჩვეულებრივი ღაჟო	BB,M	LC			
214.	<i>Lanius isabellinus</i>	Isabelline Shrike	ყვითელგულა ღაჟო	Cas	LC			
215.	<i>Prunella modularis</i>	Hedge Accentor (Dunnock)	ტყის ჭვინტაკა	BB,M	LC			
216.	<i>Locustella lanceolata</i>	Lanceolated Warbler	წინწკლა ჭრიჭინა მეჩალია	Cas	LC			
217.	<i>Locustella naevia</i>	Grasshopper Warbler	ჭრიჭინა-მეჩალია	M	LC			
218.	<i>Locustella fluviatilis</i>	Eurasian River Warbler	ჭრიჭინა-ჩიტი	M	LC			
219.	<i>Locustella luscinioides</i>	Savi's Warbler	ბულბულისებრი ჭრიჭინა-ჩიტი	MM	LC			
220.	<i>Acrocephalus scirpaceus</i>	Eurasian Reed-Warbler	ლელიანის მეჩალია	BB	LC			
221.	<i>Acrocephalus palustris</i>	Marsh Warbler	ჭაობის მეჩალია	BB	LC			
222.	<i>Acrocephalus dumetorum</i>	Blyth's Reed-warbler	ბუჩქნარის მეჩალია	M	LC			
223.	<i>Acrocephalus arundinaceus</i>	Great Reed-Warbler	ლელიანის დიდი მეჩალია (შაშვისებრი მეჩალია)	BB	LC			



224.	<i>Acrocephalus melanopogon</i>	Moustashed Warbler	შავთხემა მეჩალია	M	LC			
225.	<i>Acrocephalus schoenobaenus</i>	Sedge Warbler	ჭახჭახა მეჩალია	M	LC			
226.	<i>Acrocephalus agricola</i>	Paddyfield Warbler	გრძელკუდა მეჩალია	M	LC			
227.	<i>Cettia cetti</i>	Cetti's Warbler	ფართოკუდა ლერწამა	BB	LC			
228.	<i>Hippolais icterina</i>	Icterine Warbler	მწვანე ბუტბუტა (მწვანე მქირდავი)	M	LC			
229.	<i>Hippolais pallida</i>	Olivaceous Warbler	ბაცი ბუტბუტა (ბაცი მქირდავი)	M	LC			
230.	<i>Hippolais languida</i>	Upcher's Warbler	ბოლომქნევარა ბუტბუტა (ბოლომქნევარა მქირდავი)	M	LC			
231.	<i>Hippolais caligata</i>	Booted Warbler	მურა ბუტბუტა (მურა მქირდავი)	M	LC			
232.	<i>Sylvia melanocephala</i>	Sardinian Warbler	ხმელთაშუაზღვის ასპუჭაკა	Cas	LC			
233.	<i>Sylvia communis</i>	Common Whitethroat	დიდი თეთრყელა ასპუჭაკა	BB	LC			
234.	<i>Sylvia curruca</i>	Lesser Whitethroat	მცირე თეთრყელა ასპუჭაკა	BB	LC			
235.	<i>Sylvia borin</i>	Garden Warbler	ბალის ასპუჭაკა	BB	LC			
236.	<i>Sylvia nisoria</i>	Barred Warbler	მიმინოსებრი ასპუჭაკა	BB	LC			
237.	<i>Sylvia atricapilla</i>	Blackcap	შავთავა ასპუჭაკა	BB	LC			
238.	<i>Phylloscopus trochilus</i>	Willow Warbler	გაზაფხულა ჭივჭავი (გაზაფხულა ყარანა)	BB	LC			
239.	<i>Phylloscopus collybita</i>	Common Chiffchaff	ჩვეულებრივი ჭივჭავი (ჩვეულებრივი ყარანა)	BB	LC			
240.	<i>Phylloscopus sindianus</i>	Mountain Chiffchaff	მთის ჭივჭავი (მთის ყარანა)	M	LC			
241.	<i>Phylloscopus sibilatrix</i>	Wood Warbler	თეთრმუცელა ჭივჭავი (თეთრმუცელა ყარანა)	M	LC			
242.	<i>Phylloscopus trochiloides</i>	Greenish Warbler	მომწვანო ჭივჭავი (მომწვანო ყარანა)	M	LC			
243.	<i>Regulus regulus</i>	Goldcrest	ყვითელთავა ნარჩიტა (ყვითელთავა ღაბუაჩიტი)	M	LC			
244.	<i>Regulus ignicapilla</i>	Firecrest	წითელთავა ნარჩიტა (წითელთავა ღაბუაჩიტი)	M	LC			
245.	<i>Muscicapa striata</i>	Spotted Flycatcher	რუხი ბუზიჭერია (რუხი მემატლია)	BB	LC			
246.	<i>Ficedula hypoleuca</i>	European Pied Flycatcher	ჭრელი ბუზიჭერია (ჭრელი მემატლია)	M	LC			
247.	<i>Ficedula albicollis</i>	Collared Flycatcher	თეთრყელა ბუზიჭერია (თეთრყელა მემატლია)	M	LC			
248.	<i>Ficedula parva</i>	Red-breasted Flycatcher	წითელყელა (ანუ მცირე) ბუზიჭერია (მცირე მემატლია)	M	LC			

249.	<i>Ficedula semitorquata</i>	Semi-Collared Flycatcher	ნახევართეთრყელა ბუზიჭერია (ნახევართეთრყელა მემატლია)	M	LC			
250.	<i>Saxicola torquatus</i>	Common Stonechat	შავთავა ოვსადი	M	LC			
251.	<i>Saxicola rubetra</i>	Whinchat	თეთრწარბა (ანუ მდელოს) ოვსადი	M	LC			
252.	<i>Oenanthe oenanthe</i>	Northern Wheatear	ჩვეულებრივი მელორდია	M	LC			
253.	<i>Anthus richardi</i>	Richard's Pipit	რიჩარდის მწყერჩიტა	Cas	LC			
254.	<i>Oenanthe deserti</i>	Desert Wheatear	უდაბნოს მელორდია	ND	LC			
255.	<i>Oenanthe isabellina</i>	Isabelline Wheatear	ბუქნია-მელორდია	M	LC			
256.	<i>Oenanthe hispanica</i>	Black-eared Wheatear	შავყურა მელორდია	M	LC			
257.	<i>Phoenicurus ochruros</i>	Black Redstart	შავი ბოლოცეცხლა	WV	LC			
258.	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	Common Redstart	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	BB,M	LC			
259.	<i>Erithacus rubecula</i>	European Robin	გულწითელა	YR-R	LC			
260.	<i>Luscinia svecica</i>	Bluethroat	ცისფერგულა	M	LC			
261.	<i>Luscinia luscinia</i>	Thrush Nightingale	აღმოსავლური ბულბული	M	LC			
262.	<i>Luscinia megarhynchos</i>	Common Nightingale	ჩვეულებრივი ბულბული	BB	LC			
263.	<i>Turdus merula</i>	Eurasian Blackbird	შაშვი	YR-R	LC			
264.	<i>Turdus pilaris</i>	Fieldfare	რუხთავა შაშვი	WV	LC			
265.	<i>Turdus iliacus</i>	Redwing	თეთრწარბა (ანუ ფრთაჟღალი) შაშვი	WV	NT			
266.	<i>Turdus philomelos</i>	Song Thrush	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	M	LC			
267.	<i>Turdus viscivorus</i>	Mistle Thrush	ჩხართვი	M	LC			
268.	<i>Panurus biarmicus</i>	Bearded Reedling	ულვამა წივწივა	M,WV	LC	VU		
269.	<i>Aegithalos caudatus</i>	Long-tailed Tit	თოხიტარა	YR-R	LC			
270.	<i>Parus major</i>	Great Tit	დიდი წივწივა (დიდი წიწკანა)	YR-R	LC			
271.	<i>Parus caeruleus</i>	Blue Tit	მოლურჯო წივწივა (მოლურჯო წიწკანა)	YR-R	LC			
272.	<i>Certhia familiaris</i>	Eurasian Tree-creeper	ჩვეულებრივი მგლინავა	M	LC			
273.	<i>Certhia brachydactyla</i>	Short-toed Tree-creeper	მოკლეთითა მგლინავა	M	LC			
274.	<i>Troglodytes troglodytes</i>	Winter Wren	ჭინჭრაქა (ღობემმვრალა)	YR-R	LC			
275.	<i>Miliaria calandra</i>	Corn Bunting	მეფეტვია (ანუ მინდვრის გრატა)	BB,M	LC			
276.	<i>Emberiza citrinella</i>	Yellowhammer	მოყვითალო გრატა	M	LC			
277.	<i>Emberiza melanocephala</i>	Black-headed Bunting	შავთავა გრატა	M	LC			
278.	<i>Emberiza hortulana</i>	Ortolan Bunting	ბალის გრატა	M	LC			
279.	<i>Emberiza schoeniclus</i>	Reed Bunting	ლელიანის გრატა	M,WV	LC			
280.	<i>Calcarius lapponicus</i>	Lapland Bunting	ლაპლანდური გრატა	ND	LC			

281.	<i>Fringilla montifringilla</i>	Brambling	ჩრდილოეთის სკვინჩა	M	LC			
282.	<i>Fringilla coelebs</i>	Eurasian Chaffinch	სკვინჩა (ნიბლია)	YR-R	LC			
283.	<i>Carduelis carduelis</i>	European Goldfinch	ჩიტბატონა	YR-R	LC			
284.	<i>Carduelis spinus</i>	Eurasian Siskin	შავთავა მწვანულა	M	LC			
285.	<i>Carduelis chloris</i>	European Greenfinch	მწვანულა	YR-R	LC			
286.	<i>Carduelis cannabina</i>	Eurasian Linnet	ჭვინტა (მეკანაფია)	M	LC			
287.	<i>Pyrrhula pyrrhula</i>	Eurasian Bullfinch	სტვენია	M	LC			
288.	<i>Coccothraustes</i> <i>Coccothraustes</i>	Hawfinch	კულუმბური	M	LC			
289.	<i>Serinus serinus</i>	European Serin	მოყვითალო მთიულა	M	LC			
290.	<i>Carpodacus erythrinus</i>	Common Rosefinch	ჩვეულებრივი კოჭობა	M	LC			
291.	<i>Passer hispaniolensis</i>	Spanish Sparrow	შავგულა (ანუ ესპანური) ბელურა	M	LC			
292.	<i>Passer montanus</i>	Tree Sparrow	მინდვრის ბელურა	M	LC			
293.	<i>Passer domesticus</i>	House Sparrow	სახლის ბელურა	YR-R	LC			
294.	<i>Sturnus vulgaris</i>	Common Starling	შოშია (შროშანი)	M	LC			
295.	<i>Sturnus roseus</i>	Rose-coloured Starling	ვარდისფერი შოშია (ტარბი)	M	LC			
296.	<i>Oriolus oriolus</i>	Eurasian Golden Oriole	მოლალური	M	LC			
297.	<i>Garrulus glandarius</i>	Eurasian Jay	ჩხიკვი	YR-R	LC			
298.	<i>Corvus corax</i>	Common Raven	ყორანი	YR-V	LC			
299.	<i>Corvus frugilegus</i>	Rook	ჭილყვავი	M	LC			
300.	<i>Corvus corone</i>	Hooded Crow	რუხი ყვავი	YR-R	LC			
301.	<i>Corvus monedula</i>	Eurasian Jackdaw	ჭკა	M	LC			

სახეობების სეზონური ცხოვრების პერიოდი მოცემულ ტერიტორიაზე:

YR-R = მთელი წლის განმავლობაში საქართველოშია აქ ბუდობს და მრავლდება; YR-V = ამ ტერიტორიების ვიზიტორია; არ მრავლდება, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში აქ არის; BB = ტერიტორიაზე შემოდის მხოლოდ გასამრავლებლად; M = მიგრანტი; მიგრაციის დროს (შემოდგომაზე და გაზაფხულზე) შეიძლება მოხვდეს ამ ტერიტორიაზე

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

#### 5.4.2.4 ქვეწარმავლები და ამფიბიები (Reptilia et Amphibia)

საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით საპროექტო რეგიონში ქვეწარმავლების 12 სახეობა გვხვდება. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან აღსანიშნავია: კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), დასავლეთ მცირე კავკასიონის ენდემური სახეობებიდან: წითელმუცელა ხვლიკი (*Darevskia parvula*).

ამფიბიებიდან ბათუმის და მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა შეგხვდეს შემდეგი 7 სახეობა: მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton ophryticus*), აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი (*Triturus karelinii*), მწვანე გომბემო (*Bufo viridis*), კავკასიური გომბემო (*Bufo verrucosissimus*), ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*), მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*) და ვასაკა (*Hyla orientalis*).

ცხრილი 5.24. საკვლევ ტერიტორიაზე ლიტერატურულად ცნობილი და საველე კვლევის დროს დაფიქსირებული სახეობები.

N	ქართული დასახლება	ლათინური დასახლება	RLG	IUCN	Bern Conv.
1.	წყლის ანკარა	<i>Natrix tessellata</i>	LC	LC	✓
2.	ჩვეულებრივი ანკარა	<i>Natrix natrix</i>	LC	LC	
3.	წენგოსფერი მცურავი	<i>Platyceps najadum</i>	LC	LC	
4.	ესკულაპის მცურავი	<i>Zamenis longissimus</i>	LC	LC	
5.	სპილენძა	<i>Coronela austriaca</i>	NE	LC	✓
6.	ბოხმეჭა	<i>Anguils colchica</i>	-	LC	
7.	წითელმუცელა ხვლიკი	<i>Darevskia parvula</i>	LC	LC	
8.	ქართული ხვლიკი	<i>Darevskia rudis</i>	LC	LC	
9.	ართვინის ხვლიკი	<i>Darevskia derjugini</i>	LC	NT	
10.	მარდი ხვლიკი	<i>Lacerta agilis</i>	LC	LC	✓
11.	ზოლიანი ხვლიკი	<i>Lacerta strigata</i>	NE	LC	
12.	ქაობის კუ	<i>Emys orbicularis</i>	LC	LC	✓
13.	ტბორის ბაყაყი	<i>Pelophylax ridibundus</i>		LC	
14.	ვასაკა	<i>Hyla arborea</i>		LC	✓
15.	მცირეაზიური ბაყაყი	<i>Rana macrocnemis</i>		LC	✓
16.	კავკასიური გომბემო	<i>Bufo verrucosissimus</i>		NT	✓
17.	მცირეაზიური ტრიტონი	<i>Ommatotriton vittatus</i>		LC	
18.	აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი	<i>Triturus karelinii</i>		LC	

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის გამო, გეგმარებითი ტერიტორია ამფიბიების და ქვეწარმავლებისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს წარმოადგენს, შესაბამისად ზემოთ ცხრილში მოცემული სახეობების ტერიტორიაზე მოხვედრის ალბათობა მცირეა. ამათგან წითელი ნუსხის სახეობების მოხვედრა გეგმარებით ტერიტორიაზე მოსალოდნელი არაა.

#### 5.4.2.5 უხერხემლოები (Invertebrata)

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საპროექტო რეგიონში გავრცელებულია მწერების 500-ზე მეტი სახეობა, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი რიგებია: ხეშეშვრთიანები (Coleoptera), ნახევრადხეშეშვრთიანები (Hemiptera), ქერცლფრთიანები (Lepidoptera), სიფრიფანაფრთიანები (Hymenoptera), სწორფრთიანები (Orthoptera), მოკლეზედაფრთიანი ხოჭოები (Staphylinidae), ჩოქელები (Mantodea), ნემსიელაპიები (Odonata) და სხვა.

ქვემოთ მოცემულია ქალაქ ბათუმსა და მის მიდამოებში გავრცელებული ფეხსახსრიანების, პეპლების, ხოჭოების, ნემსიელაპიების, კალიების სახეობები: *Pentatoma rufipes, Libellula depressa, Pieris napi, Pieris brassicae, Pieris rapae, Cupido argiades, Cupido minimus, Erynnis tages, Polyommatus baeticus, Polyommatus daphnis, Polyommatus icarus, Cercopis intermedia, Cercopis sanduinolenta, Vanessa atalanta, Vanessa cardui, Issoria lathonia, Pieris ergane, Pieris napi, Tettigonia viridissima, Arctia festiva, Arctia villica, Callimorpha dominula, Coscinia striata, Dysauxes punctate, Eilema sororcula, Parasemia caucasica, Parasemia plantaginis, Pelosia muscerda, Phragmatobia fuliginosa, Spilosoma lubricipeda, Spilosoma mendica, Spilosoma menthastri, Spilosoma urticae, Tyria jacobaeae, Cossus cossus, Habrosyne derasa, Sitotroga cerealella, Alcis repandata, Aplocera plagiata, Aplocera praeformata, Asmate clathrata, Asthena albulata, Biston betularia, Cabera pusaria, Calospilos sylvata, Campaea margaritata, Catarhoe arachne, Charissa glaucinaria, Chlorissa cloraria, Chloroclystis v-ata, Cleorodes lichenaria, Colostygia viridaria, Cyclophora porata, Dysstroma truncate, Ectropis bistortata, Ectropis crepuscularia, Ematurga atomaria Eulithis pyrallia, Euphyia picata, Euphyia unangulata, Eupithecia graciliata, Eupithecia plumbeolata, Eupithecia pumilata, Eupithecia selinata, Eupithecia subfenestrata, Eupithecia subfuscata, Geometra papilionaria, Gnopharmia colchidaria, Hydrelia flammeolaria, Idaea aversata, Idaea biselata, Idaea fuscovenosa, Idaea sylvestraria, Lomaspilis marginata, Acronicta rumicis, Aedia funesta, Aedia leucomelas, Agrotis exclamationis, Agrotis segetum, Agrotis ypsilon, Athetis pallustris, Autographa gamma, Autographa jota, Axylia putris, Callopietria purpureofasciata, Caradrina kadenii, Catocala promissa, Cucullia umbratica, Dichonia aprilina, Eilema lurideola, Eugnorisma depuncta, Macdunnoughia confuse, Melanchra persicariae, Noctua orbona, Noctua pronuba, Ochropleura plecta, Pammene fasciana, Pechipogo strigilata, Phlogophora meticulosa, Polia nebulosa, Protoschinia scutosa, Rivula sericealis, Sideridis turbida, Spodoptera exigua, Trichoplusia ni, Xestia c-nigrum, poria crataegi, Colias chrysotheme, Colias hyale, Euchloe belia, Gonepteryx rhamni, Leptidea sinapis, Pieris brassicae, Pieris ergane, Chloethripa chlorana, Nola aerugula, Roeselia albula, Furcula bifida, Melitaea cinxia, Melitaea didyma, Melitaea transcaucasica, Mellicta athalia, Neptis rivularis, Nymphalis io, Pararge maera, Pararge megera, Satyrus dryas, Vanessa atalanta, Vanessa cardui, Colocasia coryli, Allancastris caucasica, Iphiclydes podalirius, Papilio machaon, Parnassius mnemosyne, Colocasia coryli, Acherontia atropos, Deilephila porcellus, Hyles livornica, Epinotia subsequana, Aeshna cyanea, Calopteryx virgo, Lestes sponsa, Orthetrum ramburi, Acrida oxycephala, Calliptamus italicus, Chorthippus Mantis religiosa, Morimus verecundus, Decticus verrucivorus, Lymantria dispar, Capnodis cariosa, Chrysolina adzharica, Chrysolina sanguinolenta, Saga ephippigera, Polistes gallicus, Bolivaria brachyptera, Oecanthus pellucens, Rhynocoris iracundus, Leptidea sinapis, Anthocharis cardamines, Byctiscus*

*betulae, Aspidapion radiolus, Omphalapion dispar, Perapion violaceum, Protapion apricans, Bruchus pisorum, Buprestis haemorrhoidalis, Acinopus laevigatus, Amara aenea, Anchomenus dorsalis, Badister bullatus, Brachinus crepitans, Calosoma sycophanta, Carabus puschkini, Chlaenius decipiens, Dyschiriodes substriatus, Ocydromus tetrasemus, Arhopalus ferus, Dorcadion niveiparsum, Fallacia elegans, Rhagium bifasciatum, Stenurella bifasciata, Tetropium fuscum, Smaragdina unipunctata, Trichodes apiaries, Anechura bipunctata, Forficula auricularia.* და სხვა.


#### 5.4.2.6 ობობები (Araneae)

საქართველოს ობობების სახეობრივი შემადგენლობა მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკვების სიუხვით და ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობებით (უხვი ნალექები მაღალი შეფარდებითი ტენიანობა და სხვა). საკვლევი ზონის ობობებიდან 3 ოჯახი *Dipluridae, Dysderidae Sicariidae* გავრცელებულია კავკასიის ყირიმისა და შუა აზიის ტყეებში. დანარჩენი ოჯახები: *Micryphantidae, Linyphiidae, Thomisidae, Theridiidae, Argiopidae, Lycosidae, Clubionidae, Salticidae, Gnaphosidae* ფართოდ გავრცელებისაა და გხვება ყველგან. ტყის ტიპური ფორმებიდან აღსანიშნავია ოჯ. *Araneidae, Araneus diadematus, A. angulatus, A. ceropegus, A. grossus, A. ocellatus, A. circe* და *Mangora acalipha* ეს უკანასკნელი ბუჩქნარებზე ბინადრობს. *A. diadematus* - ფართოდაა გავრცელებული ტყის ზონაში მაგრამ ხშირად სხვა ზონებში გხვდება. ტყის ზონაში ბინადრობს *Dipluridae* დაბალი განვითარების 4 ფილტვიანი ობობის რამდენიმე სახეობა. მსგავს საცხოვრებელ გარემოში დისდერას ოჯახიდან გხვდება - *Dysdera, Harpactocratea, Harpactea*, და *Segistria*. სხვა სახეობები: *Clubiona frutetorum, Steatida bipunctatam, Theridium smile, Theridium pinastris, Pardosa amentatam, Pardosa waglerim, Araneus cerpegus, Araneus marmoreus, Misumena vatia, Pisaura mirabilis, Lycosoides coarctata, Oecobius navus, Alopecosa schmidtii, Trochosa ruricola, Araneus diadematus, Micrommata virescens, Diaea dorsata, Agelena labyrinthica, Pellenes nigrociliatus, Asianellus festivus, Araniella displicata, dysdera crocata, Phialeus chrysops, Thomisus onustus, Xysticus bufo, Alopecosa accentuara, Argiope lobata, Menemerus semilimbatus, Pardosa hortensis, Larinioides cornutus, Uloborus walckenaerius Mangora acalypha, Evarcha arcuata, Alopecosa taeniopus, Agelena labyrinthica, Gnaphosa sp, Heliophanus cupreus, Linyphiidae sp., Parasteatoda lunata, Synema globosum, Tetragnatha sp, Philodromus sp., Pisaura mirabilis, Runcinia grammica, Neoscona adianta* და სხვა.

## 5.5 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება, საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების საზღვრებში. გეგმარებითი ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია მტირალას ეროვნული პარკია, რომელიც დაახლოებით 9.8 კმ-ში მდებარეობს (იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი ილუსტრაცია).


ილუსტრაცია 5.2. გეგმარებითი ტერიტორიის და დაცული ტერიტორიების ურთიერთგანლაგების სქემა.



საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.65 კმ მანძილში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი „ჭოროხის დელტა -GE0000054“.

1989 წელს ბერნის კონვენციის (კონვენცია „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“, რომელზედაც საქართველო მიერთებულია 2008 წელს) მხარე ქვეყნებმა ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატების დასაცავად შექმნეს სპეციალური მექანიზმი: „ზურმუხტის ქსელი“. ზურმუხტის ქსელი წარმოადგენს განსაკუთრებული საკონსერვაციო ტერიტორიების ქსელს, რომელიც ვრცელდება ევროკავშირის წევრი და არაწევრი ევროპული სახელმწიფოების, ასევე რამდენიმე ჩრდილოეთ აფრიკული სახელმწიფოს ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ბერნის კონვენციის თანახმად, „სპეციალური დაცვის ტერიტორიები“ რომლებიც ქსელის შემადგენელი ნაწილია, არ უნდა განვიხილოთ როგორც კლასიკური დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი, ეროვნული პარკი და სხვა). რა თქმა უნდა, თუ მოცემული ქვეყნის მთავრობა საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია ამგვარი „ტერიტორიები“-ს დაცულ ტერიტორიებად გამოცხადება, მაგრამ ეს სავალდებულო მოთხოვნა არ არის.

ილუსტრაცია 5.3. გეგმარებითი ტერიტორიისა და ზურმუხტის ქსელის საიტის ურთიერთგანლაგების სქემა



5.6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები

გეგმარებით ტერიტორიაზე არაა მოქცეული არცერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი. უახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა - #7533, რომელიც გეგმარებითი ობიექტიდან დაშორებულია 490 მ. მანძილით.



ილუსტრაცია 5.4. გეგმარებით ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი



წყარო: <https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable>

## 5.7 საპროექტო ტერიტორიის გარემოს დაზიანებების ხარისხი


### 5.7.1 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი












ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაზიანებების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაზიანებების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფერული ჰაერის მთავარი დამზიანებელი ავტოტრანსპორტია.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამზიანებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი

ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 5.5. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - [map.emoe.gov.ge](http://map.emoe.gov.ge)




-  სათბობის მრეწველობა და ენერჯეტიკა
-  მეტალურგიული წარმოება და ლითონთა დამუშავება
-  მინერალური მრეწველობა
-  ტექსტილური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
-  ქიმიური მრეწველობა
-  ქალაქის წარმოება, ხის დამუშავება
-  საკვები პროდუქტების წარმოება
-  სოფლის მეურნეობა
-  საწვავის შენახვა, რელიზაცია
-  სხვა
-  მრავალპროფილური

ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს. საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების


2023 წელიწდეული მიხედვით ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა ( $\text{SO}_2$ ) და აზოტის ( $\text{NO}_2$ ) დიოქსიდები, ოზონი ( $\text{O}_3$ ), მყარი ნაწილაკები ( $\text{PM}_{10}$  და  $\text{PM}_{2.5}$ ), ნახშირბადის მონოქსიდი ( $\text{CO}$ ). ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2022 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების შესახებ:

- გოგირდის დიოქსიდის ( $\text{SO}_2$ ) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.
- მყარი ნაწილაკების ( $\text{PM}_{10}$ ) საშუალო წლიური კონცენტრაცია ( $24 \text{ მკგ/მ}^3$ ) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.  $\text{PM}_{10}$ -ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 19 შემთხვევაში, აქედან 10 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით.
- მყარი ნაწილაკების ( $\text{PM}_{2.5}$ ) საშუალო წლიური კონცენტრაცია ( $14 \text{ მკგ/მ}^3$ ) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას.
- აზოტის დიოქსიდის ( $\text{NO}_2$ ) საშუალო წლიური კონცენტრაცია ( $39 \text{ მკგ/მ}^3$ ) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- ნახშირბადის მონოქსიდის ( $\text{CO}$ ) დღეში 8 სთ-იანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის ( $\text{O}_3$ ) მაქსიმალური დღიური რვასაათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

გრაფიკი 5.1. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები (2022 წ.)



გრაფიკი 5.2. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების გადაჭარბებების დღეების რაოდენობა (2022 წ.)



ცხრილი 5.25. PM10-ის, PM2.5-ისა და NO<sub>2</sub>-ის საშუალო წლიური კონცენტრაციები (01.01.2022-31.12.2022)


ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM <sub>10</sub> (მკგ/მ <sup>3</sup> )	PM <sub>2.5</sub> (მკგ/მ <sup>3</sup> )	NO <sub>2</sub> (მკგ/მ <sup>3</sup> )
ბათუმი	აბხაზერძის ქუჩა, №1	24	14	39
კონცენტრაციის მნიშვნელობა	ზღვრული	40	20	40

წინა წლებთან შედარებით ქ. ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში მნიშვნელოვნად შემცირდა მყარი ნაწილაკებისა (PM10 და PM2.5) და აზოტის დიოქსიდის (NO2) საშუალო წლიური კონცენტრაციები.

ცხრილი 5.26. მანვნი ნივთიერებების საშუალო წლიური კონცენტრაციების (მკგ/მ<sup>3</sup>) ცვლილება 2018–2022 წლების მონაცემების მიხედვით

მანვნი ნივთიერებები	წლები				
	2018	2019	2020	2021	2022
PM10 (მკგ/მ <sup>3</sup> )	44	38	34	27	24
PM2.5 (მკგ/მ <sup>3</sup> )	19	19	17	14	14

ილუსტრაცია 5.6. მყარი ნაწილაკების (PM10 და PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაციები, მკგ/მ<sup>3</sup>



ცხრილი 5.27. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2024 წლის ივლისის თვე, (NO<sub>2</sub>, SO<sub>2</sub>, PM<sub>2.5</sub>, PM<sub>10</sub>, O<sub>3</sub> -მკგ/მ<sup>3</sup>; CO-მგ/მ<sup>3</sup>)

ბათუმი, აბუსერიძე, BTUM 2024-07						
დამბინძურებელი	NO <sub>2</sub>	SO <sub>2</sub>	PM <sub>2.5</sub>	PM <sub>10</sub>	O <sub>3</sub>	CO
1	21.88	4.39	7.84	16.99	38.84	0.44
2	19.16	4.68	6.40	12.87	45.85	0.42
3	26.83	4.58	7.57	16.18	43.44	0.49
4	38.53	4.86	9.09	20.33	42.52	0.56
5	24.49	4.47	12.12	28.57	39.59	0.63
6	20.98	4.48	9.13	18.70	38.68	0.44
7	18.39	4.58	5.54	12.14	36.22	0.45
8	21.79	4.50	8.63	17.52	36.34	0.45
9	20.65	4.45	10.93	21.00	35.59	0.49
10	16.85	4.39	11.36	22.09	34.35	0.44
11	18.94	4.34	9.91	20.61	34.94	0.41
12	18.53	4.41	10.17	20.38	31.70	0.43
13	13.09	4.49	10.24	20.17	32.44	0.41
14	16.51	4.57	9.14	17.89	38.10	0.42
15	23.52	4.71	9.00	18.51	38.68	0.46
16	23.82	4.49	12.48	28.73	39.36	0.44
17	21.77	4.45	13.51	30.50	35.56	0.47
18	23.14	4.46	10.99	22.59	36.74	0.43

19	26.76	4.67	9.01	19.73	46.36	0.52
20	27.93	4.96	7.64	15.68	37.90	0.59
21	23.41	4.65	9.26	18.03	42.87	0.57
22	25.36	4.66	13.16	23.62	39.92	0.55
23	21.96	4.61	13.19	24.26	41.47	0.44
24	23.70	4.79	12.22	23.23	37.17	0.49
25	22.66	4.94	9.89	18.48	39.79	0.48
26	24.17	4.96	9.75	17.97	40.65	0.50
27	24.40	4.80	9.87	19.62	40.88	0.49
28	25.44	4.53	7.93	16.15	44.80	0.43
29	23.98	4.53	7.09	15.81	45.16	0.44
30	24.83	4.74	10.11	23.66	42.38	0.46
31	26.33	4.96	9.39	19.35	38.17	0.49

ჰაერის ხარისხის ინდექსის ლეგენდა

(CO-ს კონცენტრაცია მგ/მ<sup>3</sup>, სხვა დამბინძურებლის კონცენტრაცია მკგ/მ<sup>3</sup>)

დამბინძურებლები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი	ძალიან ცუდი
<b>PM2.5</b> მტკრის მყარი შეწონილი ნაწილაკები < 2.5 მკ-ზე	0-10	10-20	20-25	25-50	50-800
<b>PM10</b> მტკრის მყარი შეწონილი ნაწილაკები < 10 მკ-ზე	0-20	20-35	35-50	50-100	100-1200
<b>NO<sub>2</sub></b> აზოტის დიოქსიდი	0-40	40-100	100-200	200-400	400-1000
<b>O<sub>3</sub></b> ოზონი	0-80	80-120	120-180	180-240	240-600
<b>SO<sub>2</sub></b> გოგირდის დიოქსიდი	0-100	100-200	200-350	350-500	500-1250
<b>CO</b> ნახშირჟანგი	0-5	5-7	7-10	10-15	15-50

**ცხრილი 5.28. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები**

მავნე ნივთიერება	ზღვრული მნიშვნელობა	ტოლერანტობის ზღვარი
გოგირდის დიოქსიდი ( SO2)	350 მკგ/მ3	150 მკგ/მ3(43%)
	125 მკგ/მ3	
აზოტის დიოქსიდი ( NO2)	200 მკგ/მ3	50%(1)
	40 მკგ/მ3	50%(1)
მყარი ნაწილაკები ( PM10)	50 მკგ/მ3	50%
	40 მკგ/მ3	20%
მყარი ნაწილაკები ( PM2,5)	25 მკგ/მ3	20%(1)
ნახშირბადის მონოქსიდი ( CO)	10 მგ/მ3	60%
ოზონი (O3)	120 მკგ/მ3	100%

**ინდიკატორული გაზომვების შედეგები**

ქ. ბათუმში ჩატარდა 39 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20 გაზომვა, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 11 გაზომვა. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში - კარგი და 10 შემთხვევაში - საშუალო. ოზონის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ერთ შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 3 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 7 შემთხვევაში - კარგი და ერთ შემთხვევაში - საშუალო. გაზომვების შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

2022 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილაძის ქ. 59, „თიბისი“ ბანკთან - (56.11 მკგ/მ3) აღმატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას 1.4-ჯერ, ხოლო ლუკა ასათიანის ქუჩაზე - (65.89 მკგ/მ3) 1.6-ჯერ.

მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციები ყველა ლოკაციაზე ნორმის ფარგლებში იყო.

**ცხრილი 5.29. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში**

მისამართი	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ3				ოზონი, მკგ/მ3				ბენზოლი, მკგ/მ3			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
მარჯანიშვილის მუზეუმთან	ქ.35.34	24.81	31.54	41.40								

სასტუმრო "ლეონ"- თან	36.40	26.00	29.24	37.79								
წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიასთან	23.39	17.08	26.33	46.23				2.2	1.4	1.6	2.4	
გორგილადის ქ. N59, "თიბისი" ბანკთან	56.18	53.07	53.48	61.71								
ლუკა ასათიანის ქ.	70.67	61.30	67.60	64.00					2.0	2.3	4.1	
ბაქრამის ქ. N28, ტერმინალის მიმდებარედ								5.5	3.9	2.1	3.4	
ბათუმის ბულვარი					109.70	66.58	62.30	28.36				
ახალ ბულვართან						78.55	76.90					
ბაგრატიონის შესახვევი						54.75	41.90					

### ჰაერის ხარისხის ინდექსის ლეგენდა

(დამბინძურების კონცენტრაცია მკგ/მ<sup>3</sup>)

დამბინძურებლები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი	ძალიან ცუდი
<b>NO<sub>2</sub></b> აზოტის დიოქსიდი	0-26	26-40	40-75	75-200	200-1000
<b>O<sub>3</sub></b> ოზონი	0-80	80-120	120-180	180-240	240-600
<b>SO<sub>2</sub></b> გოგირდის დიოქსიდი	0-50	50-125	125-350	350-500	500-1250
<b>C<sub>6</sub>H<sub>6</sub></b> ბენზოლი	0-2	2-5	5-7	7-10	10-12
<b>Pb</b> ტყვია	0-0.02	0.02-0.1	0.1-0.5	0.5-1	1-10



## 6 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები და მასშტაბი

### 6.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე დახასიათება

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე იქონიებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედებას. მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დადებითი და უარყოფითი. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება სტრატეგიული დოკუმენტის სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძობელობის ხარისხზე.

სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგის მიხედვით, საპროექტო კომპლექსის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- **ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და მტვრის ნაწილაკების გავრცელება** - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად დაკავშირებული იქნება სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებთან. არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, საძირკველის მოწყობის სამუშაოები, შენობა-ნაგებობების მოწყობა, მასალების ტრანსპორტირება და სხვა. გამოიწვევს მტვრის ნაწილაკების და მავნე ნივთიერებების გაფრქვევას (წვის პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკა-დანადგარებიდან). სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება, რაც საყოფაცხოვრებო აქტივობებთან იქნება დაკავშირებული.
- **ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება** - ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მთავარი გამომწვევი არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და საპროექტო კომპლექსის მოწყობის სამუშაოები იქნება. ხმაურის წყაროები ძირითად შემთხვევაში დაგეგმილ სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები და მოწყობილობები იქნება;
- **ჩამდინარე წყლებით დაბინძურება** - სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში (საძირკველის ამოღების სამუშაოების წარმოებისას) მოსალოდნელია გრუნტის წყლების ქვაბულში გამოსვლა (ქალაქ ბათუმში გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოსაა), რაც სატანადო მართვას საჭიროებს. ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ასევე მოსალოდნელი საყოფაცხოვრებო პროცესებიდან;
- **ნიადაგის ნაყოფიერი ფენის კარგვა** - ნიადაგის ნაყოფიერი ფენის კარგვა მოსალოდნელი იმ შემთხვევაში, როდესაც ინფრასტრუქტურის მოწყობა ხორციელდება ნაყოფიერი ფენით დაფარულ ტერიტორიებზე. წინამდებარე პროექტის შემთხვევაში, ტერიტორიის დიდ ნაწილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არაა და მოსალოდნელი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.
- **მცენარეული საფარის განადგურება/დაზიანება** - ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, რადგან გეგმარებითი ტერიტორია ანთროპოგენური გავლენის ქვეშაა. პროექტის განხორციელებას გავლენა ექნება მცენარეულ საფარზე, მოსალოდნელია არსებული ხე-მცენარეების გარემოდან ამოღების სამუშაოების განხორციელება. მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსის მოწყობისას ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი გამწვანება.
- **ნარჩენებით გარემოს დაბინძურება** - არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში ადგილი ექნება სხვადასხვა რაოდენობის და კატეგორიის ნარჩენების წარმოქმნას. მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, ნგრევის და ინერტული ნარჩენების წარმოება.

- **ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება** - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები ასევე არსებობს ავარიული სიტუაციების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ზემოქმედების ხარისხი და ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება ავარიულ სიტუაციების ნაირგვარობაზე. რისკების მინიმუმადე შემცირების მიზნით, სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი იქნება ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება;
- **ფაუნაზე ზემოქმედება** - ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელია როგორც სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, ასევე საპროექტო კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. სადემონტაჟო სამუშაოებამდე საყურადღებოა ხელფრთიანებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკების გათვალისწინება, რისთვისაც აუცილებელია სამუშაოების დაწყებამდე ზოოლოგის მიერ შესწავლილი იქნეს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები. მაღალი შენობა-ნაგებობები ასევე წარმოადენს ფრინველებზე უარყოფითი ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს (შენობებთან დაჯახების შემთხვევები), რაც დეტალური პროექტირების ეტაპზე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.
- **ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედება** - მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გეგმარებითი ტერიტორია ინფრასტრუქტურულად დატვირთულია, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება გამოიწვევს გარდაუვალ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას. საპროექტო კომპლექსი მოწყობა შედარებით მაღალი ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს, რაც შეცვლის არსებულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოს.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- ბიოლოგიური გარემო;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო;
- სოციალური გარემო.

საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის და სტრატეგიული დოკუმენტის მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

## 6.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება

ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არაერთი წყაროა წარმოდგენილი (სხვადასხვა სახის საწარმოები, კომერციული ობიექტები, ავტოტრანსპორტი და სხვა) საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები არაა წარმოდგენილი (მძიმე მრეწველობა). ატმოსფერული ჰაერის მთავარ დამბინძურებლად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მოძრავი ავტოტრანსპორტი (აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურია, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე). ზოგადად, ავტოტრანსპორტის სექტორი ერთერთი მთავარი წყაროა ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

გარდა ავტოტრანსპორტისა ქალაქ ბათუმში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება ისეთი ობიექტებიდან, როგორებიცაა:


- სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები;
- ავტომობილების ტექ. მომსახურებისა და რემონტის ობიექტები;
- კვების პროდუქტების და პურ-ფუნთუშეულის წარმოების ობიექტები;
- საწვავის შენახვა და რეალიზაციის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის საცავები და ტერმინალები, ბენზინგასამართი სადგურები;
- ლითონის ან/და მეტალო-პლასტმასის დამუშავების, ლითონების შედუღების ან/და აირული ჭრის ობიექტები;
- სამშენებლო მასალების, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოების ობიექტები;
- ქვის სველი და მშრალი მეთოდით დამუშავების ობიექტები;
- ხის დამუშავების, ავეჯისა და ქაღალდის წარმოების ობიექტები;
- სოფლის მეურნეობის (მეფრინველეობის, სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების წარმოების) ობიექტები.
- სხვა;












მოცემული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშირორჟანგი და სხვა.

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფერული ჰაერის მთავარი დამბინძურებელი ავტოტრანსპორტია.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 6.1. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მანვნი ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - [map.emoe.gov.ge](http://map.emoe.gov.ge)



-  სათბობის მრეწველობა და ენერჯეტიკა
-  მეტალურგიული წარმოება და ლითონთა დამუშავება
-  მინერალური მრეწველობა
-  ტექსტილური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
-  ქიმიური მრეწველობა
-  ქალაქის წარმოება, ხის დამუშავება
-  საკვები პროდუქტების წარმოება
-  სოფლის მეურნეობა
-  სანავის შენახვა, რეალიზაცია
-  სხვა
-  მრავალპროფილური

პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად მოსამზადებელი, დემონტაჟისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესებთან იქნება დაკავშირებული - მიწის სამუშაოები, მასალების ტრანსპორტირება, სატვირთოების გადაადგილება, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების გამოყენება, ბეტონის სამუშაოების წარმოება და სხვა. სამუშაოების წარმოების პერიოდში მოსალოდნელია მტვრის

ნაწილაკებისა და სხვადასხვა მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი ნახშირბადის ოქსიდი, შეწონილი ნაწილაკები და სხვა). პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მასშტაბური და მუდმივი ხასიათის. კომპლექსის მოსაწყობად სულ საჭირო იქნება 5 წელი. ამ პერიოდის განმავლობაშია მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, რაც გამოხატული იქნება ფონური მდგომარეობის მცირედით გაუარესებაში და მიმდებარე ტერიტორიებზე ხმაურის დონის მატებაში. უნდა აღინიშნოს, ასევე რომ გეგმარებით და მიმდებარე ტერიტორიებზე ხმაურის ფონური მდგომარეობის ერთერთი მთავარი განმაპირობებელი ავტოტრანსპორტია. პროექტის განხორციელების პერიოდში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა-დანადგარები გამოიწვევს არსებული ფონური მდგომარეობის მცირედით გაუარესებას. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის რადგან სამუშაოები განხორციელდება 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის მიხედვით.

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებლების გაფრქვევის და ხმაურის გავრცელების მიმართ ყველაზე სენსიტიური რეცეპტორები გეგმარებით ტერიტორიასთან მცხოვრები მოსახლეობა იქნება - გეგმარებით ერთეულს ძირითადად მრავალბინიანი კორპუსები ესაზღვრება.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

### 6.3 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

კომპლექსის და ჩასატარებელი სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის, შენობების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში საჭიროა მიწის სამუშაოების განხორციელება. აქტიური სამუშაოების დაწყებამდე საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი. პროექტის განხორციელების პერიოდში, საორიენტაციოდ საერთო ჯამში მოსახსნელი იქნება დაახლოებით 1500 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლიდანაც უმეტესი ნაწილი გამოყენებული იქნება ადგილზევე ტერიტორიის რეკულტივაციისას.

ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, სპეციალურ გამოყოფილ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა უნდა მოხდეს არაუმეტეს 2,5 მ-ის სიმაღლის ნაყარში, ე.წ. კავალიერებში, რომელთა ფერდების დახრილობის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 45<sup>0</sup>-ს. დასაწყობების ტერიტორია დაცული უნდა იყოს წარეცხვისაგან წყალამრიდი არხების მოწყობით. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იყოს მიზნობრივად. პროექტის განხორციელებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება ქალაქ ბათუმის მერიასთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე.

სამუშაოების არასათანადო წარმოებამ, ნარჩენების არასწორმა მართვამ, სამუშაო ზონების საზღვრების დარღვევამ და/ან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომმა არამიზნობრივმა გამოყენებამ შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს ნიადაგის ნაყოფიერებას. მნიშვნელოვანია, რომ მოხსნილი ნიადაგის დასაწყობების ადგილი შეირჩეს გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზღვაში და/ან მდინარეში ჩარეცხვა.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე უარყოფითი ზეგავლენა მოსამზადებელი და სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდშიც არის მოსალოდნელი. სამუშაოების განხორციელებამდე ტერიტორიის იმ ნაწილიდან, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენაა წარმოდგენილი, უნდა მოიხსნას ნიადაგი დამართვა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

მიწის სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია გარემოსდაცვითი პირობების მკაცრი დაცვა. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

#### 6.4 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება

გეგმარებითი ობიექტიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდინარე მეჯინისწყალია, რომელიც 0.98 კმ-ში გაედინება გეგმარებითი ობიექტიდან. დაახლოებით 1.1 კმ. მანძილში მდებარეობს შავი ზღვა. მანძილების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება ზედაპირული წყლის ობიექტზე ზეგავლენას არ იქონიებს. .

ცნობილია, რომ ქალაქ ბათუმში გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოსაა. მიწისქვეშა წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს სამშენებლო სამუშაოების არასწორ წარმართვას, დაუდევრობას, სამშენებლო სტანდარტების დარღვევას, ტექნიკის გამართულობის უგულებელყოფას, ნარჩენების არასათანადო მართვას, ავარიულ სიტუაციებს და სხვა. არასათანადოდ მართულმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს გრუნტის წყლების დაბინძურება. დაბინძურების რისკები მაღალია უშუალოდ კომპლექსის საძირკვლების სამუშაოების წარმოების პერიოდში. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ეტაპებზე დაგეგმილი სამუშაოების წარიმართოს მკაცრი კონტროლისა და სტანდარტების დაცვის მიხედვით.

საპროექტო კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები მინიმალურია. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, რომელიც დაუკავშირდება არსებულ ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემას.

შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება.

#### 6.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელებისას ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ზოგადი ფაქტორები არაერთი შეიძლება იყოს, კერძოდ:

- მოსალოდნელია ჰაბიტატების კარგვა, მაგალითად: სამშენებლო ადგილების გასუფთავების/მოსწორების პროცესში;

- არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის, ხეების ჭრის და მიწის სამუშაოების შედეგად შესაძლებელია მოხდეს ცალკეული სახეობების საზუდარი ადგილების მოშლა. ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები შეიძლება იყოს ხელფრთიანები და ფრინველები.
- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გაიზრდება ფაუნის სახეობების შეწუხების ფაქტორები (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ტერიტორია ურბანული ნაწილის შემადგენლობაში შედის, შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ფაუნის სახეობები შეგუებულნი არიან არსებულ გარემო პირობებს);
- მშენებლობისას გაიზრდება ხმაური და ვიბრაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მტკრისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისიები;
- გარემოში ნარჩენების მოხვედრამ და ვიზუალურ-ლანდშაფტურმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს სახეობების მიგრაცია სხვა ტერიტორიებზე;

პროექტის ფარგლებში ზემოქმედება მოსალოდნელია, როგორც გეგმარებით არეალში არსებულ ჰაბიტატებში მოზუდარ და მოზინადრე ფრინველთა სახეობებზე (მაგ: მომატებული ხმაურის, მტკერის გავრცელების გამო) ასევე შემომფრენ, მიგრანტ სახეობებზე. ტერიტორიის სიახლოვეს გადის ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები. .

როგორც ზემოთ აღინიშნა პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე მრავალსართულიანი შენობის აშენება, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე 76 მეტრს შეადგენს, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ფრინველთა ზოგიერთ სახეობაზე და განაპირობოს შენობებთან მათი შეჯახება.

ფრინველებზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემდეგი სახის ზემოქმედებას:

- გაიზრდება შეწუხების ფაქტორი სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად მყოფი ფრინველებისათვის. აღნიშნული მოახდენს ზემოქმედებას ფრინველთა პოპულაციების არსებობაზე. თუმცა ზემოქმედება იქნება დროებითი ხასიათის და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ფრინველები დაუბრუნდებიან ტერიტორიას.
- მაღალსართულიან შენობებზე ფრინველთა შეჯახების და მათი სიკვდილიანობის არსებული რისკები (განიხილება ე.წ. სარკის ეფექტი, როცა შენობა ირეკლავს გარემოს/გამწვანებას და ე.წ ფრენის ეფექტი როცა არეკვლა ხდება ცარიელი სივრცის. ორივე შემთხვევაში ფრინველს ჰგონია უსაფრთხო გზა და შესაძლოა მოხდეს მათი შეჯახება შუშით დაფარულ შენობებზე;

პროექტის განხორციელებისას შესაძლოა მოხდეს ქვეწარმავლების და ამფიბიების ჰაბიტატების დაზიანება/განადგურება, ასევე ინდივიდების დაღუპვა. ზემოქმედება მოსალოდნელია პროექტის საწყის ეტაპზე, ნიადაგის და გრუნტის სამუშაოების წარმოებისას.

ადგილმდებარეობის და გეგმარებითი ერთეულის ჰაბიტატებიდან გამომდინარე, მსხვილ ძუძუმწოვრებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი შეიძლება შეფასდეს როგორც - საშუალო.

## 6.6 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება, საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების საზღვრებში. გეგმარებითი ერთეული  $\approx 9.8$  კმ-ით არის დაშორებული მტირალას ეროვნული პარკიდან ხოლო ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბნიდან „ჭოროხის

დელტა“ 2.65 კმ-ით. დაცული ტერიტორიებიდან დაშორების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას (ეკოსისტემების დაზიანება, მთლიანობის დარღვევა და ა.შ), არ იქონიებს.

**6.7 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება**

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე, ტერიტორია გასუფთავდება არსებული ინფრასტრუქტურით. ტერიტორიის მომზადების შემდეგ, ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სახიფათო, მუნიციპალური, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია ცხრილში 6.1.

**ცხრილი 6.1. ინფორმაცია კონკრეტული გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ<sup>3</sup>.**

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი	ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა
<b>ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქალაქის, მუყაოს, სამერქნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03</b>					
<b>03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან</b>					
03 01 05	ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები, რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04	არა	მყარი	-	15 ტონა
<b>ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას - ჯგუფის კოდი 12</b>					
<b>12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას</b>					
12 01 13	შედულებისას წარმოქმნილი ნარჩენი	არა	მყარი	-	6 ტონა
12 01 20*	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (აბრაზიული ქვები)	არა	მყარი	-	2 ტონა
<b>შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15</b>					
<b>15 01 შესაფუთი მასალა (გალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)</b>					

<sup>3</sup> შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით



15 01 01	ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	6 ტონა
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-	15 ტონა
<b>15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის</b>					
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14- ეკოტოქსიკური	8 ტონა
<b>სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17</b>					
<b>17 01 ცემენტი, აგურები, ფილები და კერამიკა</b>					
17 01 01	ცემენტი	არა	მყარი	-	10000 ტონა
17 01 02	აგურები	არა	მყარი	-	1000 ტონა
17 01 03	ფილები და კერამიკული ნაწარმი	არა	მყარი	-	2000 ტონა
<b>17 02 ხე, მინა და პლასტმასი</b>					
17 02 01	ხე	არა	მყარი	-	100 ტონა
17 02 02	მინა	არა	მყარი	-	10 ტონა
17 02 03	პლასტმასი	არა	მყარი	-	10 ტონა
<b>17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)</b>					
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-	5000 ტონა
<b>17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი</b>					
17 05 03*	ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	დიახ	მყარი	H 15	15 ტონა
<b>17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები</b>					
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-	5 ტონა
<b>ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით ან/და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად (გარდა საკვები ობიექტების ნარჩენებისა, რომლებიც არ არის წარმოქმნილი რაიმე უშუალო სამედიცინო აქტივობის შედეგად) - ჯგუფის კოდი 18</b>					
<b>18 01 ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში</b>					
18 01 04	ნარჩენები, რომელთა შეროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ	არა	მყარი	-	1 ტონა

	მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ., შესახვევი მასალა, თაბაშირი, თეთრეული, ერთჯერადი ტანისამოსი, საფენები)				
18 01 09	მედიკამენტები, გარდა 18 01 08 პუნქტით გათვალისწინებული	არა	მყარი	-	30 კგ
<b>მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20</b>					
<b>20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)</b>					
20 01 39	პლასტმასი	არა	მყარი	-	10 ტონა
20 01 40	ლითონები	არა	მყარი	-	20 ტონა
<b>20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები</b>					
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	100 ტონა

**შენიშვნა:** ცხრილში მოცემული ნარჩენების სახეობები და რაოდენობები შესაძლოა შეიცვალოს უშუალოდ საქმიანობის განხორციელებისას. მოცემული რაოდენობები ნავარაუდევია პროექტის მასშტაბის მიხედვით.

ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენის სათანადო მართვას საჭიროებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოს დაბინძურება. ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება დააბინძუროს გარემოს სხვადასხვა კომპონენტები. ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა განხორციელდება ბათუმის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის, ან ასეთ საქმიანობაზე მქონე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ.

ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია შპს „სანდასუფთავება“. კომპლექსის ფუნქციონირებისას ტერიტორიას მოემსახურება აღნიშნული სამსახური, ხოლო პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია შემდეგი მართვისთვის ამავე კომპანიას გადაეცეს, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიასთან.

წარმოქმნილი მუნიციპალური, ან მსგავსი შემადგენლობის ნარჩენების განთავსება განხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, უახლოეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის ტერიტორიაზეა განთავსებული და მოემსახურება აჭარის რეგიონს.

პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება სპეციალურ, სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში. კონტეინერების ტრანსპორტირება და დაცლა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

**ილუსტრაცია 6.2. სამშენებლო ნარჩენების განთავსებისათვის საჭირო კონტეინერის მაგალითი**



უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის თანახმად ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპლექსის მოწყობის პერიოდში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიიდან გასატანი იქნება ინერტული ნარჩენები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერები, რომელსაც მოემსახურება შესაბამისი კონტრაქტორი პირი/კომპანია.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ ასევე შემუშავდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები. შემუშავებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

ნარჩენების სათანადო მართვის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

## 6.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

პროექტის განხორციელება გამოიწვევს გარდაუვალ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებს. პროექტის განხორციელებისას ამჟამად არსებული ლანდშაფტები შეცვლება და ჩანაცვლება შედარებით მასშტაბური ინფრასტრუქტურით. ამასთან, საპროექტო შენობებიდან ყველაზე მაღალი 76 მ. სიმაღლის იქნება, რაც ასევე ვიზუალურ ცვლილებებს გამოიწვევს. სიმაღლის გათვალისწინებით საპროექტო შენობები ხილვადი იქნება შორი მანძილებიდანაც კი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ნაწილში არაერთი მრავალსართულიანი შენობა არსებობს და მიმდინარეობს მშენებლობა, რაც გულისხმობს, რომ ქალაქის ვიზუალური გარემო უკვე სახეცვლილია და წინამდებარე გდგ-ს განხორციელებით ვიზუალურ ლანდშაფტურ გარემოზე მასშტაბურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობა გავლენას იქონიებს მიმდებარე ტერიტორიების ვიზუალურ გარემოზე. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებების პოტენციური რეცეპტორები იქნებიან საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები. პროექტის განხორციელების შემდეგ ტერიტორიაზე გაჩნდება მუდმივი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეცვლის არსებულ ვიზუალურ გარემოს და ლანდშაფტს.

ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედების ხარისხი უფრო მაღალი იქნება მიმდებარე ტერიტორიებზე მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში, კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში. კუმულაციური ზემოქმედების საკითხები განხილულია 6.12 პარაგრაფში.

## 6.9 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები განლაგებული არაა. გეგმარებით ერთეულში არ ხვდება არცერთი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ფიზიკური და ვიზუალური დაცვი ზონა. უახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა - #7533, რომელიც გეგმარებითი ობიექტიდან დაშორებულია 490 მ. მანძილით.

პროექტის განხორციელებისას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები დაზიანება განადგურება მოსალოდნელი არაა.

## 6.10 სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

გეგმარებითი ტერიტორიის მთავარ ქუჩას აღმაშენებლის ქუჩა წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ ბაგრატიონის ქუჩას კვეთს. აღნიშნული ქუჩები გამოყენებული იქნება დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ აღმაშენებლის ქუჩა ხასიათდება საკმაოდ მაღალი სატრანსპორტო ნაკადებით.

პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელია გეგმარებითი ტერიტორიის მომიჯნავე ქუჩებზე არსებული სატრანსპორტო ნაკადების შეფერხება. მით უფრო გასათვალისწინებელია ტურისტული სეზონი, როდესაც სატრანსპორტო ნაკადები ქალაქ ბათუმში პიკს აღწევს.

საგზაო უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვისთვის, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე მომზადდება და შესაბამის ორგანოებთან შეთანხმდება საგზაო მოძრაობის დროებითი სქემები. კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე მიმდებარე, საგზაო მოძრაობა ასევე დარეგულირდება შეთანხმებული საგზაო მონიშვნებითა და ნიშნებით.

### **6.11 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები**

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პირობების დარღვევამ, ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, სიმაღლეზე მუშაობის დროს უსაფრთხოების უგულვებელყოფამ, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული ხედვების განხორციელებამ ასევე შესაძლოა მომიჯნავე ტერიტორიებზე მცხოვრებლების და დამსვენებლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს გავლენა - ავტოსატრანსპორტის დაჯახება, სიმაღლიდან ჩამოვარდნილი საგნებით გამოწვეული დაზიანება, გარემოს კომპონენტების ხარისხის გაუარესება და სხვა. რისკები მოსალოდნელია იმ შემთხვევაში თუ უგულვებელყოფილი იქნება სამშენებლო ნორმები და უსაფრთხოების პირობები.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო და მომიჯნავე ზონებში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის და საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას. განსაკუთრებით უნდა იყოს დაცული სიმაღლეზე მუშაობის ნორმები და წესები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

### **6.12 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება**

გდგ-ს განხორციელება მეტწილად პირდაპირ ზეგავლენას იქონიებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ზემოქმედება იქნება, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი.

უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გარემოს კომპონენტების ხარისხის გაუარესებასთან და ფონური მდგომარეობის ცვლილებასთან, რამაც შესაძლოა თავის

მხრივ უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანის სოციალურ პირობებზე. უარყოფითი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობის პერიოდთან (5 წელი).

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს დასაქმებული პერსონალის (მათ შორის ადგილობრივების) სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. საპროექტო კომპლექსში განთავსდება როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე მომსახურების სხვა ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, ასევე გაუმჯობესდება მომსახურების სერვისი, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

### 6.13 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება გულისხმობს ისეთ ზემოქმედებას. რომელიც გამომდინარეობს თანმიმდევრული, მზარდი, ან/და კომბინირებული ქმედებების, პროექტის, პროგრამის ან საქმიანობის შედეგად (ერთობლივად „ქმედებები“) რომლებიც ემატება სხვა არსებულ, დაგეგმილ, ან/და გონივრულად მოსალოდნელ სამომავლო ქმედებებს.

ქალაქ ბათუმში ამჟამად არაერთი სამშენებლო პროექტის განხორციელება მიმდინარეობს და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. წინამდებარე პროექტის განხორციელება კუმულაციურ ზემოქმედება იქონიებს სხვა მსგავსი პროექტების ერთობლივად განხორციელების პერიოდში. კერძოდ, კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში მოსალოდნელია:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა;
- გრუნტის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დეგრადაცია/დაბინძურება;
- მცენარეული საფარის შემცირება;
- მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესება;
- წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის ზრდა;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული რისკები;
- სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები.

ილუსტრაცია 6.3. ელექტრონული განცხადებები ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობითი პროექტების მომზადებასთან დაკავშირებით



წყარო: <https://maps.municipal.gov.ge>

შენიშვნა: რუხი ფენით მოცემული ის ტერიტორიები, მომზადებულია ელექტრონული განცხადებები ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობითი პროექტების მომზადებასთან დაკავშირებით.

საპროექტო და სხვა მსგავსი პროექტების ერთობლივად განხორციელებისას, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებით და ხმაურის გავრცელებით კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარების მუშაობასთან რა დროსაც მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (მტვრის ნაწილაკების გაფრქვევა (მიწის და გრუნტის სამუშაოების წარმოებისას), რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი ნახშირბადის ოქსიდი, შეწონილი ნაწილაკები და სხვა). სამუშაოების განხორციელებისას ასევე მოიმატებს ხმაურის დონე. ეს ყველაფერი გავლენას იქონიებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ კუმულაციური ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე არ ექნება მუდმივი ხასიათი და დამოკიდებული იქნება სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობასთან, წინამდებარე პროექტის შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება უმეტესწილად მოსალოდნელია 5 წლის განმავლობაში.

კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების საკითხები. გეგმარებითი ერთეულის და სხვა

სამშენებლოდ განკუთვნილი ტერიტორიების განაშენიანება გამოიწვევს გარდაუვალ ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, სადაც ინფრასტრუქტურის მოწყობაა დაგეგმილი. მოცემულ ტერიტორიების განაშენიანება გულისხმობს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შედარებით მეტ ფართობს და მასზე უარყოფითი ზემოქმედების მომატებულ რისკებს. ტერიტორიებიდან მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არამიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. კუმულაციური უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია მისი ნარჩენებით დაბინძურებით და არასწორად წარმართული სამუშაოებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ჭრილში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გრუნტის სამუშაოების განხორციელებისას კუმულაციურად მეტი რაოდენობის გრუნტი წარმოქმნება, რაც შესაბამის მართვას საჭიროებს. წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება მიზნობრივად.

წინამდებარე გდგ-ს და სხვა მსგავსი პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ტიპისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნასთან. სამშენებლო სამუშაოების პარალელურად განხორციელების შემთხვევაში ჯამურად მეტი რაოდენობის, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება, რაც ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებსაც ზრდის და მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ჩამდინარე წყლების წარმოქმნა და ავარიული სიტუაციების რისკები, იმ ფაქტის გათვალისწინებით ზოგადად ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე გრუნტის წყლები მიწის ზედაპირიდან ახლოსაა წარმოდგენილი მიწისქვეშა წყლებზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები. განსაკუთრებით საყურადღებო ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპია, რადგან ამ პერიოდში ადგილი ექნება სხვადასხვა კატეგორიის თხევადი ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა არასათანადო მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია წყლის გარემოს დაბინძურება. აღსანიშნავია, რომ ქალაქი ბათუმი დაქსელილია შესაბამისი სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელებით, შესაბამისად გეგმარებითი ობიექტი აღჭურვილი იქნება სათანადო ინფრასტრუქტურით და ექსპლუატაციის ეტაპზე ექნება შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები). წინამდებარე და მსგავსი ობიექტების ფუნქციონირებისას წყლის გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები უმნიშვნელო იქნება, რადგან წარმოქმნილი საკანალიზაციო და სანიაღვრე წყლების მართვა განხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

გეგმარებით ობიექტებზე წარმოდგენილია მცენარეული საფარი (რამდენიმე ერთეული ხე-მცენარე), რომელთა ნაწილი ექვემდებარება მოხსნას. აღნიშნული გარემოება გულისხმობს მცენარეულ საფარზე გარდაუვალ კუმულაციურ ზემოქმედებას. ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიებიდან უნდა მოიხსნას/გადაირგოს არსებული მცენარეულობა, რაც მათი საერთო რაოდენობისა და განაშენიანების ფართობის შემცირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს გეგმარებითი ერთეულის გამწვანებას სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებით.

გეგმარებითი ტერიტორიების განაშენიანობისას და მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ კუმულაციური ზემოქმედება შესაძლოა გამოხატულის იყოს ორნითოფაუნაზე



უარყოფით ზემოქმედებასთან. წინამდებარე გდგ-ს მიხედვით გეგმარებით ერთეულზე მოწყობა 76 მ. მაქსიმალური სიმაღლის ინფრასტრუქტურაც, ხოლო ქალაქ ბათუმში მიმდინარე სამშენებლო ტენდენციების გათვალისწინებით ქალაქის ტერიტორიაზე არაერთი მრავალსართულიანი კომპლექსის მოწყობას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი. მრავალსართულიანი კომპლექსები ფრინველებზე ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს. გეგმარებით ობიექტებზე დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება შესაძლოა დაკავშირებული იყოს:

- მოზუდარ და მოზინადრე ფრინველებზე არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟისა და ხეების ჭრით გამოწვეული ზემოქმედებასთან.
- ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებასთან, რამაც შეიძლება გეგმარებით და ახლომდებარე ტერიტორიებზე გაზარდოს ხმაურის გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების რისკები.
- გეგმარებით ობიექტებზე მცენარეული საფარის მოხსნისას ფრინველთათვის მნიშვნელოვანი საბუდარი და საზინადრო ჰაბიტატების კარგვასთან.
- მაღალსართულიან შენობებზე ფრინველთა შეჯახების და მათი სიკვდილიანობის რისკებთან.

საპროექტო კომპლექსის და სხვა გეგმარებითი ობიექტების მოწყობისას გამოყენებული იქნება ცენტრალური და შიდასაუბნო გზები და ქუჩები. სამშენებლო ტექნიკისა და სხვა დანიშნულების ავტოტრანსპორტის გადაადგილება კუმულაციურ ზემოქმედება იქონიებს სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაძლებელია გადაადგილების შეფერხება და დროებითი შეზღუდვაც კი გამოიწვიოს. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი იქნება, როგორც მშენებლობის პერიოდში ასევე ობიექტების ფუნქციონირების ეტაპზე. ობიექტების ფუნქციონირებამ შესაძლოა არსებულ გზებსა და ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შეფერხება გამოიწვიოს (აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდება შესაბამისი კვლევა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის პერიოდში შესაბამის უწყებებში შეთანხმდება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, ხოლო ობიექტების ფუნქციონირების ეტაპზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დარეგულირდება შესაბამისი საგზაო ნიშნებითა და მონიშვნებით.

საპროექტო გეგმარებით და სხვა მსგავსი ტიპის ობიექტებზე განაშენიანების მოწყობა გარდაუვალ ზემოქმედებას იქონიებს ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე. ინფრასტრუქტურის მოწყობა, განსაკუთრებით მაღალი შენობების, შეცვლის არსებულ ვიზუალურ გარემოს. გაჩნდება მუდმივი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხილული იქნება სხვადასხვა წერტილიდან. პროექტების განხორციელებით არსებული ლანდშაფტების ჩანაცვლება მოხდება ახლით, რაც შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს არსებულისგან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელია არსებული ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემოს შეცვლა და ხანგრძლივი ზემოქმედება. ზემოქმედების მიმართ პოტენციური რეცეპტორები იქნებიან გეგმარებითი ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები.

გარდა უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედებისა, გეგმარებითი ობიექტების განაშენიანებით მოსალოდნელია დადებითი კუმულაციური ზემოქმედებაც, რაც გულისმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ობიექტების მოწყობის პერიოდში მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რაც დადებით ზემოქმედებას იქონიებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობაზე.

სამშენებლო სამუშაოების დასრულებისა და კომპლექსების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ კომერციულ ობიექტებში ასევე მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რასაც უფრო ხანგრძლივი სახე ექნება და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება ხანგრძლივი პერიოდის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება. კუმულაციური ზემოქმედება იქნება როგორც ხანმოკლე (მაქსიმალური პერიოდი 5 წელი), ასევე ხანგრძლივი-მაგალითად ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების თვალსაზრისით.

კუმულაციური ზემოქმედების ხარისხის მაქსიმალურად შემცირებისთვის აუცილებელია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

ილუსტრაცია 6.4. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
<ul style="list-style-type: none"> <li>ატმოსფერული ჰაერის ხარისხი</li> </ul>	<p>განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებით მოსალოდნელია ატმოსფერულ ხარისხზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p> <p>კერძოდ, ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და საპროექტო შენობების მოწყობისას მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, წვის პროდუქტების, შედეგების აეროზოლების და დამბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევა.</p> <p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გეგმარებითი ერთეულის</p>	<p><b>დროში შეზღუდული საშუალო ხარისხის</b> ზემოქმედება - ზემოქმედება მოსალოდნელია სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში</p>	<p><b>ხანმოკლე</b> - ატმოსფერული ჰაერის დამბინძურება მოსალოდნელია დემონტაჟისა და საპროექტო შენობის მოწყობის პერიოდში, რომელსაც დროებითი ხასიათი ექნება, მაქსიმალური ხანგრძლივობა 5 წელი.</p>	<p><b>არა</b></p>	<p>საერთო ჯამში განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მცირედი გაუარესება ლოკალური მასშტაბით, სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>სიახლოვეს მცხოვრებლებზე, დამსვენებლებსა და სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალზე.</p> <p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილება ძირითადად მოსალოდნელია მხოლოდ არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟისა და განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში</p>				
<ul style="list-style-type: none"> <li>წყლის გარემო</li> </ul>	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია გრუნტის წყლებზე <b>პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება</b>.</p> <p>კომპლექსის მოწყობა მიწის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრ სიღრმეზე ითვალისწინებს გრუნტის</p>	<p><b>დაბალი ხარისხის</b> - გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია ძირითადად შენობების სამირკვლების მოწყობის პერიოდში</p>	<p><b>ხანმოკლე</b> - გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები არსებობს პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, გრუნტის სამუშაოების</p>	<p><b>არა</b></p>	<p>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას წყლის გარემოზე გარდაუვალი უარყოფითი შედეგები მოსალოდნელი არაა. უარყოფითი შედეგები მოსალოდნელია</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>სამუშაოების წარმოებას. როგორც წესი, ქალაქ ბათუმში და ზღვისპირა ტერიტორიებზე გრუნტის წყლების გამოსავალი ფიქსირდება (დეტალურად ეს საკითხი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შემდეგ შეფასდება). შესაბამისად კომპლექსის მოწყობა გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებთან იქნება დაკავშირებული<sup>4</sup>. ზემოქმედება შესაძლოა გამოწვეული იყოს ტექნიკის მუშაობასთან, ნარჩენების არასათანადო მართვასთან და ავარიულ დაღვრებთან.</p> <p>საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ზედაპირული</p>		წარმოებისას რამდენიმე თვის განმავლობაში		<p>სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში.</p> <p>მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია მკაცრი გარემოსდაცვითი პირობების და მეთვალყურეობის ქვეშ.</p>

<sup>4</sup> საკანალიზაციო წყლების მართვა მოხდება ბათუმის წყალმომარაგების სამსახურთან შეთანხმებით, რომელის ხელშეკრულებაც დაიდება კონკრეტულ პერიოდში.

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	წყლის ობიექტები წარმოდგენილი არაა				
<ul style="list-style-type: none"> <li>საზღვაო აკვატორია</li> </ul>	პროექტის განხორციელებისას საზღვაო აკვატორიაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა	-	-	-	-
<ul style="list-style-type: none"> <li>ნიადაგი და გრუნტი</li> </ul>	განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებით მოსალოდნელია ნიადაგსა და გრუნტზე <b>პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება</b> . პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გეგმარებით ერთეულზე ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებთან. შენობების საძირკვლების, საპარკინგე და სხვა სივრცეების მოწყობისას განსახორციელებელი იქნება	<b>დაბალი ხარისხის</b> - ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება მოსალოდნელია მიწის სამუშაოების წარმოების პერიოდში, რაც განაშენიანების დეტალურ გეგმაში მოცემული ინფრასტრუქტურის მოწყობის საწყის ეტაპზეა მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ გეგმარებითი	<b>ხანმოკლე</b> - ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედების რისკები ძირითადად მოსალოდნელია განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების საწყის ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოებისას	<b>დიახ</b> - განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებისას ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედება გარდაუვალია	გდგ-ს განხორციელების შედეგად ადგილი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობების შემცირებას, თუმცა მხოლოდ ლოკალური მასშტაბით. პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დიდი ფართობების დაკარგვას და/ან დეგრადირებას. პირდაპირ ზემოქმედებას

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>მიწის სამუშაოები. ტერიტორიებიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგი და გრუნტი, რაც ამ რეცეპტორებზე პირდაპირ ზემოქმედებას გულისხმობს.</p> <p>ნიადაგზე და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პერიოდში ნარჩენებით დაბინძურებასთან, ავარიულ დაღვრასთან და არასწორად წარმართულ სამუშაოებთან.</p> <p>ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება მოსალოდნელია გდგ-ს განხორციელების ეტაპზე. პროექტის განხორციელების შემდეგ ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებას განგრძობითი ხასიათი არ ექნება.</p>	<p>ერთეული ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშაა და დიდ ნაწილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არაა</p>			<p>დაქვემდებარებული ნაყოფიერი ფენის გარემოსდაცვითი კანონმდებლობით მოთხოვნილი პირობების მიხედვით მართვის შემთხვევაში მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები კიდევ უფრო შემცირდება</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
<ul style="list-style-type: none"> <li>მცენარეული საფარი</li> </ul>	<p>გდგ-ს განხორციელებით მოსალოდნელია მცენარეულ საფარზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</p> <p>პროექტის განხორციელებისთვის საჭირო იქნება ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების ნაწილის ბუნებრივი გარემოდან ამოღება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსაჭრელი სახეობებიდან არცერთი არ წარმოადგენს წითელი ნუსხის სახეობას.</p> <p>ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განაშენიანების დეტალური გეგმა ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის გამწვანებას, რაც შესაძლებელია შემარბილებელ ღონისძიებად განვიხილოთ</p>	<p><b>დაბალი ხარისხის -</b> ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული ხე-მცენარე</p>	<p><b>ხანგრძლივი</b></p>	<p><b>დიახ</b></p>	<p>გდგ-ს განხორციელების შედეგად შემცირდება ხე-მცენარეების საერთო რაოდენობა. თუმცა მოსაჭრელი ხე-მცენარეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით მწვანე საფარზე ზემოქმედების მასშტაბი იქნება ლოკალური. ზემოქმედების შერბილებისთვის გდგ-ს განხორციელებისას ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი გამწვანება</p>



გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
<ul style="list-style-type: none"> <li>ცხოველთა სამყარო</li> </ul>	<p>განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებისას ცხოველთა სამყაროზე მოსალოდნელია როგორც <b>პირდაპირი ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება.</b></p> <p>გეგმარებითი ერთეული მოქცეულია ბათუმის ურბანულ ნაწილში. ტერიტორია სხვადასხვა სახეობის მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს წარმოადგენს, შესაბამისად გდგ-ს განხორციელებისას ძუძუმწოვრებზე უარყოფით ზემოქმედება მინიმალური იქნება.</p> <p>პირდაპირი ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორნითოფაუნაზე, რადგან</p>	<p><b>დაბალი ხარისხის</b></p>	<p><b>როგორც ხანმოკლე ასევე ხანგრძლივი -</b> ხანმოკლე ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესებთან, ხოლო ხანგრძლივი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება კომპლექსის ოპერირებასთან და ფრინველებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხებთან ხანგრძლივი პერიოდით.</p>	<p><b>დიახ</b></p>	<p>გდგ-ს განხორციელებისას ცხოველთა სამყაროზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები დაბალია. მხედველობაში მისაღები ძირითადად ორნითოფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედების საკითხები იქნება, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი შეიძლება გააჩნდეს</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>გდგ-ს განხორციელების შემდეგ გაჩნდება მრავალსართულიანი კომპლექსი.</p> <p>მრავალსართულიანი კომპლექსების ფრინველებზე ზემოქმედების ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს, ხშირია ფრინველების მხრიდან შეჯახების და დაზიანების/სიკვდილიანობის შემთხვევები. რისკები იზრდება მაშინ, როდესაც შენობების ფასადი მოპირკეთებულია შუშის მასალით.</p> <p>ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება ასევე შესაძლებელია გამოწვეული იყოს ხმაურის დონის მომატებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ გეგმარებით ერთეულში გავრცელებული სახეობები</p>				

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	შეგუებულები არიან ურბანულ გარემოს და არსებულ ხმაურის ფონურ დონეს.				
• დაცული ტერიტორიები	გეგმარებითი ერთეულიდან მანძილის გათვალისწინებით გდგ-ს განხორციელების შედეგად დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არაა	-	-	-	-
• სატყეო ტერიტორიები	გეგმარებითი ერთეული არაა განთავსებული სატყეო ტერიტორიების ფარგლებში ან მის სიახლოვეს, შესაბამისად გდგ-ს განხორციელება სატყეო ტერიტორიებზე ზემოქმედებას არ იქონიებს	-	-	-	-
• სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები	გდგ-ს განხორციელება სასოფლო-სამეურნეო	-	-	-	-

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	დანიშნულების მიწებზე ზემოქმედებას არ იქონიებს				
<ul style="list-style-type: none"> <li>ნარჩენების მართვა</li> </ul>	<p>გდგ-ს განხორციელებისას მოსალოდნელია ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული <b>პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება</b>.</p> <p>გეგმარებით ერთეულზე არსებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟის და საპროექტო კომპლექსის მოწყობის პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა რაოდენობის, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო მართვის შემთხვევაში არსებობს, როგორც ბუნებრივ გარემოს კომპონენტებზე, ასევე ადამიანის</p>	<b>დაბალი ხარისხის</b>	<b>ხანმოკლე</b>	<b>შექცევადი</b>	<p>გდგ-ს განხორციელების შედეგად ადგილი ექნება სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა არ გამოიწვევს ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენების საერთო სურათის შეცვლას. ასევე არაა მოსალოდნელი ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული მასშტაბური დაბინძურების რისკები.</p>

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები. განსაკუთრებით საყურადღებოა თხევადი სახიფათო ნარჩენების და მათი მართვის საკითხები.				დაბინძურების რისკები უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს, რომელთა პრევენცია/აღმოფხვრა შესაძლებელია სათანადო გარემოსდაცვითი სტანდარტების და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.
• ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო	გდგ-ს განხორციელება დაკავშირებული იქნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებთან, რაც პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. საპროექტო კომპლექსის საპროექტო სიმაღლის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება გამოიწვევს	საშუალო	ხანგრძლივი	დიახ	გდგ-ს განხორციელების შედეგად შეიცვლება არსებული ვიზუალური გარემო, რადგან სტრატეგიული დოკუმენტი ამჟამად არსებულ ინფრასტრუქტურასთან შედარებით მასშტაბური

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	გარდაუვალ ვიზუალური ცვლილებებს.				ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.
<ul style="list-style-type: none"> <li>გეოდინამიკური პროცესები</li> </ul>	<p>პროექტის განხორციელებისას რაიმე სახის გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არაა.</p> <p>დეტალურ პროექტირებამდე მომზადდება საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც მიხედვითაც განისაზღვრება სამშენებლო პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობის რეკომენდაციები,</p>	-	-	-	-
<ul style="list-style-type: none"> <li>კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ძეგლები</li> </ul>	გეგმარებითი ერთეული არაა მოქცეული უახლოესი კულტურული	-	-	-	-

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>მემკვიდრეობის ობიექტის ფიზიკური და ვიზუალურ დაცვის არეალში, შესაბამისად გდგ-ს განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე პირდაპირ ზემოქმედებას არ იქონიებს.</p> <p>გდგ-ს განხორციელებისას ასევე არაა მოსალოდნელი ზემოქმედება არქეოლოგიურ ძეგლებზე, რადგან გეგმარებით ერთეულზე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურაა მოწყობილი. პროექტის განხორციელებისას არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკები მინიმალურია, ასეთი არსებობის შემთხვევაში სამუშაოების წარიმართება</p>				

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	კანონმდებლობის შესაბამისად.				
<ul style="list-style-type: none"> <li>ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</li> </ul>	<p>გდგ-ს განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. სიმაღლეზე დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობამ, ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, უსაფრთხოების პირობების დარღვევამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია პროექტში დასაქმებულ, ასევე მომიჯნავედ მცხოვრებ</p>	დაბალი	ხანმოკლე	არა	<p>გდგ-ს განხორციელების შედეგად შესაძლოა დაზიანდეს ადამიანის ჯანმრთელობა, თუმცა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მსგავსი შედეგების დაგომის ალბათობა მინიმალურია. ამასთან ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან და უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული საკითხები გასათვალისწინებელი იქნება მხოლოდ გდგ-ს განხორციელებისას.</p>



გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	<p>ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა.</p> <p>გდგ-ს განხორციელება ასევე შესაძლოა უკავშირდებოდეს გეგმარებით ერთეულის სიახლოვეს მცხოვრები და გეგმარებით ტერიტორიასთან მოხვედრილი ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებას.</p> <p>რისკები მოსალოდნელია კომპლექსის მოწყობის პერიოდში უსაფრთხოების ნორმები უგულებელყოფისას. გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორია ქალაქ ბათუმის ურბანული ნაწილის შემადგენელია და გეგმარებით ერთეულს ესაზღვრება საცხოვრებელი ზონები.</p>				

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	ადამიანებზე პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.				
<ul style="list-style-type: none"> <li>სოციალური-ეკონომიკური გარემო</li> </ul>	<p>გდგ-ს განხორციელება მეტწილად პირდაპირ ზეგავლენას იქონიებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ზემოქმედება იქნება, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი.</p> <p>უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება გარემოს კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედებებთან, რამაც შესაძლოა თავის მხრივ უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანის სოციალურ პირობებზე.</p> <p>დადებითი ზემოქმედებიდან აღსანიშნავია ადგილობრივების დასაქმების</p>	დაბალი	ხანმოკლე უარყოფითი ხანგრძლივი დადებითი	როგორც შექცევადი, ასევე შეუქცევადი	გდგ-ს განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მცირე გაუარესება. თუმცა, ასევე მოსალოდნელია სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ხასიათი (პირდაპირი/არაპირდაპირი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხარისხი (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობა (ხანმოკლე, ხანგრძლივი)	მოსალოდნელი ზემოქმედების შეუქცევადობა (დიახ/არა)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგები
	შესამღებლობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება				

## 7 სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი შემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების გზების განსაზღვრა

როგორც წინა პარაგრაფშია მოცემული გდგ-ს განხორციელება გარკვეული ხარისხით იქონიებს შემოქმედებას, როგორც გარემოს გარკვეულ კომპონენტებზე, ასევე სოციალურ გარემო პირობებზე. არსებული ფონური მონაცემების და გდგ-ს გარემოსდაცვითი სკრინინგის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ წინამდებარე პროექტის განხორციელება მასშტაბურ და ხანგრძლივ უარყოფით შემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება და მოსალოდნელ შემოქმედებას უფრო ლოკალური ხასიათი ექნება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ის რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროექტის განმახორციელებლის მიერ.

ცხრილი 7.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები

გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი	მიზანი	რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი ღონისძიებების განხორციელებაზე
<ul style="list-style-type: none"> <li>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის ფონური ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების თავიდან აცილება;</li> <li>სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას, კომპლექსის მოწყობის სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის, ადგილობრივი მოსახლეობის და დამსვენებლების ჯანმრთელობის დაცვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება;</li> <li>განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებისას ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოსა და ანთროპოგენური ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანების ნორმების გათვალისწინება;</li> <li>სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ:             <ul style="list-style-type: none"> <li>სადემონტაჟო სამუშაოების და კომპლექსის მშენებლობისას სველი მეთოდის მაქსიმალური გამოყენება;</li> <li>ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო საშუალების ძარის გადახურვა შესაბამისი მასალით და მუდმივი კონტროლო გარემოსდაცვითი/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ;</li> <li>სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკა-დანადგარების გამართულობის რეგულარული კონტროლი;</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამუშაო გრაფიკის მკაცრი დაცვა. საჩივრების არსებობის შემთხვევაში სამუშაო გრაფიკის კორექტირება;</li> <li>➤ ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების დაწვის მკაცრი კონტროლი;</li> <li>➤ სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან (აღნიშნული შეამცირებს მასალების ტრანსპორტირებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობას);</li> <li>➤ მასალების ტრანსპორტირების პერიოდში სავალიანობილო გზებზე პიკური დატვირთვების გათვალისწინება. უმჯობესია მასალები გეგმარებით ობიექტზე შემოტანილი იქნეს არა პიკის საათებში;</li> <li>➤ მოსახლეობის უკმაყოფილების შემთხვევაში, ხმაურის პრევენციის მიზნით გეგმარებით ტერიტორიაზე შესაბამისი ხმაურდამცავი ბარიერების მოწყობა;</li> <li>➤ ხმაურისა და მავნე ნივთიერებების გავრცელების შემცირების მიზნით, სამშენებლო სამუშაოებში თანამედროვე ტექნიკა-დანადგარების შეძლებისდაგვარი გამოყენება;</li> <li>➤ პერსონალს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში ინსტრუმენტალური გაზომვების ჩატარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის შესაფასებლად;</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• გრუნტის წყლების დაბინძურება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „წყლის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე, საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>

		<p>საქართველოს მთავრობის N425 დადგენილებისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს N431 მთავრობის დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ კატლავანის მოწყობა შესაბამისი პირობების დაცვით - მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის სიღრმეს, სპეციალური ჭების მოწყობა და ამ ჭებიდან გრუნტის წყლების ამოტუმბვა და რეზერვუარებში გადატუმბვა. რეზერვუარებში დალექილი და გაწმენდილი წყლის ჩაშვება ქალაქის წყალარინების სისტემაში ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;</li> <li>➢ მშენებლობისათვის საჭირო მასალების სათანადო პირობებში განთავსება (ფხვიერი და ამტვერებადი მასალების ატმოსფერული ნალექებისგან და ჩამორეცხვის პროცესებისგან შეძლებისდაგვარად დაცვა);</li> <li>➢ გეგმარებით ობიექტზე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის რემონტისა და ტექმომსახურების აკრძალვა;</li> <li>➢ ტექნიკისა და დანადგარების გამართულობის რეგულარული კონტროლი;</li> <li>➢ დაბინძურებული წყლების მართვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მკაცრი კონტროლი;</li> </ul> </li> </ul>	
--	--	---	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამუშაო უბნების აღჭურვა ავარიულ დაღვრებზე რეაგირების ინვენტარით - აბსორბენტები, პირადი დაცვის საშუალებები და ა.შ;</li> <li>➤ პერსონალს პერიოდული ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;</li> <li>➤ სატვირთოების, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში (ბეტონშემრევები), ადგილზე გარეცხვის ფაქტების მკაცრი კონტროლი;</li> <li>➤ წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;</li> <li>➤ სამუშაო ზონის საზღვრების მკაცრი დაცვა;</li> <li>➤ დასაქმებულ პერსონალის პერიოდული ტრენინგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე;</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ნიადაგის და გრუნტის დაზიანებების და არამიზნობრივი გამოყენება</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგის და გრუნტის დაზიანებისგან დაცვა;</li> <li>• ნიადაგის დეგრადაციისა და ნაყოფიერი ფენის არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ( №297/ნ) და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინება.</li> <li>• სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ:</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ საპირკვლის მოწყობის პერიოდში მოხსნილი ნიადაგის და გრუნტის მართვა ქალაქ ბათუმის მერიასთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე;</li> <li>➤ უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის ობიექტზე ტექნიკის გადაადგილებისათვის საჭირო გზების და სამუშაო ზონების სწორი შეირჩევა და საზღვრების დაცვა;</li> <li>➤ ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებების გატარება. დაბინძურებული ფენის დროული მოხსნა და რემედიაციისათვის შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის/პირისთვის გადაცემა;</li> <li>➤ სამუშაო ზონების აღჭურვა დაღვრაზე რეაგირების სათანადო ინვენტარით/აღჭურვილობით (კონტეინერები, ტომრები, აბსორბენტები და სხვა);</li> <li>➤ სამუშაო ზონაში სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის შეკეთების/ტექნიკური მომსახურების და/ან საწვავით გამართვის აკრძალვა. აღნიშნული პროცედურების განხორციელება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებში;</li> <li>➤ ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;</li> <li>➤ სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობის მუდმივი კონტროლი;</li> </ul>	
--	--	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცენარეულის საფარის მაქსიმალური შენარჩუნება და დაცვა;</li> <li>• ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების მაქსიმალური შემცირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაშენიანების დეტალური გეგმის პროცესში საქართველოს კანონების „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“, „ცხოველთა სამყაროს“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება.</li> <li>• სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ საპროექტო საზღვრების მკაცრი დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეების დაზიანება;</li> <li>➢ ტერიტორიის გამწვანება შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მიხედვით;</li> <li>➢ ნიადაგისა და წყლის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე საწვავი საშუალებების და ნავთობ პროდუქტების დაღვრის მკაცრი კონტროლი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფაუნის სახეობების მოწამვლა/სიკვდილი.</li> <li>➢ ფრინველთა შეჯახებების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია მაღალი შენობების ფანჯრებზე ბადეების, ეკრანების ან ეტიკეტების გამოყენება (მოკლევადიანი პერსპექტივით, სანამ შეეგუება ფრინველი ახალ გარემოს და ადგილს და თვითონ გაერიდება მას)</li> <li>➢ გრძელვადიანი პერსპექტივაში, შენობებთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია ისეთი შენობების აგება, რომელთაც ექნებათ ნაკლები შუშის ზედაპირი და აღჭურვილი იქნება შესაბამისი ულტრაიისფერი UV- აბრეკლი ფირით.</li> <li>➢ გასათვალისწინებელია სეზონები, შეჯახებების კუთხით სენსიტიურია გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციები, შესაბამისად</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>
---	--	---	---

		<p>აღნიშნულ პერიოდებში მაქსიმალურად უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები დაცული.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ფრინველებზე პოტენციური ზემოქმედების შესამცირებლად შემდეგი ძირითადი ფაქტორები იქნება გასათვალისწინებელი: შენობების ზედაპირების შუშის მასალებით ნაკლებად დაფარვა, ფანჯრებზე ერთგვარი „სტიკერების“ (ზომა 5x10 სმ) დაკვრა, დამცავი ბადეების განთავსება, ფანჯრების დაბურვა/დაბლარვა (Frosted), შუშების დაფარვა შესაბამისი ულტრაიისფერი UV- ამრეკლი ფირით, შუშებზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გამოყენება (ჰორიზონტალური ხაზები უნდა იყოს 2 ან ნაკლები ინჩი, ვერტიკალური ხაზები 4 ან ნაკლები ინჩის დაშორება).</li> <li>➤ რეკომენდებულია შენობების განათებისთვის გამოყენებული იქნეს არა კაშკაშა, არამედ უფრო ნეიტრალური ნათება;</li> <li>➤ სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად. ტერიტორიიდან ნარჩენების დროული გატანა;</li> <li>➤ სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალის პერიოდული ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების არასათანადო მართვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წარმოქმნილი ნარჩენების გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;</li> <li>• ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველყოფა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონების „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინება. ასევე ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების გათვალისწინება. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების წარმართვა შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და ნარჩენების მართა შეთანხმებული გეგმის მიხედვით;</li> <li>➤ სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტების თავიდან აცილება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას;</li> <li>➤ შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი წინასწარ ფორმირებული პროდუქციის/მასალების შექმნა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;</li> <li>➤ მასალების შემოტანის და განთავსებაზე მკაცრი მონიტორინგის წარმოება, ასევე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხების კონტროლი, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;</li> <li>➤ სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შესაბამისი პირობების დაცვით მართვა;</li> <li>➤ წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვისთვის ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირზე/კომპანიაზე გადაცემა. ქალაქ ბათუმში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება/გატანაზე პასუხისმგებელია შპს „სანდასუფთავება“. კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან;</li> </ul> </li> </ul>	
--	--	---	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასაქმებულ პერსონალის ინფორმირება და პერიოდული ტრენინგი ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ მოთხოვნების გათვალისწინება</li> <li>• პროექტირების და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპებზე გარემოსდაცვითი პირობებისა და სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, მაგ: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დეტალური პროექტირებისას შენობა-ნაგებობების არქიტექტურული ნაწილის შეძლებისდაგვარად მორგება არსებულ გარემოს. ასევე ფრინველებზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებში გაწერილი საკითხების გათვალისწინება ;</li> <li>➤ პროექტის განხორციელებისას შენობის მშენებლობის პროცესები კონტროლი და მისი შესაბამისობა არქიტექტურულ ნაწილთან;</li> <li>➤ ტერიტორიის გამწვანება შესაბამისი დენდროლოგიური პროექტის მიხედვით.</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ობიექტზე დასაქმებული პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო სამუშაოების განხორციელება შემდეგი მოთხოვნების დაცვით: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების მკაცრი დაცვა;</li> <li>➤ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საქართველოს სოციალური კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა;</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განმახორციელებელი</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობების მკაცრი დაცვა;</li> <li>➤ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციების შემღებებისდაგვარად დაცვა;</li> <li>➤ გამოყენების წინ ინსტრუმენტების რეგულარულად დათვალიერება. ინსტრუმენტის ხმარებისას დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.) გამოყენება. ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.</li> <li>➤ სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.</li> <li>➤ დასაქმებული პერსონალის მიერ შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვის კონტროლი.</li> <li>➤ უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვების კონტროლი სამშენებლო ტერიტორიაზე;</li> <li>➤ ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო პროცესების შეჩერება.</li> <li>➤ ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტების მკაცრი კონტროლი;</li> </ul>	
--	--	---	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მშენებლობის პერიოდში საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტების და ნორმატიული აქტების გათვალისწინება</li> <li>➤ საჩივრების ჟურნალის წარმოება, სადაც დაფიქსირდება მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული პრეტენზიები/საჩივრები პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>	
--	--	---	--





- საკადასტრო კოდი :05.25.05.187
- მისამართი :ქალაქი ბათუმი , ქუჩა აღმაშენებლის , N 13

**მიწის ნაკვეთი(ებ)/ობიექტ(ებ)ი**

- საკადასტრო კოდი :05.25.05.184
- მისამართი :ქალაქი ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 136

**მიწის ნაკვეთი(ებ)/ობიექტ(ებ)ი**

- საკადასტრო კოდი :05.25.05.182
- მისამართი :ქალაქი ბათუმი , ქუჩა აღმაშენებელი , N 13

**მიწის ნაკვეთი(ებ)/ობიექტ(ებ)ი**

- საკადასტრო კოდი :05.25.05.183
- მისამართი :ქალაქი ბათუმი , ქუჩა აღმაშენებელი , N 13

**მიწის ნაკვეთი(ებ)/ობიექტ(ებ)ი**

- საკადასტრო კოდი :05.25.05.181
- მისამართი :ქალაქი ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 130

**მიწის ნაკვეთი(ებ)/ობიექტ(ებ)ი**

- საკადასტრო კოდი :05.25.05.179
- მისამართი :ქალაქი ბათუმი , ქუჩა აღმაშენებელი , N 13

**განმცხადებელი-დამკვეთი** :მალხაზ ქათამაძე

**პირადი ნომერი** :61010003382

**მისამართი** :საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქობულეთი, კომპიუტერის ქუჩა, N 16

**ნომენკლატურა** :ქალაქქვემოარება განაშენიანების დეტალური გეგმა / განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირება /

**სატორელო ინფორმაცია**

- ფუნქციური დანიშნულების სახეობა :მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი
- მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტის პირადი ნომერი :61010003382
